მიხეილ სააკაშვილი: ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და დაახლოება, რა თქმა უნდა, არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

გუშინ

ახალი მინისტრთა კაბინეტი იქნება მობილური და ოპერატიული და შეძლებს რთული სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტას

გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კანცელარიაში გამართა ბრიფინგი ჟურნალისტებისათვის. მან დამსწრეთ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატად წარუდგინა გელა ბეჟუაშვილი და ნატოში საქართველოს წარმომადგენლად უკვე ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე.

პრეზიდენტმა ახალი ტიპის ქართული არმიის შექმნის შესახებ ილაპარაკა, უწინარეს ყოვლისა, ისეთი სისტემისა, როდესაც საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებული იქნება სხვადასხვა ვადითა და ფორმით სამხედრო მომზადებას გადიოდეს შეიარაღებულ ძალებში.

— მე შემაქვს კანონი პარლამენტში, — განაცხადა პრეზიდენტმა, — რომლის თანახმადაც ადამიანი, რომელსაც სამშობლოს წინაშე სამხედრო ვალდებულება არ აქვს მოხდილი, არ დაინიშნება არცერთ თანამდებობაზე სამხედრო აპარატში. ჩვენ ჩვენი მხრივ ვიღებთ ვალდებულებას, რომ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა სიაში არ შევიყვანთ ასეთ ადამიანს.

მან ხაზი გაუსვა მობილური და კარგად შეიარაღებული ქართული არმიის შექმნას, სადაც აქცენტი გაკეთდება არა გენერლებზე (რომლებიც ისედაც ბევრი გვყავს), არამედ ჯარისკაცებზე, სერჟანტებზე, ზემდეგებსა და ლეიტენანტებზე, რომელიც აღჭურვილი იქნება სამხედრო ტექნიკით, ეყოლება ავიაცია და ფლოტი. ჩვენს მტრებს და, აგრეთვე, სეპარატისტებს ჩვენი არმიის უნდა ეშინოდეთ.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

პარლამენტის პლენარული სხდომა

13 თებერვალს მუშაობა გააგრძელა საქართველოს პარლამენტის მორიგმა პლენარულმა სხდომამ. იმის გამო, რომ დილის სხდომაზე კვორუმი ვერ შეგროვდა, კანონმდებლები მუშაობას მხოლოდ ნაშუადღევს შეუდგნენ.

იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ადეიშვილმა განსახილველად „ფინანსური პოლიციის შესახებ" კანონპროექტი გამოიტანა. ამ კანონპროექტის მიხედვით ფინანსთა სამინისტროში შემოდის ახალი ინსტიტუტი ფინანსური პოლიცია, რომელსაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, მოკვლევისა და გამოძიების უფლება ექნება. ეს სამსახური პასუხისმგებელი იქნება ეკონომიკური დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებაზე. ფინანსური პოლიცია თავად საბაჟო და საგადასახადო ორგანოებსაც გააკონტროლებს და იქ არსებულ კორუფციულ სამართალდარღვევებს გამოიკვლევს.

როგორც ადეიშვილმა აღნიშნა, ფინანსურ პოლიციას სრული უფლება მიენიჭება აღმოაჩინოს ნებისმიერი ეკონომიკური დანაშაული და საქმე სასამართლო პროცესამდე მიიყვანოს.

დეპუტატებმა წარმოდგენილი კანონპროექტი პირველი მოსმენით განიხილეს, იმსჯელეს სხვა საკითხებზეც, მათ შორის ანტიკორუფციულ კანონმდებლობაზე.

პლენარული სხდომის მუშაობა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმი.

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს. აღდგენილია 1990 წელს. №37 (4766) შაბათი, 14 თებერვალი, 2004 წელი. ფასი 50 თეთრი.

არჩევნები

ამათ ჯერ ერთმანეთში ჰქონიათ საქმე გასარკვევი...

ფონდ „სამართლიან არჩევნებს", შესაძლოა, 28 მარტის პარლამენტის არჩევნების მონიტორინგის უფლება არ მიეცეს და დონორმა ორგანიზაციებმა დაფინანსება შეუწყვიტონ.

ამის მიზეზი, შესაძლოა, 1995 წელს დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას" და ახლადდაარსებულ ფონდ „სამართლიან არჩევნებს" შორის ცოტა ხნის წინათ დაწყებული დავა გახდეს.

როგორც „ინტერ-პრესს" „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" დასავლეთ საქართველოს ყოფილმა კოორდინატორმა, ამჟამად ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა მერაბ მეშველიანმა განუცხადა, 1995 წელს დაარსებულ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას" გასული წლის ოქტომბერში რამდენიმე წევრი გამოეყო, რომლებმაც ახალი ორგანიზაცია — „ფონდი სამართლიანი არჩევნები" ჩამოაყალიბეს, და 1995 წელს დაარსებული ორგანიზაციის დოკუმენტაცია უკანონოდ მიიტაცეს.

იხ. მე-2 გვ.

ცესკო

„ამომრჩეველთა სიების მომზადებას მხოლოდ არჩევნებზე მიბმულ საკითხად არ განვიხილავთ"

გვესაუბრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი

იხ. მე-3 გვ.

ვალენტინობა

„მენ, ჩემო ძვირფასო დიდო იმედო"

ხმადაბალი ნარნარი ბგერები, თითქოს ჩუმი და სიჩუმით სადუნიოდ ახმოვანებული, ფეხაკრეფით მიახლება რაღაც დიდთან და ფაქიზთან.

ღამე-კაკაჩი და ღვთაებრივი აპასიონატა.

ბეთჰოვენმა ის ჯულიეტა გვიჩარდის მიუძღვნა, მაგრამ ქვეყნიერებამ დაისაკუთრა და სიყვარულმა თავის მელოდიად აქცია „მთვარის სონატა".

მაცდური ეროსი, ამური, კუპიდონი.

სიყვარული ბროწეულის ყვავილის ფერი და ფიქრები სონატის თანხლებით.

ლუცელოსს მასზე საბედისწეროდ შეყვარებული მონა-ქალი ემსახურებოდა, რომელსაც პატრონთან ყოფნის სურვილმა უარი ათქმევინა აზატობაზე. ავენების ჩაკირკიტებით იმპერატორმა დანით თვითმკვლელობა განუჩინა ლუცელოსს. რაინდი იყო იგი, თითქოს უშიში, ვითარცა უხორცო, მაგრამ ასეთმა სასჯელმა შეზარა მაინც. და ადგა მაშინ მონა-ქალი, გასამხნევებლად პირისპირ დაუდგა თავის მზეს და დანა ჩაიცა მკერდში. მოკვდა იგი სახეზე მკრთალი ღიმილით — ნუ გეშინია, ეს სულაც არ არის მტკივნეული!...

ლეგენდები სიყვარულზე მას მერე იქმნება, რაც ადამიანმა შეიცნო იგი. ასე შემორჩა შეყვარებულთა დამწყალობებელი ბერიც. ვალენტინს, როგორც ამბობენ, ის წყვილები მიმართავდნენ, რომელთაც ეკრძალებოდათ შეუღლება. მას მიაჩნდა, რომ სიყვარულისთვის არ შეიძლება, არსებობდეს გადაულახავი დაბრკოლებები და ნამალევად სწერდა ჯვარს მხრებზე კუპიდონდაფრენილებს. დრო გადიოდა. შეყვარებულებს, ღვთით, რა გამოლევდა. ვალენტინი ახალგაზრდებში სიყვარულს და სახელს იხვეჭდა.

14 თებერვალს ვალენტინობაა. ამ დღეს ჩვენს ქუჩებშიც მრავლდება წელზე მკლავშემოხვეულებული წყვილები და საჩუქრად მირთმეული თაიგულები. თითქოს ამური უფრო მეტ ისარს ისვრის.

კლუბ-რესტორნები საღამოებს მართავენ შეყვარებულთათვის, მომღერლები თითქოს მხოლოდ მათთვის ასრულებენ ათასჯერ ნამღერ სიმღერებს.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდენ!

ჭიათურაში მშობიარეებს აჯილდოებენ

პირველი მერცხალი შემოფრინდა, პირველი შვილი გაჩნდა მეგრელიშვილების ოჯახში. ფატმან შეყილაძეს და გელა მეგრელიშვილს გოგონა შეეძინათ, — ნინო. ეს ამბავი ჩვილის ბებიამ ტურფა ქველაძემ მახარა.



ახლახან მიღებული გადაწყვეტილებით ჭიათურის რაიონის გამგეობამ ახალგაზრდა ოჯახებს კარგი საჩუქარიც მოუმზადა. ამ დღეებში მეგრელიშვილების ოჯახი 50 ლარით დააჯილდოვა. მომავალშიც ახალდაბადებულ ჭიათურელებს ადგილობრივი მმართველობის გამგეობა ასეთ ჯილდოსთან ერთად ყურადღებასა და მზრუნველობასაც ჰპირდება.

სოზარ კუპატაძე,
„სრ" საკ. კორ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ლლავები დიდ კორუფციაში

ნიანგის ცრემლები „ჩაწყობილი" ტენდერის გასაბათილებლად

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიიდან გადმოცემული ეს მასალა კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენს ენერგეტიკაში გამეფებულ სრულ განუკითხაობას

იხ. მე-8 გვ.

კომპეტენტური აზრი

ეროვნული უშიშროების საბჭო და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება

იხ. მე-3 გვ.

კერძო აზრი

ამას რეპრესიებს ვერ ვუწოდებთ

ქვეყანაში მიმდინარე ანტიკრიმინალური და ანტიკორუფციული ოპერაციები საზოგადოების სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულ შეფასებებს იწვევს: ისინი, ვინც თვეების განმავლობაში ვერ იღებდნენ დაწესებულ უმცირეს პენსიებს, მათხოვრულ ხელფასებს, მიესალმებიან რადიკალურ ნაბიჯებს.

ადამიანები, რომლებსაც სიცოცხლის მანძილზე წვეთა და დაგვით შეკოწიწებული, სალაროში შენახული „დასამარხი" ფული წაგლიჯეს, საკუთარი თანხების დაბრუნებას ელიან. ვისთვისაც ღირებულია წესიერება, პატიოსნება, კანონიერება, ამ კამპანიას გაგებითა და თანაგრძნობით ხვდება. ისინი კი, რომელთა ძვირადღირებული უცხოური მანქანებისათვის რესტორნების წინ ადგილის პოვნა ჭირდა, ვინც აგარაკებსა და სახლებს სიდედრ-სიმამრებზე აფორმებდნენ, ცხადია, ხასიათზე ვერ არიან. ალაპარაკდნენ, — „ადამიანის უფლებათა დარღვევის" შესახებ, დაიწყეს შედარება 1937 წლის რეპრესიებთან... გასაკვირი ის არის, რომ მათ შორის, სამწუხაროდ, არიან წესიერი და განათლებული ადამიანებიც...

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

სრული თანადგომა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები მიიღო.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი დიდი ინტერესი საქართველოსადმი და მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში არსებული პრობლემების დაძლევაში სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვეს.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირის შემდგომი დაახლოების და ინტეგრაციის პერსპექტივები.

ბათუმში – კონსულტაციისთვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი და ცესკოს სამსახურების უფროსები დღეს ბათუმში მიემგზავრებიან, სადაც 14-15 თებერვალს 28 მარტის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საოლქო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართება. განიხილება ასევე არჩევნებთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ფინანსური საკითხები. საოლქო კომისიის წევრებს საარჩევნო პროცესების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით ტრეინინგები ჩაუტარდებათ.

ირაკლი ბათიაშვილი უარს ამბობს

საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა შესაძლოა, 28 მარტის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს.

მას რევოლუციის შემდეგ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა ეს მცდელობა ჯერჯერობით უშედეგო აღმოჩნდა.

„მიმაჩნია, რომ მემარჯვენეობა-მემარცხენეობის მიუხედავად, საჭიროა, დროებით მაინც მოხდეს ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება, რადგან ასეთ დაქსაქსულ ვითარებაში შესაძლოა, ერთპარტიული პარლამენტი მივიღოთ", — განმარტა ირაკლი ბათიაშვილმა.

„იარაღს აქლარუნებენ"

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ყველა სახეობის ქვედანაყოფებში გუშინ საშუალო და ქვედა რგოლის ხელმძღვანელთა ორკვირიანი საზამთრო სწავლება დაიწყო.

დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში აფხაზურ ჯარში ჩატარებული სწავლების მსგავსად, საზამთრო სწავლებებში აფხაზ სამხედროებს რუსეთის ფედერაციის სამხედრო უწყების კვალიფიციური სპეციალისტები დაეხმარებიან.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

დღის ანეკდოტი

განცხადება ტელევიზიით: „პიროვნებას, რომელმაც რესტორანში „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი" დაკარგა ბაჯაღლო ოქროს საათი პლატინის სამაჯურით და ციფერბლატზე დასმული ბრილიანტებით, ვთხოვთ გამოცხადდეს ქალაქის პროკურატურაში ზუსტად 14 საათზე მისი საათის დროით".

განცხადება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოგმართავთ:



პოლიციას რეფორმებისთვის ესაჭიროება თქვენი მხარდაჭერა;

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ დანაშაულის დაფარვის ან აღურიცხაობის შესახებ;

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ ნარკოტიკების მოხმარებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ;

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ ადამიანის უფლების დარღვევის თუნდაც ერთი ფაქტის შესახებ;

დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შემდეგ ნომრებზე:

995350 და 983943

დავეხმაროთ პოლიციას, იმუშაოს ახლებურად და ჩადგეს ხალხის სამსახურში!

ამინდი დღეს

თბილისი	ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +2, დღისით +10
ბათუმი	ძლიერი მოღრ. წვიმა.	ღამით +4, დღისით +7
სოხუმი	ძლიერი მოღრ. წვიმა.	ღამით +3, დღისით +7
ფოთი	ღრუბ. ამინდი. წვიმა.	ღამით +4, დღისით +8
ქუთაისი	ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +3, დღისით +8
გორი	ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +1, დღისით +9
თელავი	ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +1, დღისით +9

ლარის კურსი

14 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.8986	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0600	ლარი
ევრო	1	2.6397	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0722	ლარი.

უკანასკნელ საათს

კატარის დედაქალაქ დოჰაში მოკლეს ჩეჩენ მოთარეშეთა ლიდერი ზელიმხან იანდარბიევი, მისი 13 წლის ვაჟიშვილი კი დაიჭრა. იჩქერიის რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტი, ჯოჰარ დუდაევის თანამებრძოლი იანდარბიევი 3 წელიწადი ცხოვრობდა ამ სახელმწიფოში, რომლის ხელისუფლებამაც მას თავშესაფარი მისცა.

ისრაელის უმსხვილეს სუპერმარკეტებში დადგმული „ხმის მისაცემი ყუთების" მეშვეობით განხორციელებული გამოკითხვით გამოირკვა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 77 პროცენტი მხარს უჭერს ღაზის სექტორიდან ებრაული დასახლებების გამოყვანის შარონისეულ გეგმას.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვცხოვრობ თბილისში, ვმუშაობ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად.

გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათი ბუნებრივი აირის მოხმარებისას?

ნანი ჭიკაიძე.

— ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 5 მაისის №27 დადგენილებით, სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე პირებს (მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტექნიკურ მუშაკებს) ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მიეცათ ერთჯერადი დახმარება 180 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის ასანაზღაურებლად.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ლიმპოპოში, ტაქსიდან გადმოსულ მამაკაცს თავს დაესხა ვირი, რომელმაც იგი სასიკვდილოდ დაკბინა. მამაკაცი ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა. მსგავსი ინციდენტი ადრეც მოხდა — ვირმა სკოლაში მიმავალი 9 წლის ბავშვი დაკბინა.

გუშინ შავ ზღვაში, ბოსფორის სრუტის შესასვლელთან, ჩაიძირა კამბოჯის დროშით მოცურავე სატვირთო გემი, რომელსაც ქვანახშირი გადაჰქონდა. 20 ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა.



შვიდი ადამიანი დაიღუპა და ოცდახუთი დაიჭრა თურქეთის ბოლუს პროვინციის სახიფათო უღელტეხილზე ცუდი ხილვადობის გამო მომხდარი ავარიისას, როდესაც სამგზავრო ავტობუსი სატვირთო ავტომანქანას შეეჯახა.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 37. შაბათი, 14 თებერვალი, 2004 წელი

გუშინ

ახალი მინისტრთა კაბინეტი იქნება მობილური და ოპერატიული და შეძლებს რთული სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტას

(პირველი გვერდიდან)

მიხეილ სააკაშვილის აზრით, კარგი გაგებით, დემოკრატიული საზოგადოებისთვის დასაშვებ ფარგლებში უნდა მოხდეს თუნდაც „მილიტარიზაცია“, სამხედრო საქმის პრესტიჟულობის დამკვიდრება.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ აპირებს საქართველო ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას, მაშინ, როდესაც საუბარია რუსეთის სამხედრო აკადემიაში ქართველი ოფიცრების მომზადების შესახებ? ერთმანეთს ხომ არ უშლის ეს ხელს?

— ნამდვილად არ უშლის, — უპასუხა პრეზიდენტმა, — რადგან რუსეთი არის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის წევრი. გარდა იმისა, რომ მოსამზადებლები გვყავს საბრძოლო ოფიცრები, ჩვენ გვჭირდება ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ინჟინრები, საავიაციო დარგის ინჟინრები, კავშირგაბმულობის სპეციალისტები და სხვა. მათ მოსამზადებლად რუსეთს აქვს საერთაშორისო დონის სასწავლებლები. მეტსაც გეტყვით, აღმოსავლეთ ევროპელები, რომლებიც უკვე არიან ნატოს წევრები, დღემდე ამზადებენ თავიანთ ზოგიერთ კადრს რუსეთში. ეს ნორმალური პრაქტიკაა. ჩვენ ამ შესაძლებლობას არ ვიყენებდით. მით უფრო, რომ ამაში ფულს არ ვიხდით. სხვათა შორის, მესამე მსოფლიოს ბევრი ლიდერი, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ პროსაბჭოთა, პრორუსული ორიენტაციით, დამთავრებული აქვთ რუსეთის სამხედრო სასწავლებლები.

რაც შეეხება ნატოში გაწევრებას, ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ, პირველ რიგში, ნატოზე. ეს დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის შიდა სტაბილურობაზე. ეს არ არის მარტო დიპლომატიის თემა და ამაზე ჩვენ ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და დაახლოება, რა თქმა უნდა, არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. პრეზიდენტებმა ბუშმა და კვაშნევსკიმ ამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს, რომ აშშ და პოლონეთისთვის ევროპაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციაა.



დავით თევზაძე — საქართველოს ელჩი ნატოში.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მაისში საქართველოს მოუწევს პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება სტამბოლში სწორედ ამ მიმართულებით.

მან კვლავ ილაპარაკა კადრების მნიშვნელობის შესახებ, თანაც არა მარტო თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში.

— პროფესიული კადრები არის ოქროს ფასი, — თქვა პრეზიდენტმა, — ჩვენ ყველას ვეუბნებით, იმუშავეთ წესიერად და ყოველმხრივ შეგიწყობთ ხელს. გაგიხსნით ყველა შესაძლებლობას.

ჟურნალისტები კვლავ დაინტერესდნენ მინისტრთა კაბინეტის პერსონალური შემადგენლობით, სადაც ბევრი უცნობი სახეა.

მიხეილ სააკაშვილი არ დაეთანხმა ასეთ დეფინიციას და განაცხადა, რომ მომავალ კაბინეტში ბევრი ნაცნობი პიროვნებაა. მაგალითად მან დაასახელა ზურაბ ადეიშვილი, რა თქმა უნდა, ზურაბ ჟვანია, თამარ ბერუჩაშვილი. თუმცა იქნებიან ახალგაზრდა პროფესიონალებიც. მან პარალელი გაავლო წინა მთავრობასთან, რომელშიც იყვნენ ისეთებიც, რომელთა შესახებაც ოთხი წლის მანძილზე „ვერავინ ვერ გაიგო, ვინ არიან“ და კვლავ დაადასტურა, რომ ბევრი ქალი იქნება. შექმნილ რთულ სიტუაციაში ჩვენ გვჭირდება ქმედითუნარიანი, მოქმედი თაობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას. ასეთია პრეზიდენტის აზრი და პოზიცია.

მიხეილ სააკაშვილს იმედი აქვს, რომ მინისტრთა კაბინეტის სრულ შემადგენლობას სახელმწიფო მინისტრი მას უახლოეს დღეებში წარუდგენს.

„მინისტრთა კაბინეტის ფორმირება სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას პრეროგატივაა. მე ჩემი მინისტრები, ანუ ძალოვანები უკვე დავნიშნე, ახლა ჯერი ჟვანიაზეა და მან რაც შეიძლება, სწრაფად უნდა იმოქმედოს. დღეს ან ხვალ მინისტრთა კაბინეტი საბოლოოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ვინ დაიკავებს ჯანდაცვის მინისტრის პოსტს. პრეზიდენტი არც ადასტურებს და არც უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ამ პოსტზე პარლამენტის ვიცე-სპიკერის გიგი წერეთლის დანიშვნის თაობაზე.

„მართალია, გიგი წერეთელი არც ქალია და არც ახალი სახე, ვისაც უპირატესობას ვანიჭებ, მაგრამ ის გამოცდილი და საქმის მცოდნე ადამიანია“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ვალენტინობა

„შენ, ჩემო დიდო იმედო“

(პირველი გვერდიდან)

ვალენტინობა მოდად იქცა და მასა დაიმორჩილა.

ოთხი-ხუთი წელია, სიყვარულის დღეს 15 აპრილსაც აღნიშნავენ. მართლმადიდებლობა არ იზიარებს 14 თებერვლის საგრფიალო ზეიმს, 15 აპრილი კი, მე თუ მკითხავთ, ნაძალადევი დღესასწაულია.

არა, არ გეგონოთ, თუ ღმერთი გწამთ, სიყვარულს ვეწინააღმდეგებოდე! გესმით პიანოთი შემოპარული ბგერები? მე და თქვენ ეს ხმები თან გვდევს. ტამერლანის ხმალივით დაჯახებული სიყვარული გვახსოვს, ხოხბის ყელივით ლამაზი ქალიც, საყვარლის კაბას მინამგვანები პეპელაც და ოქროს მილით ნაღენი უკვდავების წყაროც... ისიც გვახსოვს, როგორ ენაცვალა მომაკვდავ ვაჟს საყვარელი.

მაშინ ქართველები არ ზეიმობდნენ ვალენტინის დღეს. გაშლილი ატმების ყვავილებიდან დაბადებულ ხალხს შეეძლო სიყვარული, თანაც როგორი — ღმერთი და სიკვდილი.

„ვერტიკალური და ბრუნვადი“ გრძნობა სამყაროს სიმბოლური ღერძია. ჩვენ ყველანი მზის ამანთებელი სიყვარულით ვცხოვრობთ.

„სხვა რაღაა სიყვარული, თუ არა ღმერთი“?

ღვთის დღე არ შეიძლება, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ იყოს.

სიყვარულს ერთი დღე არ აქვს, ის საუკუნეებზე მეუფობს.

რუსუდან გახარია.

„დედამიწაზე ყველაზე მწირი ლექსიკა შეყვარებულებს აქვთო“, — ეს გრიგოლ რობაქიძემ თქვა. მართალიცაა. სიყვარულზე არ საუბრობენ, სიყვარულს გრძნობენ.

გახსოვთ სიყვარული?

მარიკა ლორთქიფანიძე,
ისტორიკოსი:

— სიყვარული ყოველთვის მახსოვს, ის ჩემი ცხოვრების გარკვეული ეტაპია, რომელიც მაცოცხლებს.

ლევან ბერძენიშვილი,
ფილოლოგი:

— სანამ ვალენტინობის დღეს დააწესებდნენ, მე ამ დღეს უკვე 30 წელია აღვნიშნავ. სიყვარულის დღეს ჩემი მეუღლის დაბადების დღეა.

იზა ორჯონიკიძე,
მწერალი:

— სიყვარული ჩემი ცხოვრების ფორმა და შინაარსია.

ზაზა ბურჭულაძე,
მწერალი:

— (ფიქრობს) უსიყვარულოდ არ არსებობს თვით უკვდავება!

ნანული სარაჯიშვილი,
მსახიობი:

— სიყვარული ამ ქვეყნად ყველაზე სასიამოვნო გრძნობაა, რომელიც არ შეიძლება არ გახსოვდეს.

ნანა ლეჟავა,
ჟურნალისტი:

— (იცინის) მახსოვს, სიყვარული არის ვერტიკალური, წრფივი, თანაც ბრუნვადი.

ანა ნიჟარაძე,
მოცეკვავე:

— აბა, არ მახსოვს?! სიყვარულისთვის სულ მზად ვარ, სულ!

სიყვარული არის!.. და არა მარტო 14 თებერვალს...

ეთერ საბანაშვილი.

ერთი ნაპერწკალი

ქალაქი ჩამუქებულა მოწყენილი სახეებით, უარყოფითი ველი ყელში მარწუხებს გვიჭერს... და მაინც, თითქოს რაღაც გვიხარია, თითქოს რაღაც გვეიმედება.

უნივერსიტეტი. დაგვიანებული კარის შემოღება და ლექცია. საუბარი, რომელიც ასე გვჭირდება... დადებითი ენერგიის ნაკადი და — სიყვარული, რომლის ნაპერწკალიც შეიძლება იმ დიდი ცეცხლის გამჩაღებელი იყოს, გაყინული გულები რომ უნდა გაგვითბოს.

თათია ბაბუხადია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

კანონმდებლები

ლობირების არ ეშინია

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პარლამენტმა ბრიტანეთისა და თურქეთის ავიახაზების ფრენასთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებას აუცილებლად უნდა გაუკეთოს რატიფიკაცია.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ბრიტანეთის ავიახაზების ტიპის ორგანიზაციისათვის „ხელის აკვრა შეეძლოს“.

„მე არ შემეშინდება, რომ ლობირება გავუწიო ბრიტანეთისა და თურქეთის ავიახაზებს, რადგან მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საქართველოს ევროპული ინტეგრაციისათვის აუცილებელია,“ — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე განცხადებით, ადგილობრივი მრეწველობისა და ბიზნესმენების დაცვა აუცილებელია, თუმცა ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ავიახაზების ფუნქციონირება საქართველოში საჭიროა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, თუ საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ეს მაინც მოხდება, რადგან მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ მის მიერ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს გამოცემული განკარგულება ავიახაზების ფრენის აღდგენასთან დაკავშირებით, სამართლიანია.

გასულ წელს, პარლამენტმა სპეციალური დადგენილებით ფრენის უფლება შეუწყვიტა ბრიტანეთისა და თურქეთის ავიახაზებს, იმის გამო, რომ ისინი ავიარეისებს შეღავათიან ფასებში ოფიციალური ხელშეკრულების გარეშე ახორციელებდნენ.

ინტერ-პრესი.

არჩევნები

ამათ ჯერ ერთმანეთში ჰქონიათ საქმე გასარკვევი

(პირველი გვერდიდან)

მეშველიანის თქმით, ორგანიზაციას, რომელსაც თავისი ისტორიის განმავლობაში ყველა დონის არჩევნების მონიტორინგი აქვს განხორციელებული, დღეს მხოლოდ სახელწოდება დარჩა, რადგან ახლად დაარსებულმა ფონდმა „სამართლიანი არჩევნები“ მათ ყველაფერი, მათ შორის, ოფისი უკანონოდ წაართვა.

მეშველიანის განცხადებით, ფონდი „სამართლიანი არჩევნები“ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სამართალმემკვიდრე არ არის, რადგან ამ უკანასკნელს თვითლიკვიდაცია არ გამოუცხადებია. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ფონდმა ხუთშაბათს წინასაარჩევნო კამპანიის პრეზენტაცია გამართა, მას არჩევნების მონიტორინგის უფლება არ გააჩნია, რადგან კანონის თანახმად, მონიტორინგის მსურველ ორგანიზაციას 2 წლის ისტორია მაინც უნდა ჰქონდეს.

მერაბ მეშველიანის განცხადებით, ჯერჯერობით, არ არის გარკვეული, თუ რომელ მათგანს დააფინანსებენ დონორი ორგანიზაციები.

ფონდის ხელმძღვანელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ გამგეობის წევრები კი დღეს საგანგებო სხდომას გამართავენ, სადაც, შესაძლოა, მიიღონ გადაწყვეტილება ფონდ „სამართლიანი არჩევნების“ წინააღმდეგ “დოკუმენტაციის, ოფისისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკანონო მითვისების“ ბრალდებით სასამართლოში ჩივილის თაობაზე.

ინტერ-პრესი.

თაობა

„იგი ჩვენი პრეზიდენტია“

პირველი ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებლებს კარგად ახსოვთ ერთი მოუსვენარი, უსაზღვროდ ცნობისმოყვარე ბიჭი, რომელიც თავის დროზე აქ სწავლობდა. ახლა კი ხალხის არნახული თანადგომითა და ნებით ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

ბუნებრივია, ეს განსაკუთრებული ამბავი თავისებურად უნდა ასახულიყო ამ სკოლის კოლექტივში — მასწავლებლებსა და მოსწავლეებშიც.

შემთხვევით არ იყო, რომ მესამე კლასის მასწავლებელმა ნანა ვადაჭკორიამ თავის აღსაზრდელებს თემად ქვეყნის მეთაურზე შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა შესთავაზა.

პატარები ფრიად სერიოზულად მიუდგნენ დავალების შესრულებას და აი, რა დაწერეს:

ია წეროძე: „ჩვენი პრეზიდენტი ჩვენს სკოლაში სწავლობდა 7 წელი. ჩვენ მის გვერდით კლასში ვსწავლობთ. მე ვამაყობ, რომ ამ სკოლაში ვსწავლობ... და „ის ხან ფოთში იყო, ხან ბათუმში. ყველას უნდოდა, მოეკიდა მისთვის ხელი, მეც ძალიან მინდოდა, იქ ვყოფილიყავი და მისთვის ხელი მომეკიდა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ის ნამდვილი პრეზიდენტია“.

ტატო გულიკაშვილი: „მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი პრეზიდენტი შუქს მოგვცემს. მე რომ პრეზიდენტი შემახვედრა, ვეტყოდი — ყოჩაღ, თქვენ ნამდვილად დაიმსახურეთ პრეზიდენტობა. გილოცავთ!“.

ნათია გვარამაძე: „ძალიან მიხარია, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია. მან ფიცი დადო, რომ საქართველოს გავაბედნიერებო... ჩვენ მისი იმედი გვაქვს“.

კოტე ცომაია: „ჩვენი პრეზიდენტი ყველაზე ლამაზია პრეზიდენტებს შორის, მინდა, ასეთივე სამართლიანი იყოს, ასეთივე ყოვლისშემძლე და შეუპოვარი“.

ნინო სულაძე: „როცა ფიცს დებდა, ის ძალიან აღელვებული იყო. როცა დროშას ბავშვებთან ერთად მაღლა სწევდა, თვალებიდან სიხარულის ცრემლები მოსდიოდა“.

ნინო დანელია: „მე იმედი მაქვს, ჩემი პრეზიდენტი საქართველოს ააღორძინებს, გაამთლიანებს. ეს იმედი არასოდეს დამეკარგება“.

ლაშა კვინიკაძე: „მე მინდა, რომ ვინც შევარდნაძის მხარეს იყო, მიხეილ სააკაშვილის მხარეს გადმოვიდეს. კიდევ ის მინდა, ხალხს დაუბრუნდეს ხელფასიც და პენსიაც. აღარ იყვნენ მათხოვრები და გაჭირვებულები“.

ამავე აზრისანი არიან **ალექსანდრე სამადაშვილი, კოკა კვირიკაშვილი, დავით ბურჯანაძე, ნიკა საბაშვილი, გუგა გვაჩაკიძე, სანდრო ჯვარშეიშვილი, საბა ჯანიაშვილი.**

ნორჩებს განსაკუთრებით მოეწონათ, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტი მსოფლიოს ბევრი დიდი ქვეყნის მეთაურებს ტელეფონით მათივე მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა.

ბავშვების მახვილ თვალს არც მათი პრეზიდენტის ოჯახის წევრები — მეუღლე და შვილი გამორჩენიათ.

„ძალიან მიკვირს, როგორ ისწავლა სანდრა რულოვსმა ასე კარგად ქართული, ის ხომ ჰოლანდიელია“ **(ლაშა კვინიკაძე)**; „მიხეილ სააკაშვილს ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავს“ **(ნიკა საბაშვილი)**; „მე ვუსურვებ ჩვენს პრეზიდენტს, მის ბავშვსა და სანდრა რულოვსს ბედნიერ ცხოვრებას“ **(სანდრო ჯვარშეიშვილი)**; „სანდრა რულოვსი ძალიან ლამაზი იყო და გახარებული, მისი შვილიც“ **(ნინო სულაძე)**; „მისი მეუღლე სანდრა რულოვსი ძალიან მომწონს“ **(მარი ხარაბაძე)**.

ლუკა თოლორდავამ კი თავისი ნაწერი კონვერტში ჩადო და ისე გადასცა მასწავლებელს, „ახალ პრეზიდენტს ლუკასაგან“ — დააწერა.

ნანა ვადაჭკორია გვიმტკიცებს, რომ მოსწავლეებმა წინასწარ არ იცოდნენ, რა თემაზე უნდა დაეწერათ... მით უფრო გულწრფელია მათი სტრიქონები.

ვლადიმერ მახაროგლიძე.

ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტო.

კერძო აზრი

ამას რეპრესიებს ვერ ვუწოდებთ

(პირველი გვერდიდან)

ვინ, ვინ, მაგრამ ჩვენ, რეპრესირებული ოჯახების მემკვიდრეებმა კარგად ვიცით, რომ არავითარი ანალოგია დღევანდელ და გუშინდელ მოვლენებს შორის არ არის. მაშინდელი კამპანია წარმოადგენდა პოლიტიკურ აქციას ინტელიგენციის, მაღალი ეთიკური და მორალური ადამიანების წინააღმდეგ. მტკივნეულია იმ წლებში ტრაგიკულად დაღუპული მიხეილ ჯავახიშვილის, ევგენი მიქელაძის, ტიციან ტაბიძის გახსენებაც კი... ეს ადამიანები მწვავედ განიცდიდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, მართლმადიდებლური სარწმუნოების შებღალვას, დემოკრატიული ღირებულებების ფალსიფიკაციას...

ქვეყანაში, სადაც კრიმინალური სამყარო მოიცავს საზოგადოების 1-2 პროცენტს, მეტ-ნაკლებად ასატანია, მაგრამ როცა ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქურდული ტერმინოლოგიით მეტყველებს, მართლაც უნდა იწვევდეს განგაშის ზარებს! ამაზრზენი იყო იმერეთის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი ფაქტი, როცა ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების დროს სოფლის მოსახლეობა „კანონიერ ქურდს“ გამოესარჩლა. საზოგადოებრივი აზროვნების ასეთ გაუკუღმართებასთან შეგუება ძალზე ძნელია...

მე არ ვთვლი, რომ მიმდინარე კამპანია ხალხში უნდა იწვევდეს საყოველთაო აღტაცებას, რამეთუ დაპატიმრებული ადამიანებიც ჩვენი „სისხლი და ხორცია“, ჩვენი ტკივილია, მაგრამ დაბეჯითებით ვამბობ, რომ ამ პროცესის შედარება 1937 წლის რეპრესიებთან, ჩვენი ღირსეული წინაპრების შეურაცხყოფაა. ჩვენი შეურაცხყოფაცაა, მათ შორის.

ბიძინა ჭყონია,
თბილისის სამხატვრო აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დოცენტი.

ჩვენ და კანონი

„გარიგებითი მართლმსაჯულება“: ობიექტური ჭეშმარიტება თუ მორიგი უსამართლობა?

1. ინფორმაცია „გარიგებითი მართლმსაჯულების“ უმთავრესი წანამძღვრების თაობაზე

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციათა დამანგრეველი ბრძოლით აღინიშნა, მსოფლიოში საბოლოოდ „გაფორმდა“, აგრეთვე, დამნაშავეობის შეუქცევადი, მნიშვნელოვანი ზრდის საშიში ტენდენციაც. დამნაშავეობა რაოდენობრივად ხომ განუხრელად იზრდება, მაგრამ, ამასთან, სულ უფრო ორგანიზებული და ტრანსნაციონალური ხდება — იმისდა მიუხედავად, ევოლუციური „განვითარებადობის“ან პოსტსოციალისტურ ქაოსშია ეს ქვეყანა, თუ მოწინავე, განვითარებულ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. საუკუნის ამ „გამოწვევის“ პასუხად, გაეროს წევრი ქვეყნები ათასწლეულთა მიჯნაზე თავიანთი ბიუჯეტის 2-დან 16 პროცენტამდე სწორედ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ახმარენ, მაგრამ რაიმე რადიკალური შედეგი, ჯერჯერობით, არ ჩანს!..

რაოდენობრივად მზარდმა და თვისებრივად გაუარესებადმა დამნაშავეობამ (მაგალითად, აშშ-ში დამნაშავეობა ამ პერიოდში გაიზარდა 7,2-ჯერ, საფრანგეთში — 5-ჯერ, ინგლისსა და გერმანიაში — დაახლოებით 3-ჯერ, შვედეთში — 6-ჯერ და ა. შ.), ცხადია, რადიკალური ზომების კომპლექსის გატარება მოითხოვა. მათ შორის, პრაგმატულმა სახელმწიფოებმა იწყეს ისეთი ინსტიტუტების გაბედულად დანერგვა, რომლებიც დააჩქარებდა სისხლის სამართალწარმოებას (პროცესს) და ამით თავიდან აიცილებდა სისხლის სამართლის საქმეთა ამგვარი მოზღვავების გამო მართლმსაჯულების და მთლიანად სისხლისსამართლებრივი იუსტიციის „მანქანის“ შეფერხებას, თუ სულაც შეჩერებას „გადამეტხურების“ გამო. ასე გაჩნდა **„გარიგებითი“, „აღდგენითი“, „მორიგებითი“, „შეკვეცილი“** და მისთანა მართლმსაჯულებანი, რომელთა „საერთო მნიშვნელია“ **მართლმსაჯულების გამარტივება.** ასე რომ, მათ შეიძლება საერთო სახელიც ვუწოდოთ — **„გამარტივებული მართლმსაჯულება“.**

გამარტივებული მართლმსაჯულების გარკვეული „მოკრძალებული“ გამოვლინებანი საბჭოურ კანონმდებლობაშიც აღინიშნებოდა, ხოლო პოსტსაბჭოურმა კანონმდებლობებმა უფრო გაბედულად იწყეს მისი ახალ-ახალი ფორმების კულტივირება. კერძოდ, რომ არაფერი ვთქვათ ქმედითი მონანიების ტიპის ძველი ინსტიტუტების გაფართოებაზე, საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა ქვეყნების საპროცესო კოდექსებში ჩამოყალიბდა სასამართლო გამოძიების გაუქმებისა თუ შეკვეცის ინსტიტუტი... ერთი სიტყვით, პოსტსოციალისტურ სივრცეში მეტ-ნაკლებად დანერგილი იყო თითქმის ყველა ზემოხსენებული ინსტიტუტი, — არ იყო მხოლოდ ე. წ. „ბრალის აღიარების შესახებ გარიგების“ ერთობ სადავო და საჭოჭმანო საპროცესო ფენომენი! ახლა, როგორც ჩანს, იგი ჩვენშიც მალე შემოვა.

2. ცოტა რამ ბრალის აღიარების ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების შესახებ

ამ ინსტიტუტს პრაგმატული **ამერიკული მიდგომის** პროდუქტად მიიჩნევენ, თუმცა „მონათესავე“ **ინგლისში** მან რატომღაც ვერ ჰპოვა გავრცელება. ევროპულ სახელმწიფოთაგან ამ მხრივ ყველაზე „ხანდაზმული“ ისტორია **ესპანელებსა აქვთ.** შემდგომში გარიგების ინსტიტუტი, ამა თუ იმ მოდიფიკაციით, კანონის საფუძველზე თუ ფაქტობრივად, დაინერგა **საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში** და სხვა ქვეყნებში. ფლაგმანად, ცხადია, კვლავ რჩება ამ ინსტიტუტის სამშობლო **— აშშ,** სადაც, ცნობილი ამერიკელი პროფესორის ს. ტეიმანის ცნობით, სისხლის სამართლის საქმეთა 90 პროცენტი ბრალის აღიარების შესახებ გარიგებით მთავრდება. სხვები თვლიან, რომ ამ მონაცემში „მიწერილია“ აღიარებით დამთავრებული ყველა საქმე — იმისდა მიუხედავად, რეალურად გარიგება მოხდა თუ არა. გადაჭარბებულია მტკიცებაც (რომელსაც ჩვენშიც ვხვდებით), რომ თითქოს აშშ-ში გარიგებაში ყოველთვის მონაწილეობენ მოსამართლენი. პირიქით, იმავე ამერიკელი მეცნიერის განცხადებით, ფედერალური სასამართლოს და ზოგიერთი შტატის სასამართლოთა მოსამართლეებს **ეკრძალებათ** ამგვარ გარიგებაში მონაწილეობა!..

3. მაინც რას ნიშნავს „გარიგება ბრალის აღიარების თაობაზე?“

ძალზე მოკლედ, ეს ინსტიტუტი, ყველაზე კლასიკური (თუ მაქსიმალისტური) სახით დაახლოებით ასე გამოიყურება: ბრალდებულის (ეჭვმიტანილის, განსასჯელის) დამცველი (რომელიც, მეტწილად ინიციატორად გვევლინება, თუმცა არაიშვიათად ინიცირებას ახდენს პროკურორი), თავის მარწმუნებელთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, წინადადებით მიმართავს პროკურორს გარიგების დადების (და, არაიშვიათად, შემდგომში მოსამართლისათვის ოფიციალურად თუ კონფიდენციალურად შეტყობინების, ანუ, ფაქტობრივად, საკითხების „სამმხრივი“ შეთანხმების) შესახებ. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქმე სასამართლოშია, ან კიდევ წინასწარი გამოძიების სტადიაში ამგვარი გარიგების ლეგიტიმაციას მოსამართლის თანხმობა (დამტკიცება) სჭირდება. სხვა შემთხვევებში, შესაძლებელია გარიგება ორმხრივი იყოს — პროკურორი, უბრალოდ, არ წარუდგენს ბრალდებას ერთ ან რამდენიმე (როგორც წესი, უფრო მძიმე) დანაშაულში, ან კიდევ წარუდგენს ბრალდებას სხვა უფრო მსუბუქ დანაშაულში, ანდა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილ დანაშაულში ან კიდევ ჩაუთვლის მას (მაგალითად, მკვლელობას) შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილად (აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით). თუ ამგვარი ბრალდება უკვე წარდგენილია, მაშინ, ცხადია, გარიგება შეეხება ასეთივე მანიპულაციებს — უკვე წარდგენილი ბრალდების პროკურორის მიერ სასამართლო განხილვისას გადაკვალიფიცირებას, მძიმე ბრალდების მოხსნასა და უფრო მსუბუქის დატოვებას და ა. შ. ცხადია, აქ გარიგება შეიძლება უამრავი ვარიანტის მიხედვით. მათ შორის, გარიგება შეიძლება შეეხებოდეს, აგრეთვე, წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლებას (გირაოთი, თავდებქვეშ და ა. შ.), ნაკლები (შეღავათიანი) სასჯელის მისჯას და მისთანა საკითხებს. სანაცვლოდ, ცხადია, სახელმწიფო ბრალმდებელი ითხოვს არა რეალურად ჩადენილი, არამედ გარიგების მიხედვით შერაცხული დანაშაულის მთლიანად (ანუ „გულწრფელად“) აღიარებას. ამის გამო აღარ ხდება საჭირო რთული, ხანგრძლივი და ძვირადღირებული საგამოძიებო თუ სასამართლო პროცედურების ჩატარება (განსაკუთრებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, სადაც ერთი საშუალო სიმარტივის საქმის განხილვა სულ ცოტა 50-70 ათასი დოლარი ჯდება!)..).

ეს — ჩვეულებრივ, ტრივიალურ შემთხვევებში, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარმა, როგორც აღინიშნა, ორგანიზებული შიდასახელმწიფოებრივი თუ ტრანსნაციონალური დამნაშავეობის აღზევება გამოიწვია. არადა, ამ კატეგორიის დანაშაულთა გახსნა და, მით უმეტეს, მაფიოზური კლანების „ნათლიათა“ მსჯავრდება რომ უკიდურესად რთული საქმეა, საყოველთაოდ ცნობილია!... და თუ ამგვარი დამნაშავეობით ყველაზე „დაზიანებულმა“ ორმა ქვეყანამ — აშშ და იტალიამ, ბოლო 10-15 წელიწადში, მანამდე არნახულ პოზიტიურ შედეგებს მიაღწიეს (აქ დაისაჯნენ ორგანიზებულ დამნაშავეთა გაერთიანებების ბოსები, მათთან კორუფციულ კავშირში მყოფი მაღალი თანამდებობის პირები, თვით მინისტრებამდე და პრემიერ-მინისტრებამდეც კი!), ეს ძირითადად თუ მეტწილად სწორედ იმის წყალობით მოხდა, რომ ბრალდების მხარის მიერ ხელში ჩაგდებულ ამგვარი ორგანიზაციის ზოგიერთ წევრთან აღწევდნენ გარიგებას. ცხადია, ეს ხდებოდა შეღავათების გაწევის (აგრეთვე, როგორც წესი, შემდგომში მათი დაცვის უზრუნველყოფის — სახელის, გვარის და ბიოგრაფიის შეცვლით, სხვაგან დასახლებით და ა. შ.) პირობით. ამგვარი შემთხვევა, ცხადია, უფრო რთულია — გარიგების ინსტიტუტის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რომელიც სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ გაეროს მიერ 2000 წელს მიღებულ კონვენციაში მითითებულ სხვა სპეციალურ, საგამონაკლისო ღონისძიებებთან ერთად.

4. რა ნეგატიური მხარეები აქვს ამგვარ „გარიგებას?“

რუსეთისა და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მენტალიტეტისათვის ამგვარი „გარიგება“ უცხო აღმოჩნდა თუნდაც თვითონ სამართლებრივი სისტემიდან, სისხლის სამართლის პროცესის „იდეოლოგიიდან“ გამომდინარე!.. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით აშშ-შიც კი, როგორც პროფესორი ლ. ფრიდმანი მიუთითებს, მრავალ ამგვარ გარიგებას თვლიან „მართლმსაჯულების სირცხვილად“. უფრო მეტიც, ზოგი თვლის, რომ ამგვარი „ვაჭრობა“ პრინციპულად მიუღებელია ნეოინკვიზიციური ევროპული პროცესისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ხდება წმინდა შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელი მორიგი უსამართლობა — ობიექტური ჭეშმარიტების ჩანაცვლება ე. წ. „კონვენციური (ანუ გარიგებითი შეთანხმებითი, ფორმალური და ა. შ.) ჭეშმარიტებით“. ისევე, როგორც შეჯიბრებაში იმარჯვებს ძლიერი და არა მართალი, აქაც ბევრის აზრით, წინ მიძვრება არა „მონანიე ცოდვილი, ანდა „შეგნებული მოქალაქე“, არამედ გაქნილი ტიპი, უსინდისო „ჩამშვები“. ეს შეშფოთება, უდავოდ, ანგარიშგასაწევია, რადგან საქართველო სულაც არ არის ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც აგერ ახლახან, „წლის ადამიანებად“ აღიარეს სწორედ სამი ასეთი „ჩამშვები“ ქალი!...

საგანგებოდ აღნიშნავენ იმის თაობაზე, რომ, ამ ინსტიტუტის შემოღების შემთხვევაში, უნდა ველოდოთ „ჯაჭვური რეაქციის“ ეფექტს სისხლის სამართალწარმოებაში. გარდა ჭეშმარიტების პრინციპის „შერყევის“ მომენტისა და მხარეთა თანასწორობის ხელყოფისა, თუ ამ პროცესში მაქსიმალურად არ იქნა ჩართული დაზარალებული (რაც, მაგალითად, აშშ-ში, ფაქტობრივად, არ ხდება), ზოგჯერ კი მისი ჩართვის შემთხვევაშიც, არსებობს პროცესის ამ „დაჩაგრული“ მონაწილის ინტერესების ხელყოფის საფრთხე, ანუ, სხვაგვარად, ზოგჯერ ნაკლები დროის, ენერგიისა და სახსრების დანახარჯებით თუნდაც საშუალო შედეგის მიღწევის (დანაშაულის და დამნაშავის ერთდროულად, იოლად მოცილებით!) **საჯარო ინტერესს** (თუმცა ზოგი იმასაც ეჭვობს, არის კი ეს „წმინდა“ საჯარო ინტერესი!) შეიძლება **შეეწიროს** დემოკრატიულ, სამართლებრივ ქვეყნებში პრიორიტეტულად გამოცხადებული **კერძო ინტერესი!...** და ეს იმ შემთხვევაში, როცა მხარეები, გარიგების ინსტიტუტის კონცეფციის ფარგლებში, კეთილსინდისიერნი არიან, ხოლო თუ ამ საქმეში კორუფცია, მოტყუება, ბოროტად გამოყენება, დაუდევრობა და მისთანა ბოროტებანი გამოერია, მაშინ მტრისას — მათი მავნე შედეგების წარმოდგენა ძნელიც კია!...

5. დასკვნის მაგიერ — ორიოდე ასპექტზე

ვფიქრობ, ზემოთ მოტანილი „ძუნწი“ მასალიდანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, თუ რაოდენ წინააღმდეგობრივი, რთული საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტია გარიგება ბრალის აღიარების თაობაზე. „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიას“ პრინციპით მისი მიღება ცოტა დამაფიქრებელი ამბავია. საჭიროა ზედმიწევნით აიწონ-დაიწონოს „ჰოს“ თუ „არას“ სასარგებლო ყველა არგუმენტი. ამასთან, მხედველობის არეში გამუდმებით უნდა გვქონდეს დილემა: სხვა სამართლებრივი სისტემის, სხვა საპროცესო იდეოლოგიის ამ „ღვიძლი შვილის“ ჩვენს მიერ „შვილება“ „ჯაჭვური რეაქციის“ წესით რა მოვლენებს გამოიწვევს, რა ცვლილებათა აუცილებლობის წინაშე დაგვაყენებს, და, საერთოდ, „ჩაჯდება“ თუ არა იგი ორგანულ ელემენტად ჩვენს კანონმდებლობაში, როგორც სისტემაში!...

იური გაბისონია,
თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის დოცენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სხვისი თვალით

სააკაშვილმა, როგორც ჩანს, შეძლო პუტინის მოხიბვლა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი მოსკოვში მაჟორულ ნოტაზე დასრულდა. რუს კოლეგასთან — ვლადიმერ პუტინთან ოთხსაათიანმა მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ მხარეები კმაყოფილი დარჩნენ. პუტინმა და სააკაშვილმა გამოაცხადეს, რომ მზად არიან კომპრომისებისათვის და აღნიშნეს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაიწყო ახალი ეტაპი.

ამავე დროს, საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ბაზების საკითხის შესახებ არანაირი ვაჭრობა არ იქნება — ამ ბაზებს გაიტანენ.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში მოსკოვსა და თბილისს შორის მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებობდა. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მოსკოვში ცდილობდა ეჩვენებინა, რომ პრობლემები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ჩაბარდა წარსულს შევარდნაძის ეპოქასთან ერთად. ვიზიტის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში დათბობის პერიოდი დადგა.

„თბილისში, ჩემი ინაუგურაციის დროს, ვთქვი, რომ ჩვენ მეგობრობის ხელს ვუწვდით რუსეთს“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

„ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ მივიღეთ პირველი დადებითი რეაქცია. ეს ხელი უბრალოდ ჰაერში გაწვდილი არ დარჩა. იმედი მაქვს, ეს მართლაც გადაიქცევა ძალზე ხანგრძლივ და სერიოზულ ხელის ჩამორთმევად“, — მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტს.

მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტის ალექსეი მალაშენკოს აზრით, მიხეილ სააკაშვილმა ამ რთულ მისიას დიდი წარმატებით გაართვა თავი.

„თუ გავითვალისწინებთ იმ პრობლემას, რომლებიც იყო ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, ჩემი აზრით, ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რომ მომავალში ყველაფერი შეუფერხებლად და უპრობლემოდ იქნება“.

„და მაინც, საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო ასეთი ტერმინი „ეპოქალური შეხვედრა“ — ვფიქრობ, რომ პუტინის და სააკაშვილის ეს შეხვედრა სწორედ ასეთთა თანრიგს განეკუთვნება“, — დარწმუნებულია ალექსეი მალაშენკო.

მართლაც, მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობაში მრავლად არის მოუგვარებელი პრობლემა, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის ბაზები.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება ამჟამად არ ღირს. „არ შეიძლება, რომ ამ ორი ბაზის საკითხი გახდეს ძირითადი უშიშროების სფეროში ჩვენს ურთიერთობაში“, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

„არსებობს უშიშროების სხვა საკითხებიც, რომლებიც რუსეთისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და არსებითია, ვიდრე რამდენიმე ასეული ოფიცერი და ჯარისკაცი მომველებული ტექნიკით — ბაზები, რომლებსაც სადღეისოდ სამხედრო დანიშნულება აღარ აქვთ“, — მიაჩნია მას.

რუსეთთან ახალი ურთიერთობის დამყარებას საქართველო, უწინარეს ყოვლისა, აპირებს ეკონომიკაში.

მოსკოვში სააკაშვილი შეხვდა რუს მეწარმეებს და გამოთქვა სურვილი იმის თაობაზე, რომ „რუსულმა ბიზნესმა მტკიცედ მოიკიდოს ფეხი საქართველოში, დამკვიდრდეს ქართული მეწარმეობისა და ბიზნესის ყველა დონეზე“, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ეს მისი ქვეყნისთვის ხელსაყრელი იქნება, რადგან შეიქმნება სამუშაო ადგილები. ამავე დროს, მიაჩნია მიხეილ სააკაშვილს, ეს რუსეთისთვისაც ფრიად სარგებლიანი იქნება.

„როცა ჩვენ დაგვაკავშირებს მცირე ბიზნესის მრავალი ძაფი, პოლიტიკოსები უფრო რაციონალური გახდებიან, გაცილებით ნაკლებ შეცდომას დაუშვებენ, ვიდრე წინათ“, — თქვა საქართველოს ლიდერმა.

ახლა, მიაჩნია ალექსეი მალაშენკოს, საპასუხო სვლა უნდა გააკეთოს ვლადიმერ პუტინმა — სააკაშვილმა გადმოდგა პირველი ნაბიჯი ურთიერთდაახლოების გზაზე და ახლა საპასუხო ნაბიჯის გადადგმას უკვე რუსეთის პრეზიდენტისგან უნდა ველოდოთ.

„ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სააკაშვილმა შეძლო მოეხიბლა პუტინი (ეს კი, სხვათა შორის, იოლი საქმე არ გახლავთ), და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პუტინთან დაახლოებული მრავალი ის პირი, რომლებიც წინათ არცთუ ისე მეგობრულად იყვნენ განწყობილი საქართველოსადმი“, — დაასკვნის ექსპერტი.

ვლადიმერ პუტინი უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე ეწვევა საქართველოს — მაშინ თბილისში მოაწერენ ხელს ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, ორ ქვეყანას შორის, რომელიც უკვე 12 წელია ელის ხელმოწერას.

სააკაშვილმა პუტინი მიიწვია, აგრეთვე, საქართველოს მთის ფერდობებზე თხილამურებით სასრიალოდ. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს სურს გახდეს იმ მსოფლიო ლიდერთაგან ერთ-ერთი, რომლებსაც აქვთ უფლება, შეხვდნენ პუტინს უპალსტუხოდ.

კირილ სუხოცკი,
ბი-ბი-სი, მოსკოვი.

სიტუაცია

ყველა თავისას ცდილობს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფერადი ლითონების მეტალურგიის კათედრის წარმომადგენლებმა ახალი ხელისუფლებისგან „მადნეულის“ საბადოს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი შემადგენლობის გადაყენება და ახალ საბჭოში კათედრის ერთ-ერთი წევრის შეყვანა მოითხოვეს.

ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ფერადი ლითონების მეტალურგიის კათედრის გამგემ ავთანდილ წილოსანმა განაცხადა.

მისი თქმით, 1996 წლიდან მოყოლებული, არავინ იცის, ვინ დაიტაცა ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების გასხვისებისგან მიღებული თანხები. მისივე თქმით, კაზრეთში დარჩენილი 28 ტონის ოქროს გაყიდვის შემთხვევაში, საქართველოს ბიუჯეტში 2 მილიარდამდე ლარი შევა, მაგრამ იმისათვის, რომ დარჩენილი სიმდიდრის გაფლანგვა არ მოხდეს, საჭიროა ყველა სამართალდამცველის და ნებისმიერი ადამიანის ყურადღება კაზრეთისკენ იყოს მიმართული.

„სწავლის ძირი“ შიმშილობით იწყება?!

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დავალებით, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მომხდარ ფაქტს შეისწავლის.

აღნიშნული გადაწყვეტილება ბურჯანაძემ მას შემდეგ მიიღო, რაც პარლამენტის წევრმა აკაკი გასვიანმა პარლამენტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს ოფიციალური წერილი წარუდგინა.

აკაკი გასვიანის განცხადებით, წერილში სამეცნიერო საბჭო საქართველოს პარლამენტს სთხოვს ხმა აღიმაღლოს გუშინ სოხუმის ფილიალში მომხდარი ძალადობის წინააღმდეგ.

გასვიანი უშიშროების სამინისტროსგან აღნიშნულ ფაქტზე შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა და აცხადებდა, რომ სოხუმის ფილიალში სტუდენტთა შეჭრა და მათ მიერ ოთახების დაკავება იმ პოლიტიკური ჯგუფების მიერ იყო ორგანიზებული, რომელთაც ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენა სურთ.

პარლამენტის თავმჯდომარე არ დაეთანხმა აკაკი გასვიანს. ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ უშიშროების სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება არ უნდა მოახდინოს, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა კი უნდა შეისწავლოს ეს ინციდენტი.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ფილიალის დირექტორის ოთარ ჟორდანიას გადადგომის მოთხოვნით უნივერსიტეტის ეზოში აქცია დაიწყეს. სტუდენტების ერთმა ჯგუფმა რექტორის მისაღები დაიკავა.

პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ოთარ ჟორდანიას საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, პროფესორ ზურაბ პაპასკირის დევნაში ადანაშაულებენ და მას შევარდნაძის ხელისუფლების მხარდამჭერად მოიხსენიებენ.

გუშინვე, დაუმორჩილებლობის კომიტეტის 23 წევრმა რექტორის კაბინეტში შიმშილობა დაიწყო.

ეს თუ მარტო ზაზა კაკულიას ჰქონდა...

[illegible] ე.წ. პარტიზანმა, სოფელ ინგირში დროებით მცხოვრებმა ზაზა კაკულიამ ზუგდიდის პოლიციაში ნებაყოფლობით ჩააბარა იარაღი: უნომრო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, 11 ცალი ჰაერსაწინააღმდეგო „ნურსი“, 3 ცალი ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმი „მონ-100,“ სამი ცალი „მონ-50“, ყუმბარმტყორცნი, 5 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და ნაღმის 15 ცალი დეტონატორი, 2 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა თავისი კაფსულ-დეტონატორით, 8 ყუთი სხვადასხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები, 26 ცალი „ბმპ“-ს ჭურვი კაფსულ-დეტონატორით, 120-მილიმეტრიანი ყუმბარმტყორცნის ლულა და 3 ცალი ასაფეთქებელი დეტონატორი.

ინტერ-პრესი — საქინფორმი.

ცესკო

„ამომრჩეველთა სიების მომზადებას მხოლოდ არჩევნებზე მიბმულ საკითხად არ განვიხილავთ“

გვესაუბრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი

— ბატონო ზურაბ, „ახალ მემარჯვენეებს“ შემუშავებული აქვთ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების ვარიანტი. თუმცა, ისინი ამ ინიციატივით მთლად ექსკლუზიურ ავტორებად ვერ ჩაითვლებიან, მსგავსი რამ სხვებსაც შეუქმნიათ. ეს არის საარჩევნო კომისიების პარიტეტული დაკომპლექტების პრინციპი, ანუ შესაძლებლობა, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიას კომისიაში თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს. ამ პრინციპს წინა ხელისუფლების დროსაც ყველა მხარს უჭერდა, მაგრამ საქმე მაინც ვერ დაიძრა.

— იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია გარკვეულ კონსენსუსამდე მივლენ და ცესკოც პარიტეტულ საწყისზე დაკომპლექტდება. იდეალურად მიმაჩნია, საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიული ნიშნით იყოს დაკომპლექტებული, მაგრამ ეს ამ არჩევნებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. ამაზე ფიქრი, უბრალოდ, არარეალური იქნება. დღეს ხელისუფლება და ოპოზიცია იმაზე უნდა შეთანხმდნენ, რომ ცესკო პარიტეტულ წესზე დაკომპლექტდეს. მომავალში კი აუცილებელია საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებაზე გადავიდეთ, მაგრამ ეს საკმაოდ გრძელვადიანი პერსპექტივაა.

— არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. ნაციონალებისა და დემოკრატების ბლოკის შემდეგ „მრეწველების“, „ახლებისა“ და „ედპ-ტრადიციონალისტების“ სავარაუდო გაერთიანებაზე საუბრობდნენ. კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალები“ და „გაერთიანებული დემოკრატები“ გაერთიანებას აღარ აპირებენ და ახლა გაერთიანება სხვა პარტიებთან, კერძოდ, „მრეწველებთან“ მიმდინარეობს. სწორედ ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ „მრეწველების“ ინიციატივით ცესკომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო ბლოკების შესაქმნელად ვადა გაუგრძელა.

— ვინ ვისთან გაერთიანდება, ეს მათი საქმეა. ბლოკების შექმნის შესახებ განაცხადი და საარჩევნო ბლოკის წესდება პარტიებს ცესკოს თავმჯდომარისთვის 14 თებერვალს უნდა წარედგინათ, თუმცა პარტიებმა ერთ ბლოკში გაერთიანებას ვერ მოასწრეს. „მრეწველების“ წარმომადგენელი ნოდარ ჭყონია ცესკოს სხდომაზე პარტიათა ერთ ბლოკში გაერთიანების ვადის გადაწევის ინიციატივით გამოვიდა. კენჭისყრით გაირკვა, რომ ამ ინიციატივის წინააღმდეგი მხოლოდ „ლეიბორისტები“ და „ახლები“ იყვნენ. ბლოკების შექმნის შესახებ განაცხადისა და საარჩევნო ბლოკის წესდების ცესკოში წარდგენის ბოლო ვადად 19 თებერვალი განისაზღვრა. შესაბამისად, ბლოკების რეგისტრაციის ვადამაც 25 თებერვლამდე გადაიწია.

— ბატონო ზურაბ, როგორც ცნობილია, ცესკომ იმ ამომრჩეველზეც იზრუნა, რომელსაც ხმის მისაცემად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჩამონათვალიდან პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი არ გააჩნია.

— დიახ, ეს პრობლემაც გადასაწყვეტი იყო. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა მოწმობის გაცემისა და მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესის ინსტრუქცია დაამტკიცა. დადგენილების მიხედვით, მოწმობა გაიცემა სოფელში, თემსა თუ დაბაში მცხოვრებ მხოლოდ იმ ამომრჩეველზე, რომელსაც ამომრჩეველთა სიაში შესაყვანად და ხმის მისაცემად, როგორც აღვნიშნეთ, პირადობის დამადასტურებელი არც ერთი აუცილებელი დოკუმენტი არა აქვს.

ცესკოს გადაწყვეტილებით, მოწმობის გაცემის მოთხოვნით, ამომრჩეველს შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, კენჭისყრამდე ხუთი დღით ადრე. კენჭისყრის დასახელების შემდეგ ამომრჩევლის მოწმობები ილუქება და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ეგზავნება, სადაც საბოლოო შეჯამებიდან 10 დღის განმავლობაში ინახება.

— ბატონო ზურაბ, ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ბაზის საბოლოო შექმნა ივნისში მოხდება. ესე იგი, ამომრჩეველთა სიის, ასე ვთქვათ, სრულყოფილი ფორმირება მხოლოდ ივნისშია შესაძლებელი. ამასთან, ცესკო ირწმუნება, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე სიების ხელნაწერი ვარიანტი არ დარჩება, ანუ კომპიუტერულს მიმატებული იმ ამომრჩევლის სია, ვინც რეგისტრაციას ახლა გაივლის, ნაბეჭდი იქნება. არჩევნებამდე დარჩენილ დროში რამდენად არის შესაძლებელი ამ ყველაფრის მოგვარება? თქვენი ოპონენტები მოითხოვენ, რომ არჩევნების დღეს მაგიდაზე მხოლოდ ნაბეჭდი სიები დაიდოს.

— ჩვენი მიზანიც ის არის, რომ არჩევნების დღეს მაგიდაზე მხოლოდ ნაბეჭდი სიები დაიდოს. ვფიქრობ, ამას შევძლებთ. თუმცა, ამომრჩეველთა სიების მომზადებას ჩვენ არ განვიხილავთ, როგორც არჩევნებზე მიბმულ საკითხს. ეს პროცესი დეკემბერში დაიწყო, დღესაც გრძელდება და მისი დამთავრება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არის დაგეგმილი.

ესაუბრა
მზია გელენავა.

ეკონომიკა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველად

„ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ“ „ჭიათურმანგანუმის“ ანგარიშზე 1 მილიონ 700 ათასი ლარი გადარიცხა, რამაც მაღაროელთა ზამთრის სეზონზე მუშაობა უზრუნველყო.

„ჭიათურმანგანუმის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის აკაკი გურჯიძის განცხადებით, საწარმომ ხელფასების დარიგებაც შეძლო და წარმოების მოცულობაც გაზარდა. „მსგავსი მაჩვენებელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ გვქონია. თუ „ფერო“ ასე სტაბილურად გააგრძელებს პროდუქციის შესყიდვას, ფეხზე დავდგებით“, — განუცხადა „ინტერ-პრესს“ გურჯიძემ.

მუშა-მოსამსახურეებს აღუდგათ უფასო კვება და სამედიცინო მომსახურება. საწარმომ დამატებით 5 ერთეული სამთო ტექნიკა შეიძინა.

„ჭიათურმანგანუმში“ 3 ათასი ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 200-300 ლარს შეადგენს.

„ჭიათურმანგანუმი“ ზესტაფონის „ფეროს“ წინასწარი გადახდის საფუძველზე ყოველთვიურად 10 ათას ტონამდე მანგანუმის კონცენტრატს აწვდის.

სპორტი

დოპინგი, რომელიც აკრძალული არ არის

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ეპატიჟება.

ამის შესახებ ჯანო ბაგრატიონმა ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

„ვარდების რევოლუციის“ მშვიდობიანად დასრულების და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ჩვენ ბატონ მიხეილს მივულოცეთ გაპრეზიდენტება. ამავდროულად, ოფიციალურად დავპატიჟეთ იგი ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ბატონი პრეზიდენტის ათენში ჩამოსვლა უდიდესი სტიმული, მე ვიტყოდი, „დოპინგი“ იქნება ოლიმპიადაში მონაწილე ქართველი სპორტსმენებისთვის“, — განაცხადა ჯანო ბაგრატიონმა.

კვლავ — ბადრი პატარკაციშვილი



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური პრობლემები მიმდინარე წლის დასაწყისში ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაარსებულმა „ოლიმპიურმა ფონდმა“ გადაჭრა.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი ამბობს, რომ დღემდე სპორტის დასაფინანსებლად სახელმწიფოს არაფერი გამოუყვია და ამ პერიოდში სწორედ „ოლიმპიური ფონდისა“ და პირადად მისი დამაარსებლის ბადრი პატარკაციშვილის დახმარებამ მისცა საშუალება ქართველ სპორტსმენებს შეკრებების მოსაწყობად და სალიცენზიო ტურნირებზე გასამგზავრებლად.

ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის თქმით, მარტიდან „ოლიმპიური ფონდი“ ქართველი სპორტსმენების ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის მოსამზადებლად მათი დაფინანსების კიდევ უფრო გაზრდას აპირებს.

კრიმინალი

40 წელს დამატებული 20 წელიწადი

40 წლის ქალის წინააღმდეგ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უკვე დასრულდა და იგი განსახილველად სასამართლოს გადაეგზავნა.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, აღნიშნული საქმე 2003 წლის 13 აგვისტოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურაში აღიძრა.

ვინმე ბოჭორიშვილს, რომელიც წლების განმავლობაში სახელსა და გვარს იცვლიდა, ამ მეთოდით უკვე 40-ჯერ ჰქონდა გადაკვეთილი თურქეთის საზღვარი და აწარმოებდა ადამიანებით ვაჭრობას.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, იგი თურქეთში უკავშირდება ცოლ-ქმარს, ვინმე სევდასა და ოჯხონის, რომლებთანაც საქართველოდან ჩაჰყავდა გოგონები და იქვე მდებარე საროსკიპოში ტოვებდა, საიდანაც გოგონები თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ. აღნიშნული საროსკიპოდან ორმა გოგონამ მოახერხა გამოქცევა და სამართალდამცველებთან ფარულად დაკავშირება.

ამ საქმის გამოძიება 2004 წლის თებერვალში დამთავრდა და სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი, დამტკიცების შემთხვევაში 15-დან 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ენერგეტიკა

როდის ამუშავდება ხადორჰესი?

კახეთში ხადორჰესის მშენებლობის შესახებ აქაური მოსახლეობის სადღეისო განწყობილება განსაკუთრებულია.

როგორც ხადორჰესის მშენებლობის მენეჯერმა, მშენებელ-ინჟინერმა გოგი გუმაშვილმა თქვა, ელექტროენერგია კონტრაქტით 25 დეკემბრისთვის უნდა გაშვებულიყო, მაგრამ რთული ბუნებრივი პირობების გამო, ვერ მოხერხდა.

თორმეტი მეგავატი სიმძლავრის გენერატორი ელექტროენერგიას ჯერ ახმეტის ელექტროსადგურს მიაწვდის, აქედან სხვა ხაზებზე გადანაწილდება.

მეორე გვირაბის გაყვანა სექტემბრის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს, რომელშიც შევა ნაკადის სიუხვით გამორჩეული ალაზნის წყალი და უფრო დიდი სიმძლავრისა იქნება.

აქვე საცხოვრებელი სახლი შენდება, რომელიც ამ თვის ბოლომდე გადაეცემა საექსპლუატაციოდ.

ჰესისადმი დიდი მხარდაჭერა და დაინტერესება იგრძნობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კახეთის მხარის ელექტროენერგიით მომარაგება.

იზა ჯაჭვაძე.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

კომპეტენტური აზრი

ეროვნული უშიშროების საბჭო და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება

უსაფრთხოების ცნებამ თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისი დატვირთვა. ბიპოლარული მსოფლიოს ტრანსფორმაციის პიროზებში წინ წამოიწია უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტებმა. მათ შორისაა ეკონომიკური უსაფრთხოება — ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა, პიროვნების ეკონომიკური მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების არსებობის პირობებში.

ტერმინი „ეკონომიკური უსაფრთხოება“ პირველად XX საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი ამოცანაა მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება. ამ დროიდან დაიწყო ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინების, სტრატეგიების, კონცეფციების შემუშავება ბევრ ქვეყანაში.

საქართველოში ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ 1997 წლიდან მიმდინარეობს. პირველი პროექტი სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კონცეფციის ეკონომიკური საკითხები“ გაეროს ხელშეწყობით, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრში მომზადდა. მეორე პროექტი „საქართველოს ეკონომიკური უშიშროების კონცეფცია“ იმავე წელს უშიშროების სამინისტროდან გაიგზავნა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში, თუმცა სამწუხაროდ, არც ერთი ზემოთ ნახსენები პროექტი სერიოზულად არ განხილულა.

ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2003 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმით შესრულდა თემა: „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია“. იგი წინამორბედებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ფორმით (ე. წ. არქიტექტონიკით), ისე შინაარსით. და, რაც მთავარია, სერიოზულობით, ვინაიდან მასში თითქმის ამომწურავადაა განხილული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას ემუქრება. მიზანშეწონილად მიმაჩნია:

ა) საქართველოს პრესაში, სამეცნიერო და სამთავრობო წრეებში გარკვეული იმპულსი მივცეთ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის (დოქტრინის) შესახებ დისკუსიის დაწყებას, რათა ხელთ გვქონდეს ამ პროექტის ოპტიმალური ვარიანტი;

ბ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებზე აუცილებელი ექსპერტიზა გაიაროს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესმა საკითხებმა (სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენამ, ე.წ. „სამხედრო ბიუჯეტმა“ საბიუჯეტო პროცესის ხუთივე საფეხურზე, საგარეო-ეკონომიკურმა ხელშეკრულებებმა, სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების აქციონირების და პრივატიზაციის პრინციპებმა და სხვა).

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი მიზანია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სიძნელეების დაძლევა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ამ ამოცანიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მოთხოვნებს. ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების კონკრეტული სახეების განსაზღვრა და ციფრობრივი ზღვრული პარამეტრების დადგენა უნდა განხორციელდეს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველზე დამუშავებულ მიზნობრივ პროგრამებში.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდებია: პოლიტიკური (დიპლომატია, სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებები, დიასპორა, კულტურული კავშირები, ლობირება, სახალხო დიპლომატია და ა. შ.), ეკონომიკური (ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაცია, ეროვნული ვალუტის დაცვა, სახელმწიფოს ინტერესებში პრივატიზების პროცესის შესაბამისობა და ფისკალური პოლიტიკის დახვეწა, სტრატეგიული რესურსების მარაგების შექმნა, რესურსებით მდიდარი ქვეყნების მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირება, ეკონომიკური დაზვერვა და ა.შ.), ძალისმიერი (საპასუხო ეკონომიკური სანქციებით ზემოქმედება, სამხედრო შენაერთების გამოყენება ეკონომიკური სივრცის დასაცავად და ა. შ.).

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთი რომელიმე უწყების ძალისხმევა არ გამოიღებს სასურველ ეფექტს. საჭიროა კომპლექსური, უწყებათაშორისი კოორდინაცია ყველა იმ სამინისტროსა თუ უწყების საქმიანობისა, რომლებიც ეკონომიკური საფრთხეების ანალიზზე იმუშავებენ. ასეთი კოორდინაცია კი ეროვნული უშიშროების საბჭოშია შესაძლებელი.

ეროვნული უშიშროების საბჭოზე პერიოდულად უნდა განიხილებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი არსებითი მაჩვენებლები, როგორებიცაა: ნაღდი უცხოური ვალუტის თანაფარდობა ნაღდი ლარების რაოდენობასთან, საცხოვრებელი მინიმუმის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების მქონე ადამიანების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობასთან, ყველაზე მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის 10-პროცენტიანი ფენების შემოსავლებს შორის განსხვავება და ა.შ.

უშიშროების საბჭომ უნდა შეიმუშაოს სახელმწიფოს რეფორმის ინსტიტუციური პროგრამის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა:

— ეკონომიკური სივრცის დაცვა (კონტრაბანდის აღმოფხვრა ინსტიტუციონალური გარდაქმნებით);

— კორუფციული დანაშაულის პროფილაქტიკა ნორმატიული აქტების ექსპერტიზის გზით;

— საინვესტიციო უსაფრთხოება (ენერგეტიკის და სხვა სტრატეგიული ობიექტების საინვესტიციო პროგრამების შესრულების მონიტორინგი);

— ფულად-საკრედიტო სისტემის მდგრადობის შენარჩუნება;

— სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოება („აბრეშუმის გზის“ და მილსადენების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფა);

— სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამ პრობლემების გადაჭრით შესაძლებელი იქნება ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი მაჩვენებლის — სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ამ ეტაპზე ეს საფრთხეები შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ:

— ეკონომიკური სივრცის დაცვა კონტრაბანდისაგან. სამეურნეო დანაშაულის ეს სახეობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის წინაშე სამმაგ საფრთხეს შეიცავს: ჯერ ერთი, ის არათანაბარი კონკურენციის შექმნით აკოტრებს პატიოსან ბიზნესს და აიძულებს მას დამალოს დასაბეგრი შემოსავალი ანუ „ჩრდილში“ გადავიდეს; მეორე, ქვეყნის საბაჟო საზღვრებზე მაღალჩინოსანთა მხრივ მფარველობის გამო, ამა თუ იმ კერძო სტრუქტურის არაჯანსაღი ლობირება იმდენად გავრცელდება, რომ ბიუჯეტში გადასახადების გადახდა იქცევა გამონაკლისად, ხოლო ე.წ. „კრიშების“ მიერ მიღწეული შეღავათები — კანონად. მესამეც, ჩვენში გავრცელებული ტრადიციით სამეურნეო სფეროს მარეგულირებელი ახალი ნორმატიული აქტები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. ამის შედეგად ბევრი მეწარმე ზარალდება, რადგან, როგორც წესი, სამეურნეო ხელშეკრულებებს, ბიზნეს-გეგმებს ბევრი მათგანი გარკვეული წლის მანძილზე აფორმებს. ამა თუ იმ გადასახადის ან მისი ახალი განაკვეთის გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლა, შეიძლება ითქვას, მთლიანად „ანგრევს“ მის გეგმებს, არყევს მის რეპუტაციას უცხოელ პარტნიორებთან. ასეთი ცვლილებები, როგორც წესი, გარკვეული ჯგუფების ლობირების შედეგია და კონკრეტული ბიზნესის ინტერესებშია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (საბაჟო წესების დარღვევა) გამოვლენა და გახსნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მოკვლევის ორგანოების და საგანგებო ლეგიონის კომპეტენციასა და მოვალეობას წარმოადგენს. ამასთან, ასეთი დანაშაულის გამოვლენა და გახსნა შეუძლიათ, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოებს.

გადასახადების დამალვის გამოვლენა მოქმედი კანონმდებლობით ეკისრება საგანგებო ლეგიონს და შსს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურებს. ასეთის გამოვლენა შეუძლია აგრეთვე უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურსაც. ფუნქციები რაიმე ნიშნებით, როგორც ვხედავთ, გამიჯნული არ არის და მოქმედი კანონმდებლობა პარალელიზმსა და დუბლირების უამრავ ნიმუშს იძლევა. ბოლო წლების სტატისტიკის ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, ციფრები თვითდამშვიდების არავითარ უფლებას არ იძლევა და რბილად რომ ვთქვათ, თავის მოტყუების ტოლფასია. ერთიანი ფრონტით შეტევამ არათუ შეამცირა სამრეწველო კონტრაბანდის მასშტაბები, არამედ მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია სამრეწველო კონტრაბანდის დიდი მოცულობით განხორციელება, მით უმეტეს, ქვეყნის შიგნით მისი გადაადგილება რომელიმე სამართალდამცავი უწყების ხელის შეწყობის გარეშე. როგორც უკვე აღვნიშნე, კონტრაბანდისტი დამოუკიდებლად არ მოქმედებს და ვერც იმოქმედებს. შენიღბული ფარული კონტრაბანდა არ არსებობს. ამიტომაა, რომ კორუფციის ხარისხი ყველაზე მაღალია სწორედ იმ უწყებებში, რომლებიც თითქოს მოწოდებული არიან ებრძოლონ კონტრაბანდას. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, უწყებებს შორის პასუხისგებლობის გაბნევაა.

აუცილებლად მიმაჩნია:

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამრეწველო კონტრაბანდასთან ბრძოლის ფუნქცია უნდა ჩამოშორდეს და ამ მიზნით უნდა გაუქმდეს ამ სამინისტროში არსებული ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახური. მას ფუნქციად უნდა დარჩეს ნარკოტიკების, იარაღის და რადიაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდასთან ბრძოლა და ეს მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაც უნდა იქცეს. რაც შეეხება ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზს, პროგნოზს და ამ მიმართულებით მოსალოდნელ საფრთხეებს, ამის უზრუნველყოფა უნდა დაევალოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს და მის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იქცეს. ერთი სიტყვით, უშიშროების სამინისტრო მთლიანად უნდა გათავისუფლდეს „ეკონომიკური ტვირთისაგან“. ეჭვგარეშეა ასეთი ნაბიჯები უშიშროების სამინისტროს პრესტიჟზე, მის ავტორიტეტზე მხოლოდ დადებითად იმოქმედებს.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, მასაც უნდა ჩამოშორდეს დამალული გადასახადების გამოვლენის ფუნქცია და გაუქმდეს შესაბამისად კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს შესაბამისი ქვედანაყოფები. ამ მთავარი სამმართველოს ფუნქციად უნდა დარჩეს ისეთი ეკონომიკური დანაშაულის გამოვლენა და გახსნა, როგორიცაა დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში, მექრთამეობა და სხვა.

ზურაბ გარაყანიძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული იქნება).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვაიმე, ენავ!

როდის ამდიდრებს კალკები ენას და როდის აღარიბებს?

ყოველი ენის განვითარების გზაზე სხვა ენებთან კონტაქტები გარდაუვალია, რის შედეგადაც ხდება ერთი ენიდან სიტყვათა, ცალკეულ გამოთქმათა, ზოგჯერ სინტაქსურ წყობათა და მსგავს მოვლენათა მეორე ენაში („მსესხებელში“) შეღწევა. ეს პროცესი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ხარისხისაა იმისდამიხედვით, თუ რა ინტენსივობისა, რა ხანგრძლივობისა და თანაც რა სახეობის კონტაქტებს გვაგულისხმებინებს, მაგალითად, გააზრებულსა და ბუნებრივს, „სტიქიურსა“ და ნაძალადევს თუ სხვ.

„ნაძალადევობის“ საუკეთესო ნიმუშს წარმოგვიდგენს საბჭოეთის ე.წ. „ენობრივი პოლიტიკა“. ჯერ თავისთავად, რესპუბლიკების ენათა (და საკმაოდ მწიგნობრულად დაწინაურებულ ძველი, მდიდარი მწიგნობრობის მქონე ენათაც კი) თანდათან განდევნამ ოფიციალური ხმარების სფეროდან, მისი გამოყენების უაღრესად შეზღუდვამ და ორენოვნების (ე.წ. „რუსულ-ეროვნულის“) აუცილებლობის მოთხოვნამ და თან ამ ორენოვანი კომპოზიტის ერთენოვნებამდე (მის პირველ კომპონენტამდე) დაყვანის მისწრაფებამ აშკარად შებღალა რესპუბლიკურ ენათა ბუნება და თავისთავადობა. ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი ღონისძიება გამართლებულად ითვლებოდა და მას შეგნებულად წარმართავდნენ სათანადო წრეები. მაგალითისათვის შეიძლება ასეთი ფაქტი გავიხსენოთ: რესპუბლიკების საენათმეცნიერო ინსტიტუტებში „ცენტრიდან“ მოვლინებულ „ლინგვისტთეორეტიკოსებს“ ხელთ ეჭირათ ე.წ. [illegible]

მაც ბუნებრივი გახდა მანქანური თარგმნა სწორედ სათანადო ტექსტების სფეროში!). ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებზე, რომლებმაც უმთავრესად ფეხი მოიკიდა ქართულში ბოლო ხანს, რომელთა საჭიროება ქართულს არა აქვს და ეს ზედმეტი „ქონება“ იწვევს მის გაღარიბებას, შებღალვას მისი ენობრივი თავისთავადობისას; ავიწროებს და დევნის ქართული ენიდან ქართულ ბუნებრივ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ცალკეულ ნასესხებ სიტყვათა ენაში დამკვიდრებისას გასათვალისწინებელია შესაბამისი პერიოდის ენობრივი სიტუაცია, საჭიროა მათი შერჩევისას გვქონდეს გარკვეული პოზიცია. მაგალითად, ქართულ სასაუბრო ენაში არსებული სიტყვები მაგიდა და სტოლი ორივე ნასესხებია, მაგრამ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიენიჭოს „მაგი- [illegible]

[illegible]

ქეთევან ლოლაშვილი

სულიერება

თუ რწმენის კაცი ხარ...

ამ დღეებში სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხეს დავით ქარშაველი. ახალგაზრდა კაცი შემთხვევით როდი აღმოჩნდა ღვთის მსახურთა რიგებში.



[illegible]

[illegible]

თამაზ ძიძავა.

ახალი თარგმანი

პაულო კოელიო

ალქიმიკოსი

„მე ხომ ჩემს ნაცნობ იალაღებზე ცხვრის საძოვებლად მივდივარ“, – გაიფიქრა სანტიაგომ, მაგრამ თავისივე განზრახული რატომღაც ჭკუაში არ დაუჯდა. მთელი წელიწადი იმად დაშვრა, იქნებ როგორმე ჩემს ოცნებას ხორცი შევასხა, მურაზს ვეწიოო, ის ოცნება კი ანაზდად ყოველ წუთს კარგავს თავის მიმზიდველობას. ეგება, ეს სულაც არ არის ოცნება?

მეც ხომ ისეთივე არ გავხდე, როგორიც ბროლის გამყიდველია? მეც მთელი ცხოვრება ხომ არ ვიოცნებო მექაზე, ხოლო იქით მიმავალ გზას არამც და არამც არ დავადგე?“ – ფიქრობდა იგი, მაგრამ ქვებმა, ხელთ რომ ეჭირა, მოხუცი მეფის ძალა და გაბედულება შემატეს თითქოს.

უცნაური დამთხვევა იყო თუ ნიშანი რამ? – სანტიაგო სწორედ იმ დუქანში შევიდა, სადაც ტანჟერში ჩამოსვლის პირველ დღეს აღმოჩნდა. ცხადია, ის თაღლითი და ორყაბაზი, ის ცუხი იქ აღარ იყო. მედუქნემ ერთი ჭიქა ჩაი მოუტანა.

„ისევ გამწყემსებას ყოველთვის მოვასწრებ, – ფიქრობდა ჩაის ჭიქაზე თავდახრილი სანტიაგო. – ცხვრის მწყემსვა და პარსვა ჩემი ხელობაა, არსად გამექცევა. პირამიდებთან მისვლის შესაძლებლობა კი ვაითუ აღარც მომეცეს. ოქროსსამკერდულიანმა ბერიკაცმა მთელი ჩემი ამბავი იცოდა. ის ნამდვილი მეფე იყო, თანაც ბრძენი“.

მხოლოდ ორი საათის სავალი გზა აშორებდა სანტიაგოს ანდალუზიამდე, პირამიდებამდის კი უნაპირო უდაბნო გაწოლილიყო. მაგრამ ნამწყემსარი იმასაც უმალ მიხვდა, რომ სხვაგვარადაც შეეძლო ამ ამბისთვის შეხედვა: უნჯ-განძისკენ მიმავალი გზა ორი საათის სავალით იყო შემოკლებული, თუმცა თავად მან ამასთანავე მთელი ერთი წელიწადი დაკარგა.

„რატომაც მინდა ჩემს ცხვარში დაბრუნება, გასაგებია: თითოეულს ვიცნობ და მიყვარან კიდეც, არც ბევრი გადაყოლა მჭირდება. უდაბნოს სიყვარული კი განა შეიძლება? არადა, სწორედ უდაბნო მალავს და ჩქმალავს ჩემს უნჯ-განძს: თუკი ვერ მივაგნებ, ავდგები და წამოვალ. რახან ისე მოხდა, რომ ამხელად ფულიცა მაქვს და დროც, ვითომ რატომ არ უნდა ვცადო ბედი?“

ამ წუთას მან უსაზღვრო სიხარული იგრძნო. მწყემსობას არცროდის არცვინ დაუშლის. და გარდა ამისა, როცა უნდა, ბროლით ვაჭრობას მაშინ მიჰყოფს ხელს. რასაკვირველია, ამქვეყნად ბევრი სხვა უნჯ-განძიც არის დაფარულ-დამალული, მაგრამ ვინმემ სხვამ კი არა, სწორედ მან იძილისშორისა ორჯერ ერთი და იგივე სიზმარი და მოხუცი მეფეც სწორედ მან მოიხილა.

დუქნიდან თავისი თავით კმაყოფილი გამოვიდა. უცაბედად წამოაგონდა, რომ ბროლის ვაჭრისთვის ერთ-ერთ საქონლის მომწოდებელს ბროლი უდაბნოგამოვლილი ქარავნებით მოჰქონდა. სანტიაგოს ერთ ხელში ურიმი ჩაებღუჯა, მეორეში – თუმიმი. – დასტურ ამ ქვების წყალობა იყო, რომ მან კვლავ გადაწყვიტა თავისი უნჯ-განძის საძებნელად წასვლა.

„მე მუდამ იმის გვერდით ვარ, ვინც თავის ბედსა სდევს“, – გონებაში წამოუტივტივდა მელქისედეკის ნათქვამი.

რა დიდი გაგება უნდა: მივა ქარვასლაში და ჰკითხავს, როგორც ამბობენ, პირამიდებამდის მართლა ისე შორია თუ არა.

* * *

ნაგებობა, სადაც ინგლისელი იჯდა, უფრო ბოსელსა ჰგავდა, – ოფლის, მტვრისა და ოთხფეხის სუნად ქოთდა. „ათი წელიწადი თურმე იმისთვის ვისწავლე, რომ ამ სოროში მოვხვედრილიყავი“, – ფიქრობდა ინგლისელი და დაბნეულად რომელიღაც ქიმიის ჟურნალს ფურცლავდა.

უკან დასახევი გზა კი არა ჩანდა, საჭირო იყო ნიშნების მიყოლა, მთელი თავისი ცხოვრება მან იმას მოანდომა, რომ როგორმე ეპოვა ის ენა, რომელ ენაზეც სამყარო მეტყველებდა. ათი წელიწადი ამისთვის სწავლობდა. თავდაპირველად ესპერანტომ გაიტაცა, მერმე მსოფლიოს რელიგიებით და ბოლოს – ალქიმიით დაგულისყურდა. ამიტომაც არის, რომ ახლა სრულიად თავისუფლად ლაპარაკობს ესპერანტოზე, ზედმიწევნით იცის სხვადასხვა სარწმუნოებრივი მოძღვრება, მხოლოდ ალქიმიკოსი ვერ გახდა ჯერ კიდევ. რაღაც-რაღაცა მუღამს, ცხადია, ჩასწვდა, მაგრამ სადღეისოდ, როგორც იტყვიან, ბუზკასავით გაიჭედა ერთსა და იმავე ადგილზე და თავის კვლევა-ძიებაში ერთი ნაბიჯის წინ წადგმასაც ვერ ახერხებს. ამაოდ ეცადა, იქნებ ვინმე ალქიმიკოსმა ხელი წამაშველოსო, – ვისაც კი მიადგა, სუყველა კარჩაკეტილი და უცხვირპირო გამოდგა, პასუხი ერთი იყო: ჩემი თავი გამჭირვებია, შენ რა უნდა დაგეხმაროო, მკვდარი მკვდარს ნუ ამეკიდებიო. ეგება, სულაც იმიტომ ამუნათებენ ისინი თავიანთ თავს და გულსაც იმიტომ არ უშლიან, რაკი დღესაქამომდე ვერა და ვერ მიაგნეს ფილოსოფიური ქვის საიდუმლოს?

ინგლისელს თავის უნაყოფო კვლევა-ძიებაზე უკვე შემოეხარჯა კიდეც მამისეული მემკვიდრეობის კარგა დიდი ნაწილი. დედამიწის ზურგზე თუ სადმე საუკეთესო ბიბლიოთეკაა, გადაუქექელი არ დარჩენია, ხოლო ყველაზე იშვიათი და ყველაზე მნიშვნელოვანი ალქიმიური წიგნები – უყიდველი. ერთ-ერთ ასეთ წიგნში მან მავანი და მავანი გამოჩენილი არაბი ალქიმიკოსის ამბავი ამოიკითხა, რომელ ალქიმიკოსსაც მრავალი წლის წინათ ევროპა მოენახულებინა; იმ წიგნის მიხედვით, ის სახელოვანი არაბი ორას წელზე მეტი ხნისა იყო, ფილოსოფიური ქვაც ეპოვა და უკვდავების ელექსირიც აღმოეჩინა, რაც თავისთავად უჩვეულოდ მომხიბვლელი ჩანდა, მაგრამ ინგლისელისთვის, ალბათ, ლეგენდად დარჩებოდა, ერთხელაც უდაბნოს არქეოლოგიური ექსპედიციიდან დაბრუნებულ მეგობარს რომ არ ეამბა, ელ-ფაიუმის ოაზისში ზებუნებრივად ნიჭცხებული ვინმე არაბია, რომელიც თურმე ორასი წლისაა და რაგინდარა ლითონს ილეკროს ოფაზ ოქროდ აქცევსო.

ამის გაგონება იყო, და ინგლისელმა იმ საათშივე გადადო სუყველა თავისი საქმე და შეხვედრა, თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან წამოიღო რაც რამ ყველაზე საჭირო უჩანდა, და ახლა უკვე აქ არის, ამ ბოსლისა თუ გომურის მსგავს ნაგებობაში, გარეთ კი ბზირზე დგას, ანუ მზად არის წასასვლელად ულამ-ქარავანი, რომელმაც საჰარა უნდა გაიაროს, და გზად ელ-ფაიუმის ოაზისიც შეხვდებათ.

„მე ჩემი თვალით უნდა ვნახო ის შეჩვენებული ალქიმიკოსი“, – გაიფიქრა ინგლისელმა, და ამწუთას აქლემების მყრალი სუნიც კი ისე აუტანელი აღარ ეჩვენა.

აქ ინგლისელს ზურგზე ტავარჯუხმოკიდებული ახალგაზრდა არაბი მიეახლოვა და მიემშვიდობა.

– საით გაგიწევიათ? – ჰკითხა მან.

– უდაბნოში მივდივართ, – მიუგო ინგლისელმა და კვლავ კითხვა განაგრძო.

ლაპარაკისთვის არ ეცალა: რაც კი რამ ათი წლის განმავლობაში ესწავლა, მეხსიერებაში უნდა აღედგინა – ხომ შეიძლება, რომ იმ ალქიმიკოსმა სულაც ცოდნა შეუმოწმოს?

ამასობაში ახალგაზრდა არაბმა იქვე ახლოს ფეხი მოირთხა, ტავარჯუხიდან წიგნი ამოიღო და გადაშალა. ინგლისელმა შეამჩნია, რომ წიგნი ესპანური იყო.

„კარგია“, – გაიფიქრა მან, რადგან ესპანურად უკეთესად ლაპარაკობდა, ვიდრე არაბულად.

ეს ჭაბუკიც თუ ელ-ფაიუმს მიდის, სულ რომ არაფერი, თავისუფალ დროს დამლაპარაკებელი მაინც ეყოლება.

* * *

„ღმერთმანი, სასაცილოა, – ფიქრობდა ამასობაში სანტიაგო და თან კიდევ ერთხელ ჩაიკითხა დაკრძალვის ამბავი, რითაც წიგნი იწყებოდა – უკვე თითქმის ორი წელიწადი ვკითხულობ და მიჯაჭვულივით იმავე ადგილზე ვარ“.

გვერდით ამჯერად მეფე მელქისედეკი არ ედგა, მაგრამ ნამწყემსარს გულისყური მაინც ვერ მოეკრიბა. თავისი აწინდელი განზრახვაც ჯერ კიდევ აეჭვებდა და ყურადღებას უფანტავდა. თუმცა მთავარი კარგად ესმოდა: რისამე ქმნის განზრახვა მხოლოდ დასაწყისია. როცა კაცი არჩევანს მოახდენს და რასმე განიზრახავს, ის თითქოს ნიაღვარს ეძლევა, რომელი ნიაღვარიც უმალ იქ აღმოაჩენს, სადაც მისვლა კაცს ადრე ფიქრადაც არ გაუვლია.

„უნჯ-განძის საძებნელად გზას რომ გავედე, მებროლეს ნოქრად თუ დავუდგებოდი, ვარაუდადაც არ დამიჭერია. ზუსტად აგრევე ეს ულამ-ქარავანიც ეგების ჩემი არჩევანია, ჩემი განზრახვაა, მაგრამ სად და ვისთან მიმიყვანს, ეშმაკმა უწყის“.

გვერდით ევროპელი ეჯდა და ისიც წიგნს კითხულობდა. სანტიაგომ ევროპელი მაინცდამაინც კარგ თვალზე ვერ დაინახა, რადგან ნაგებობაში შესვლისთანავე რაღაც გაღიზიანება შეატყო. თუმცა, ამასაც ეშველებოდა და, ალბათ, გაეცნობოდნენ კიდეც ერთმანეთს, ევროპელს ლაპარაკი უცებ რომ არ შეეწყვიტა.

სანტიაგომ წიგნი დახურა, – რახან ეგ კითხულობს, მე არ წავიკითხავო, არ უნდოდა, რომ რამეთი დამსგავსებოდა ამ უცხოელს, – მერმე ჯიბიდან ქვები ამომუჭა და აათამაშა.

– ურიმი და თუმიმი! – განცვიფრდა ევროპელი.

სანტიაგომ ჩქარ-ჩქარა დამალა ქვები.

– არა ვყიდი, – უთხრა ევროპელს.

– მე შენ გეტყვი, ძვირად ფასობს ან ერთი, ან მეორე, – მიუგო მან – ჩვეულებრივი კრისტალებია. დედამიწის ზურგზე ეგეთი ქვები რამდენიც გინდა, იმდენია. შენ მცნობარი მითხარი, თორემ ურიმისა და თუმიმის გამოცნობას რა უნდა. ოღონდ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუ ამ მხარეშიც შევხვდებოდი.

– მეფის ნაჩუქარია, – მიუგო სანტიაგომ.

უცხოქვეყნელს თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდა, აცახცახებული ხელი ჯიბეში ჩაიყო და ზუსტად ისეთივე ქვები ამოიღო.

– შენ რა, მეფეს ელაპარაკე? – ჰკითხა მან სანტიაგოს.

– შენ, გატყობ, ვერც წარმოგიდგენია, მეფენი თუ მწყემსებს ელაპარაკებიან, – მიუგო სანტიაგომ, რომელსაც ლაპარაკის იშტა დაჰკარგოდა.

– არც ეგრეა საქმე. მწყემსებმა პირველებმა აღიარეს მეფე, როცა ქვეყნად ის ჯერ კიდევ არცვინ იცოდა. მეფეები რომ მწყემსებს ელაპარაკებიან, უჩვეულო რამ სულაც არ არის. – და თითქოს ეშინია, ვაითუ ვერ გამიგოო, ინგლისელმა ზედვე მოაყოლა: – ეს ბიბლიაშია ჩაწერილი, მე სწორედ იქიდან ამოვიკითხე ურიმისა და თუმიმის ამბავი. ღმერთი მხოლოდ ამ ქვებით მისნობის ნებასა გვრთავს. ქურუმთ ესენი ოქროს სამკერდულებზე ებნიათ.

სანტიაგო ქარვასლაში მოსვლას ახლა უკვე აღარ ნანობდა.

– იქნებ ეს სულაც ნიშანია, – თავისი ნაფიქრი ხმამაღლა დასცდა ინგლისელს.

– შენ ვინ გითხრა ნიშნების ამბავი? – ცნობისწადილი მოეძალა სანტიაგოს.

– ქვეყნად რაც რამეა, სულ ნიშნებია, – მიუგო ინგლისელმა და გვერდზე გადადო თავისი ჟურნალი. – უხსოვარ დროს ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე სწორედ ამ საყოველთაო ენას ვეძებ. ამიტომაც ვარ აქ. რაღაც არ უნდა დამიჯდეს, მაინც უნდა ვიპოვო ის კაცი, ის ალქიმიკოსი, რომელიც ამ საყოველთაო ენასა ფლობს.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ქარვასლის პატრონიც გამოჩნდა, კარგა გვარიანად ჩაკურატებული არაბი.

– იღბალი გქონიათ, – თქვა არაბმა – დღეს ნასადილევს ელ-ფაიუმს ქარავანი მიდის.

– მე ეგვიპტეში მივდივარ? – დაბნეულმა წამოიძახა სანტიაგომ.

– ელ-ფაიუმიც სწორედ ეგვიპტეშია. შენ საიდან ხარ?

საიდან ვარ და ესპანეთიდანო, მიუგო სანტიაგომ. ინგლისელს გაეხარდა: უყურე ერთი, არაბულად აცვია, ევროპელი კი ყოფილაო.

– ნიშნებს ეგ იღბლის ქონას, ბედის წყალობას ეძახის, – თქვა მან, როცა ჩაკურატებული არაბი გავიდა. – მე რომ ავმღგარიყავი და წიგნი დამეწერა „ბედის წყალობასა“ და „დამთხვევაზე“, კარგა სქელი ენციკლოპედია გამოვიდოდა. სწორედაც ამ სიტყვათაგან შედგება საყოველთაო ენა.

და დასძინა, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდით და შენც აღმოგაჩნდა ურიმ-თუმიმი, ეს უბრალოდ დამთხვევის ამბავი არ არისო. მერმე კი ახლა ის იკითხა, შენც ალქიმიკოსის საძებნელად ხომ არ ხარ წამოსულიო.

– მე უნჯ-განძს ვეძებ, – მიუგო სანტიაგომ და ენაზე იკბინა, ეს რამ წამომაცდენინაო.

თუმცაღა ინგლისელმა, თითქოს აინუნშიაც არ მოსდის სანტიაგოს ნათქვამიო, ისე ჩაულაპარაკა:

– არც უმაგისობაა.

– მართალი თუ გინდა, მე კარგადაც არ გამეგება, რა არის ალქიმია, – წარმოთქვა სანტიაგომ, და ქარვასლის პატრონის ხმაც გაისმა, გამოდით, თუ გამოდიხართ, რაღას უყურებთო.

* * *

– ულამ-ქარავანს მე გავუძღვები, – ეზოში გამოსულთ უთხრა გრძელწვერიანმა შავთვალწარბა კაცმა. – ვინც გამომყვება, სუყველას სიცოცხლე და სიკვდილი ჩემს ხელშია, რადგან უდაბნო ხუშტურიანი რამ არის და ხშირად ჭკუაზე შლის ზედ მავალთ.

გზაზე გასადგებად ორასამდე კაცი იჭერდა თადარიგს, ოთხფეხნი კი – აქლემები, ცხენები, სახედრები – თითქმის ორჯერ მეტნი ჩანდნენ. ინგლისელს წიგნებით გატენილი რამდენიმე ჩემოდანი წამოეღო. ეზოში ჩოჩქოლი გაჰქონდათ ქალებს, ბავშვებსა და ხმალშემორტყმულ, გრძელთოფგადაკიდებულ კაცებს. ირგვლივ ისეთი გნიასი იდგა, წამძღოლ-ეტიკს რამდენჯერმე მოუხდა თავისი ნათქვამის გამეორება.

– აქ ათასი ჯურის ხალხია შეკრებილი და ყველა თავის ღმერთს ევედრება. მე კი მხოლოდ და მხოლოდ ალაჰსა ვმსახურებ, და იმის სახელსა ვფიცავ: ყველაფერს ვიზამ და მოვიღონისძიებ, რათა კვლავაც ვძლიო უდაბნოს. აწ სუყველამ თქვენ-თქვენი ღმერთი დაიფიცეთ, რომ არამც და არამც არ გამიწევთ ურჩობას, რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოვჩნდეთ. უდაბნოში რაღა ურჩობა და რაღა დაღუპვა, სულერთია.

ამის თქმა იყო, და ატყდა ერთი ქლავქლავი და ბუბუნი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითოეულმა თავის ღმერთს მიმართა. სანტიაგომ ქრისტეს სახელი დაიფიცა. ინგლისელს კრინტი არ დაუძრავს. ხალხი ბევრად მეტხანს ქლავქლავებდა და ბუბუნებდა, ვიდრე დაფიცებისთვის იყო საჭირო. დაგვიცავი და დაგვიფარეო, შესთხოვდნენ ზეცას უდაბნოსთან შესაჭიდებლად მიმავალნი.

მერმე ბუკსა ჰკრეს, საყვირს ჩაჰბერეს, და ყველანი ამხედრდნენ. სანტიაგო და ინგლისელი ძლივს აფოფხდნენ თავიანთ ახალნაყიდ აქლემებზე. ნამწყემსარმა თვალი შეავლო თავისი თანამგზავრის აქლემს და შეჰბრალდა, ისე უღმერთოდ დაეზურგა ინგლისელს წიგნებიანი ჩემოდნებით საწყალი პირუტყვი.

– მართალი თუ გინდა, რაღაცა რაღაცას ემთხვევაო, – თითქოს წეღანდელი საუბარი განაგრძო ინგლისელმა. – ტყუილია. მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ერთ ჩემს მეგობარ კაცს ყური მოეკრა, აქა და აქ ვინმე არაბია, რომელიცაო...

მაგრამ ინგლისელის ლაპარაკი დაძრული ქარავნის ხმაურში შთაინთქა. თუმცაღა, სანტიაგოს ძალიანაც კარგად ესმოდა, რასაც გულისხმობდა ინგლისელი: ამქვეყნად უთუოდ არის ერთიმეორესთან გადაბმულ მოვლენათა იდუმალი რამ ჯაჭვი. სწორედ ამ ჯაჭვმა გაამწყემსა სანტიაგო, სწორედ მან აძილისშორისებინა ორჯერ ერთი და იგივე სიზმარი, აფრიკის სანაპიროსთანაც მან მოიყვანა, აქვე, ერთ პატარა ქალაქში, მეფეს შეახვედრა, მერმე ახლა ყალთაბანდის მსხვერპლი გახადა, მალე კი მავან მებროლეს ნოქრად დაუყენა და...

„რაც უფრო შორს გაუყვები შენს საკუთარ გზას, მით უფრო მეტად დაგანახვებს შენსავე ცხოვრებას“. – გაიფიქრა სანტიაგომ.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა.
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 29-36.

საზღვარგარეთ

მერიკის შეერთებული შტატები ჰაიტის რეზიდენტის დამხობის წინააღმდეგია

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აცხადებს, რომ ჰაიტის პრეზიდენტის ჟან-ბერტრან არისტიდის დამხობა ვერ შეუწყობს ხელს ამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის მოგვარებას და ძალადობის შეწყვეტას. გასულ კვირას ჰაიტში მომხდარი შეტაკებების შედეგად 47 კაცი დაიღუპა.

როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა თქვა, [illegible]

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ [illegible]

[illegible]

სტიქიური უბედურება თურქეთში

ბალკანეთის ნახევარკუნძულის მხრიდან შემოსული მძლავრი ციკლონი დაატყდა თავს თურქეთის ტერიტორიას. ქვეყანაში უხვად მოვიდა ნალექები წვიმის და სველი თოვლის სახით. [illegible]

[illegible]

...ᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲜ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ ᲓᲘᲐᲜᲐᲡ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ...ᲪᲜᲝᲑ ᲕᲘᲓᲔᲝ ᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ

„ენ-ბი-სი“ იუწყება, რომ 4 და 11 მარტს იგი უჩვენებს ... „პრინცესა დიანა: სიმართლე ნანაწერში“. ... 1991-93 წლებში ... ჩანაწერებს.

[illegible]

1992 წელს გამოქვეყნებულ ... რომლებმაც გამოიწვიეს 1996 წლის ივლისში დიანასა და პრინც ჩარლზის განქორწინება.

ამერიკელ ტანკისტს „ალ-ყაიდას“ დახმარებაში ადანაშაულებენ

ამერიკის ხელისუფლებამ დააკავა ჯარისკაცი, რომელიც ეჭვმიტანილია „ალ-ყაიდას“ ...

[illegible]

... დერსონი ეზიარა ისლამს.

პოდპოლკოვნიკმა სტივენ ანდერსონმა განაცხადა, რომ დაკავებული ... ტული ქსელისათვის საიდუმლო მონაცემების გადაცემაში“.

თუმცა, როგორც ვაშინგტონელი მი... ვერ მოახდენს გავლენას 81-ე ბრიგადის ერაყში გადაყვანის გეგმებზე.

გორბაჩოვს მიანიჭეს „გრემი“

სსრ კავშირის ექს-პრეზიდენტმა დაიმსახურა პრესტიჟული ამერიკული მუსიკალური (!) პრემია

მიხეილ გორბაჩოვს „გრემი“ მიანიჭეს (თანაც, ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტთან ბილ კლინტონთან და კინოვარსკვლავ სოფი ლორენთან ერთად) რუსეთის ეროვნული ორკესტრის უჩვეულო პროექტში მონაწილეობისათვის.

ეს არის კომპაქტ-დისკი, რომელზეც ჩაწერილია სერგეი პროკოფიევის ცნობილი ზღაპარი „პეტია და მგელი“ და მისი თანამედროვე ვერსია — „მგელი და პეტია“. ამერიკელმა ლიტერატორმა უოლტ კრემერმა სპეციალურად ამ დისკისთვის შექმნა ტექსტი, რომელიც ეხება თანამედროვე სამყაროში ადამიანის ურთიერთობას ველურ ბუნებასთან. კლინტონმა და ლორენმა წაიკითხეს ზღაპრების ძირითადი ტექსტი, გორბაჩოვი კი დათანხმდა ჩაეწერა ზღაპრების შესავალი, რამაც, საბოლოო ანგარიშით, მოუტანა კიდეც მას „გრემი“.

ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით გორბაჩოვს და, პირველ რიგში, ასეთი კითხვა დავუსვით:

— ხომ არ გაგაღვიძეთ?

— არა. უნდა გითხრათ, რომ ახლა მოსკოვის ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კაბინეტში ვარ.

— რატომ არ ხართ ლოს-ანჯელესში პრემიის გადაცემის ცერემონიაზე?

— ჩვენ, რატომღაც პრემიის მიღების იმედი არც კი გვქონდა. თუმცა, ჩვენი სახელდახელოდ შექმნილი კომპანია, ძალზე აღაფრთოვანა ნომინაციამ. მაგრამ, შემდეგ სურდათ ასპარეზობიდან ჩვენი მოხსნა. ყოველივე ამის შესახებ დამავიწყდა კიდეც. ასე რომ, ჩვენთვის „გრემის“ მონიჭების ამბავი, ისევე როგორც თქვენ, მხოლოდ დღეს შევიტყვე ტელევიზიით გადაცემული ახალი ამბებიდან.

— როგორი გრძნობა დაგეუფლათ?

— რა თქმა უნდა, ეს ძალზე სასიამოვნოა. მხიარულ განწყობილებაზე ვარ. მით უმეტეს, რომ ზღაპარი სპეციალურად ბავშვებისთვის ჩაწერეს. უკვე ბევრმა მომილოცა. ყველა ძალზე გაოცებულია.

— ხომ არ აპირებთ განაგრძოთ ასეთი წარმატებები ხელოვნებაში?

— ჯერჯერობით, რაიმე წინადადება არ მიმიღია. მაგრამ ახლა, ალბათ, უკვე მივიღებ.

ოლგა ვანდიშევა,
„კომსომოლსკაია პრავდა“,
2004 წლის 10 თებერვალი.

ლატვიის რუსულ სკოლებში ზღუდავენ რუსულ ენაზე სწავლის უფლებას

ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრეიბერგამ ხელი მოაწერა „განათლების შესახებ“ კანონში სეიმის მიერ შეტანილ ცვლილებებს, რომელთა თანახმადაც საგნების სწავლება ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში, მათ შორის რუსულ სკოლებშიც, ძირითადად ლატვიურ ენაზე მოხდება.

კანონის თანახმად, 2004 წლის 1 სექტემბრიდან ეროვნული სკოლების მაღალ კლასებში საგნების მხოლოდ 40 პროცენტს ასწავლიან რუსულ ენაზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო და მუნიციპალურ პროფესიულ სასწავლებლებზე, სადაც პირველი კურსიდანვე სწავლება მხოლოდ ლატვიურ ენაზე იქნება.

კანონში ხაზგასმულია, რომ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში სწავლის ლატვიურ ენაზე შემოღება ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად.

კანონი ძალაში შედის მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან.

ამის პასუხად, რიგაში გაიმართა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლებშიც მონაწილეობდა რიგის, დაუგავპილსისა და ელგავის რუსული სკოლების, აგრეთვე რამდენიმე ლატვიური სკოლის 20 ათასამდე მოსწავლე და მასწავლებელი. ისინი მოითხოვდნენ არა მარტო „განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი შესწორებების გაუქმებას, არამედ თვით პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრეიბერგას გადადგომასაც.

ლატვიაში გასული წლის მაისიდან იმართება რუსული სკოლების „ლატვიიზაციის“ მოწინააღმდეგეთა მასშტაბური საპროტესტო აქციები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ თვით ამ სკოლების მოსწავლეები. მემარცხენე პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა აზრით, „განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ეს ცვლილებები სპობს ლატვიაში საშუალო განათლების რუსულ ენაზე მიღების შესაძლებლობას“.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

ისტორია

სხვა გაზეთებიდან

კრემლის ლეგენდარული დანტისტი დოინიკოვი 1953-1984 წლების პერიოდში მუშაობდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელგანთქმული მე-4 სამმართველოს მთავარ სტომატოლოგად, მკურნალობდა მთელი პარტიულ-სამთავრობო ელიტის წარმომადგენელთა კბილებს. სწორედ მან გამოიგონა სსრ კავშირის სტომატოლოგიური სიმბოლო — კბილის ფხვნილი „განსაკუთრებული“. სულ კი, ამ ადამიანის ანგარიშზე 30-ზე მეტი გამოგონებაა. იგი არის ექიმი, პროფესორი, პედაგოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და სხვა. მიმდინარე წელს მას 85 წელი შეუსრულდება.

კრემლის სტო-

„მე არ მჯერა ხმების, მე მჯერა კბილების!“

— ელიტური კბილები რით გამოირჩევა ჩვეულებრივ მოკვდავთა კბილებისაგან?

— ჩემი პაციენტები ძალზე ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობას და არ შეეძლოთ თუნდაც იმის დაშვება, რომ რომელიმე კბილი გაფუჭებოდათ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ჯანსაღი კბილებისთვის ზრუნვა ყველას კარგა... მოსდიოდა. მაგალითად, პაციე... რიას ისეთი დაავადება ჰქონდ... მელსაც ექიმი ვერ განკურნ... და მთელი ჩემი სურვილის ... დავად, იდეალურად ვერ გა... დი მის კბილებს. ლავრენტი ... დაავადებული იყო პაროდონ... — ამ დროს კბილები თანდა... ბით ირყევა და ცვივა. პარო... ტოზის გამომწვევი მიზეზებ... კვიდრეობითია და პროცესის ... ანად შეჩერება შეუძლებელ...

სხვა ასეთი პაციენტი ახლ... მახსენდება, ტიტოს გარდა. ... ჰქონდა კბილების მორყევის ... დენცია. ჰო, მიქოიანიც დამა... და. იგი ჯერ კიდევ ახალგა... იყო, როცა ყველა კბილი ღ... გა და მთლიან პროთეზს ატ... და. იგი გულმოდგინედ უვლიდ... ვის კბილებს, მაგრამ, სამწუხ... ავადმყოფობამ თავისი გაიტან... ლინსაც სიცოცხლის ბოლოსთვის მხოლოდ სამი თავისი კბილი შემორჩა.

სხვათა შორის, ვერავინ ვერ ხვდებოდა, რომ სახელმწიფოს ზოგიერთი პირველი პირი მთლიან პროთეზებს ატარებდა — იმდენად კარგად და ხარისხიანად იყო ეს პროთეზები დამზადებული. თავისი კბილები, მაგალითად, არც პოდგორნის ჰქონია.

კბილების შენარჩუნებისათვის ძირითადი ფაქტორია კვება — მრავალფეროვანი, დროული და სრულფასოვანი. ამასთან დაკავშირებით, პირველ პირებს, რა თქმა უნდა, პრობლემები არ ჰქონიათ. განსაკუთრებით კარგი კბილები ჰქონდა მოლოტოვს: იგი ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პაციენტი იყო. მოლოტოვი 90 წელს გადაცილებული იყო, როცა გარდაიცვალა, თუმცა, ყველა თავისი კბილი ჰქონდა შენარჩუნებული! მოლოტოვი, ჩვეულებრივ, ღამ-ღამობით მოდიოდა ჩემთან მიღებაზე და ხშირად პირდაპირ სტომატოლოგიურ სავარძელშიც კი ჩათვლემდა ხოლმე. სახალხო კომისრის გაღვიძების უფლებას დაცვა არ გვაძლევდა, მაგრამ ეს საჭირო არ იყო: თხუთმეტი წუთის შემდეგ თვითონვე იღვიძებდა. და ასე ხდებოდა — თითქმის ყოველთვის.

— მსმენია, რომ ბრეჟნევი თავის „დიქციას“ დანტისტებს უნდა უმადლოდესო...

— რატომღაც, ძალზე ბევრი მითქმა-მოთქმა ვრცელდებოდა სწორედ ბრეჟნევის კბილებთან დაკავშირებით. აი, რას გეტყვით: ლეონიდ ბრეჟნევს ყველა კბილი თავისი ჰქონდა. ენაბლუობა კი, რომელიც მას სიცოცხლის ბოლო წლებში დასჩემდა, ენის ნაწილობრივი დამბლის შედეგი გახლდათ. მან ხომ გადაიტანა ორი მცირე ინსულტი და ამდენივე ინფარქტი. ცდილობდნენ ბრეჟნევის დახმარებას, ლოგოპედიც კი მიუჩინეს, მაგრამ — ამაოდ. ახლა ჩვენ ყველას ბრეჟნევი გვახსოვს როგორც ჭირვეული ბერიკაცი, ავადმყოფური შესახედაობის ადამიანი. მაგრამ ცოტა ვინმეს თუ გაახსენდება ახლა, რომ, ამის გარდა, მას სხვა „თავისებურებებიც“ ჰქონდა: ბრეჟნევი ხომ უაღრესად ერუდირებული ადამიანი იყო, შეეძლო ღამის სამ საათზე მთელი ესენინი ზეპირად წაეკითხა...

— მაგრამ ლეონიდ ბრეჟნევი სიცოცხლის ბოლო წლებში, საერთოდ, ნაკლებად ადეკვატური იყო. თქვენ ამას ამჩნევდით?

— ამას ყველა ამჩნევდა. უნდა ითქვას, რომ ბრეჟნევი ძალიან უვლიდა თავის თავს, და ენის წვერის პარა-...

... მიუახლოვდა კარადას და თითი გადაუსვა — მტვერს ეძებდა. თუმცა, ვერ იპოვა!..

— თუ შეიძლება, გვიამბეთ რაიმე გალინა ბრეჟნევას შესახებ.

— გალიას შესახებ ბევრი რამ შემიძლია მოგიყვეთ. გარდა იმისა, რომ იგი მოსიყვარულე ქალი იყო, კარგი აღზრდითაც გამოირჩეოდა და საკმაოდ ნაკითხიც გახლდათ. თანაც, ფრიად ექსტრავაგანტურიც იყო. ერთხელ, ასეთი რამ მოხდა: 60-იანი წლების 8 მარტი იყო. წამოთოვა. ასე ხუთი გრადუსი ყინვა იქნებოდა. მოვიდა გალია მაშიებით, უწინდებოდ, მოკლე ქვედატანით. თანაც, ისეთი კოფტა ეცვა, აშკარად ჩანდა, რომ უბიუსტჰალტროდ იყო. ვეღარ მოვითმინე:

— გალია! ცივა! ყინვაში მაშიებით დადიხართ...

— ჩამორჩენილი კაცი ყოფილხართ, — გაეცინა ბრეჟნევის ქალიშვილს, — ახლა წინდებს კი არა, ლიფსა და ტრუსებსაც აღარ იცვამენ!

აიწია ქვედატანი და — მართლაც არაფერი ეცვა... ეს მარტო მოდა კი არა, გალიასთვის ჩვეულებრივი საქციელიც იყო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, იგი საკმაოდ მიზანმიმართული და მობილიზებული ადამიანი გახლდათ.

გალიასაც ისეთივე ჩინებული კბილები ჰქონდა, როგორც მამამისს. ბრეჟნევების ოჯახში კბილების დაავადება ნამდვილად არ ყოფილა პრობლემა: ბრეჟნევის ძმას უყვარდა გადაკვრა, მისი ვაჟიც სვამდა, თვით ლეონიდ ილიჩიც ერთ დროს საკმაოდ ეტანებოდა სასმელს. ალკოჰოლზე არც გალია ამბობდა უარს... ახლა მასზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, ათას რაღაცას აბრალებენ. იგი, რა თქმა უნდა, თავისებური ადამიანი იყო, მაგრამ, ზედმეტის ლაპარაკი, ნამდვილად არ ღირს.

— რით განსხვავდებოდა მაღალი თანამდებობის ავადმყოფების მკურნალობა დანარჩენებისგან?

— პოლიტბიუროს წევრების სტომატოლოგიური კაბინეტი კრემლში მდებარეობდა 1956 წლამდე. შემდეგ, იგი გადაიტანეს გრა-...

... ველთვის ადრე უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე და დაელოდოს პაციენტს. ხოლო როდის მოვა იგი — ეს უკვე მისი საქმეა. ზოგჯერ სამი საათიც კი ველოდებოდი ხოლმე. რკინის დისციპლინა იყო. ერთხელ, მივლინებით ვიყავი გერმანიაში, ვამზადებდი მოხსენებას საერთაშორისო კონგრესისათვის. უცებ, მივიღე დეპეშა მოსკოვიდან: „მანქანა გამოგიგზავნეთ, სარეისო თვითმფრინავი მზად არის“. თურმე, ბრეჟნევს ასტკივდა კბილი...

სხვა მხრივ, ამ ავადმყოფების მკურნალობა დიდი არაფრით გამოირჩეოდა სხვა პაციენტებისაგან, თუ არ ჩავთვლით შინაგან შიშს, რომელიც მეუფლებოდა.

1953 წელს, თუ გახსოვთ, აღიძრა „მავნებელი ექიმების“ საქმე. მათ შორის სტომატოლოგები არ ყოფილან, მაგრამ სწორედ მაშინ მიმიწვიეს პირველად კაგანოვიჩის სამკურნალოდ. მე უარი ვთქვი, რადგან ძალზე შემეშინდა. მაგადანში გადასახლებით დამემუქრნენ. კოვრიგინამ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მითხრა: „ღვთის გულისთვის, უარს ნუ იტყვით. მიდით და დაეხმარეთ. თუ თქვენ უარს იტყვით, დიდ უსიამოვნებას გადააწყდებით, თქვენს გარდა მრავალ სხვა ადამიანსაც ექნება უსიამოვნება, მათ შორის — მეც. მაგრამ თუ მიხვალთ და რაიმე შეცდომას დაუშვებთ, მხოლოდ თქვენ დაგსჯიან. ასე რომ, სხვებზე იფიქრეთ“. თუმცა, როგორც ახლა ვფიქრობ, მათთვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, თანახმა ვიქნებოდი მე თუ არა: ღამით მოვიდა მანქანა, რომელშიც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პირები ისხდნენ. მათ კაგანოვიჩთან წამიყვანეს.

იგი ღამის სამ საათზე მოვიდა.

— ვინ არის აქ ექიმი?

— მე ვარ, — ვუპასუხე.

— თქვენ?! ასეთი ახალგაზრდა... მე თქვენ არ გენდობით.

ვდგავარ ჩუმად. კაგანოვიჩი წასვლას აპირებს. ჩემთვის ვფიქრობ: ესე იგი, ხვალ მაგადანში მიკრავენ თავს...

— სტომატოლოგიური ინსტიტუტის დოცენტი ვარ.

... მოცხადდა.

ვხედავ — მას ექვსი ფოლადის გვირგვინი აქვს. გაოცებისაგან თვალები შუბლზე ამივიდა — ასეთი კაცი როგორ ატარებდა ფოლადის კბილებს?! პირველი პირებისთვის ხომ ყოველთვის იყო გადანახული ყველაზე საუკეთესო მასალა. გვირგვინების ქვეშ კბილები მთლიანად დაშლილი ჰქონდა, რადგან ამ გვირგვინებს უკვე მრავალი წელი ატარებდა.

— გვირგვინები უნდა მოგხსნათ და კბილებს ვუმკურნალო. ყველა იმ კბილზე კი, რომლებიც დაგრჩებათ, მე კი ვფიქრობ, რომ ყველას შენარჩუნებას შევძლებ, ახალ გვირგვინებს გაგიკეთებთ.

— რაც საჭიროა, ის მოიმოქმედეთ!

ავიღე ბურღი, მაგრამ გვირგვინები ვერ მოვარყიე. კარგა ხანს ვწვალობდი. კაგანოვიჩი ხედავს, რომ არაფერი გამომდის.

— დოცენტო, შენ პლატინა როდისმე გინახავს?.. — დამცინავი კილოთი მკითხა მან.

სუფთა პლატინა იყო. მანამდე კი, სიმართლე უნდა გითხრათ, პლატინა თვალით არ მენახა. დიდი გაჭირვებით მოვაძრე გვირგვინები. კაგანოვიჩის მკურნალობა წარმატებით დასრულდა, მაგრამ იმ პირველი ღამის შემდეგ, ცოლმა შემამჩნია, რომ თმაში ჭაღარა გამჩენოდა.

— თქვენი პაციენტები ყოველთვის ასე მორჩილად რეაგირებდნენ თქვენს წინადადებებზე მკურნალობის შესახებ?

— ერთხელ ხრუშჩოვს ვუთხარი, რომ მისი ქვედა მეექვსე კბილი მეტისმეტად წაწვეტებული იყო. ხომ არ გაგვექლიბა? „არ არის საჭირო, გენერალურ მდივანს ბასრი კბილები უნდა ჰქონდეს!“ — მიპასუხა ხრუშჩოვმა. გიორგი ჟუკოვისთვის უკანა კბილი უნდა ამომეღო, შევთავაზე ნარკოზი, ჟუკოვმა კი ხელი ჩაიქნია: „მიდი, პირდაპირ ამოიღე!“ ჩემი პაციენტები — მოლოტოვი, ფურცევა, ჟუკოვი, შელეპინი, შეპილოვი — უაღრესად კულტურული ადამიანები იყვნენ. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ უბრალო დიასახლისი უფრო მეტად გაჭირვეულდება და მეტ უსიამოვნებას მიაყენებს ექიმს. ოდნავ ჭირვეულები იყვნენ გრიშინი, კაგანოვიჩი — ეს უკანასკნელი ოდნავ კი არა, საკმაოდ კაპრიზულიც იყო... მე კი უდიდესი პასუხისმგებლობა მეკისრა და ისეთ შინაგან მღელვარებას განვიცდიდი, რომ ამის გადმოცემაც კი მიჭირს. ვალენტინა ტერეშკოვა ბევრჯერ იყო ჩემთან მიღებაზე. პირველი შეხვედრისთანავე მან მითხრა: „არ დაგავიწყდეთ, რომ მამაცი ქალი ვარ, მაგრამ თქვენი ძალიან მეშინია და ტკივილსაც ვერ ვითმენ!“ დიდი ხანია იგი აღარ მინახავს, მაგრამ მაშინ, ეს პირველი კოსმონავტი ქალი ძალზე სიმპათიური იყო.

— მადლიერი პაციენტებისგან საჩუქრები თუ მიგიღიათ?

— საჩუქრების მიღება, ბუნებრივია, მხოლოდ მაშინ იყო დაშვებული, როცა თვით პაციენტი გამოთქვამდა ამის სურვილს. ხშირად უჩუქებიათ ჩემთვის საათები. ერთხელ, გალია ბრეჟნევამ ძალიან ლამაზი პატარა ლარნაკი მაჩუქა. ხოლო ვალენტინა ტერეშკოვამ როცა შეიტყო, რომ საფოსტო მარკებს ვაგროვებდი, მისახსოვრა „კოსმოსის“ სერიის სრული შენარჩევი.

— თუ დაგიწერიათ ხელწერილი მათი „მტკივნეული ადგილების“ გაუხმაურებლობის შესახებ?

— როცა სამუშაოდ მიღებდნენ, დიდხანს მამოწმებდნენ. მაშინ არანაირი ხელწერილი არ ყოფილა, მაგრამ ზედამხედველობის ორგანოები (ეს მაშინ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მე-9 სამმართველოს ევალებოდა) მკაცრად მოითხოვდნენ: პირველი — ყველაფერი დაწვრილებით დაგვეფიქსირებინა ავადმყოფობის ისტორიაში, მეორე — არავისთან არ შეიძლებოდა თუნდაც ერთი სიტყვის თქმაც იმაზე, თუ ვის და როგორ ვმკურნალობდით. „გახსოვდეთ, დაუყოვნებლივ შევიტყობთ, რომ თქვენ ვინმეს გაუზიარეთ რაიმე ინფორმაცია, თუნდაც საკუთარ ცოლს. ყველგან, სადაც თქვენ დადიხართ, ჩვენი ხალხია! მუშაობის დროს შეიძლება პაციენტთან ლაპარაკი, თუ ეს მისი ინიციატივით ხდება, მაგრამ მათთვის რაიმეს თხოვნა კატეგორიულად გეკრძალებათ“. არადა, ხომ შეიძლებოდა, ერთი-ორი სიტყვა წამომცდენოდა ბინაზე, მანქანაზე, საზღვარგარეთ მოგზაურობაზე, ავეჯზე.

— თქვენი სამუშაო მოგწონდათ?

— ხშირად ვმოგზაურობდი როგორც სამინისტროს, ისე მე-4 სამმართველოს ხაზით. გულდასმით შევისწავლე სტომატოლოგია ოც ქვეყანაში. ყოველთვის მქონდა ინფორმაცია ახალი მასალების, მოწყობილობის, მომსახურების შესახებ.

— თქვენ მონაწილეობდით რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ოჯახის წევრთა ნეშტის ექსპერტიზაში. თითქოსდა, ასეთი პასუხსაგები საქმე იყო, მაგრამ სკანდალის თავიდან აცილება აქაც ვერ შევძელით...

— დიახ, ექსპერტიზა განხორციელდა ლონდონში, ამერიკასა და ლენინგრადში.

ინ. მე-8 გვ.

ღლავები დიდ კორუფციაში

ნიანგის ცრემლები „ჩაწყობილი“ ტენდერის გასაბათილებლად

(პირველი გვერდიდან)

ენერგეტიკაში მოხმარებული დენის საფასურის ამოღების უფლებაზე, როგორც იტყვიან, ტაციობა იყო. შუამავალი ფირმები თავპირს იმტვრევდნენ, რათა ასეთი უფლება მოეპოვებინათ, ხოლო მერე საბიუჯეტო თანხების შესაჭმელად ათასგვარი მაქინაცია დაეტრიალებინათ. ერთ-ერთი მსგავსი ტენდერი გამოაცხადა შპს „საქენერგო-2000“-მა, რომელიც მომავალ გამარჯვებულს 166.086.158 ლარს სთავაზობდა, ამოღების საზღაურად კი 100.000 ლარს უტოვებდა. ფრიად საინტერესოა, რომ ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მხოლოდ შპს „ნეოგენერაციამ“. მისი დირექტორი გახლდათ გია პირველაშვილი. 2001 წლის 10 სექტემბერს ამ ორ საზოგადოებას შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა. და დარღვევებსაც გზა სწორედ ამ დღიდან გაეხსნა.

დავიწყოთ იმით, რომ „საქენერგო-2000“-ის მიერ გადაცემული 166.086.158 ლარი სათანადო ბუღალტრული გატარებებით შემოსავალში აღებული აქვს „ნეოგენერაციას“ და ერიცხება ბალანსზე, ხოლო „საქენერგო-2000“-სს დღემდე არ მოუხსნია ბალანსიდან და ამჟამადაც მას ეკუთვნის. არადა, ბუღალტრული აღრიცხვის დებულების თანახმად, იგი ვალდებული იყო ბალანსიდან მოეხსნა და მიეცა სათანადო ბუღალტრული გატარება. ასევე ვალდებული იყო საგადასახადო ინსპექციისათვის წარედგინა დეკლარაცია დამატებული ღირებულების გადასახადზე – 27.686.563 ლარზე, რაც არ გააკეთა. ეს უკვე ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს მხოლოდ დამატებული ღირებულების სახით დააკლდა 27.686.563 ლარი.

ამ საკითხთან დაკავშირებით „საქენერგო-2000“-ის მთავარ ბუღალტერს ნ. ჩიხრაძეს დირექტორის სახელზე დაწერილი აქვს მოხსენებითი ბარათი. იგი განმარტავს, რომ 2001 წლის ნოემბერ-დეკემბერში „ნეოგენერაციამ“ აცნობა კრედიტორული დავალიანების დაფარვის შესახებ, კერძოდ, შპს „კვანტის“ მიმართ – 2.903.650 ლარი, სს „ჩხორჰესის“ მიმართ – 86.792 ლარი, შპს „რიბი-რაბოს“ მიმართ – 20 000 ლარი... ამ ორგანიზაციებიდან მიღებულია დასტურის წერილები, მაგრამ თავად „ნეოგენერაციას“ არ წარუდგენია იმ დებიტორების სია, ვისგანაც ამოღებულია ეს თანხები.

„ნეოგენერაციამ“ 2001 წლის 8 ნოემბერს გააფორმა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება სს „ჩხორჰესთან“, რომლის დირექტორია დ. ყიფიანი (იგი ერთდროულად, აგრეთვე, „ნეოგენერაციის“ დამფუძნებელია). ხელშეკრულების პირობით „ნეოგენერაციამ“ „ჩხორჰესს“ გადასცა დებიტორული დავალიანების მოთხოვნის უფლება 86.792 ლარზე სს „გურიის ენერგოკომპანიიდან“.

მართალია „ჩხორჰესმა“ „საქენერგო-2000“-სს აცნობა, რომ „ნეოგენერაციამ“ გაუსწორა ეს კრედიტორული დავალიანება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაირკვა, – ამოიღო თუ არა ეს დებიტორული დავალიანება თავად „ჩხორჰესმა“. გარდა ამისა, „ნეოგენერაციამ“ კრედიტორული დავალიანება ნაღდი ანგარიშსწორებით დაუფარა სხვა საწარმოებსაც (სულ – 2.929.792 ლარი). ამ საწარმოებს მარტო მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში უნდა შეეტანათ 585.958 ლარი, მაგრამ...

ამ ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ „საქენერგო 2000“-ში ნაკლები ყურადღება ექცეოდა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების ამოღება-დაფარვის საქმეს. აქ თითქმის დაუჯერებელი ამბავიც კი მოხდა. „საქენერგო-2000“-მა „ნეოგენერაციას“, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 166.086.158 ლარის კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვალდებულებებისა, ფაქტობრივად, გადასცა 320.328.160 ლარის კრედიტორების სია. ამით „ნეოგენერაციას“ საშუალება მისცა დავალიანებების დაფარვა ეწარმოებინა თავისი შეხედულებებისამებრ, რაც ენერგეტიკული კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზთაგანია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ „ნეოგენერაციის“ მიერ კრედიტორული დავალიანების დაფარვა არ ხდებოდა ისეთი საწარმოების მიმართ, როგორიცაა „თბილსრესი“, „ენგურჰესი“, „ზაჰესი“. არადა, მათი საერთო კრედიტორული დავალიანება შეადგენს დაახლოებით 80 მილიონ ლარს (მარტო „თბილსრესისა“ – 67 მილიონ ლარს).

„ნეოგენერაციის“ მიერ კრედიტორებზე გადახდილი თანხები ნაღდი ფულით შეჰქონდათ „ნეოგენერაციის“ დამფუძნებლებს. კერძოდ, ნ. ტიტვინიძეს 2001 წლის 4 სექტემბერს „ნეოგენერაციის“ სალაროში შეტანილი აქვს 500.000 ლარი. ეს თანხა იმავე დღეს მოახვედრეს „აბრეშუმის გზის“ ფილიალ „ექსიმბანკში“, ხოლო 6 სექტემბერს მთლიანად გამოიტანეს და მისცეს... იმავე ნ. ტიტვინიძეს. გარდა ამისა, ნ. ტიტვინიძეს 2001 წელს სალაროში შეტანილი აქვს 3.028.456 ლარი, ხოლო მიღებული – 107.150 ლარი.

2001 წლის 11 ოქტომბერს „ნეოგენერაციამ“ რატომღაც ვალის ამოღების უფლება „მოიმწვანილა“ და გადასცა „საქართველოს საფოსტო ბანკს“. კერძოდ, „საქართველოს საფოსტო ბანკი“ ფულს ამოიღებდა შემდეგი ენერგოკომპანიებიდან: „სამეგრელო-ზემო სვანეთიდან“ – 700.000 ლარს; იმერეთიდან – 800.000, გურიიდან – 300.000, რაჭა-ლეჩხუმიდან – 200.000, შიდა ქართლიდან – 500.000, მცხეთა-მთიანეთიდან – 500.000 და სამცხე-ჯავახეთიდან – 500.000 ლარს, სულ – 4.000.000 ლარს. საამისოდ „ნეოგენერაცია“ საქართველოს საფოსტო ბანკს“ ჩუქნიდა 25.000 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ„საქენერგო-2000“-ის მიერ 2001 წლის სექტემბერში ჩატარებული ტენდერის უსიამო შედეგები ცნობილი იყო როგორც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის, ისე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებისათვის, მათ ტენდერის შედეგების გაუქმების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში შეიტანეს მხოლოდ 2002 წლის იანვარში. ეს იყო სარჩელი მოპასუხეების „საქენერგო-2000“-ის და „ნეოგენერაციის“ მიმართ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების თანამდევი შედეგების ბათილად ცნობის შესახებ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მომჩივნებს უარი უთხრა ტენდერის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ... ხანდაზმულობის ვადის დარღვევის გამო. რა, ხანდაზმულობის ვადის შესახებ არაფერი იცოდნენ ან ერთ სამინისტროში, ან მეორეში? იცოდნენ, მაგრამ სხვათა მოსაჩვენებლად ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ.

ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ თავად შეისწავლა 2001 წლის 4 სექტემბერს ჩატარებული ტენდერის კანონიერება და აღმოაჩინა უამრავი დარღვევა, მათ შორის სატენდერო კომისიის (თავმჯდომარე ვანო ღლონტი) ცალკეულ წევრთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სიყალბეთა ჩადენა (კერძოდ, ტენდერში მონაწილეობისათვის 500.000 ლარის ბანკში გვიან შეტანა და სიტუაციის გამოსასწორებლად ცრუ დოკუმენტის შექმნა), გადასახადების დამალვა და სხვადასხვა. როგორც ჩანს, ჩვენმა სამართალდამცავებმა ჩატარებულ ტენდერსაც, „საქენერგო-2000“-სა და „ნეოგენერაციას“ შორის დადებულ ხელშეკრულებასაც და სასამართლოში ორი სამინისტროს მიერ ყასიდად შეტანილ სარჩელსაც ხელახლა უნდა გადახედონ და დღემდე გაჭიანურებულ საქმეზე სათანადო გადაწყვეტილებები მიიღონ.

სხვათა შორის, ამის გაკეთება აუცილებელია მარტო იმიტომაც, რომ სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ვანო ღლონტი პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში არ გამოცხადდა, ახსნა-განმარტებები არავის მისცა და უამრავ კითხვას პასუხი არ გასცა. ასეთ დროს კი არც თავნებობა ეპატიება ვინმეს და არც გაჩუმება!

ბონდო გულიაშვილი.

ტექნიკა და კორუფცია

მართალია, ავტომანქანა ფუფუნების საგანი არ არის, მაგრამ ფუფუნების მომტანი კი ყოფილა

არ განბაჟებულა 18.000 ავტომანქანა

საზოგადოებრიობაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ ავტომანქანების განბაჟების სფეროში არსებული განუკითხაობისა და მილიონობით საბიუჯეტო თანხების მითვისების ფაქტების გამოვლენას. როგორც გაირკვა, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი კარგა ხანს მოქმედებდა შსს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში.

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ შსს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს ირაკლი კლდიაშვილს.

მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკომპრომისო ბრძოლა დაიწყო კორუფციასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან. ავტომანქანების განბაჟების სფეროში გამოვლენილი დანაშაულიც პოლიციის მუშაობის გააქტიურების ერთ-ერთი შედეგია.

სხვათა შორის, ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო თვით საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელის შალვა ოგბაიძისა და შსს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინიციატივით. არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში საბუთების გაყალბების გზით ხდებოდა ძვირადღირებული უცხოური ავტომანქანების ვითომდა განბაჟება, სინამდვილეში კი სახელმწიფო ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ შედიოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული ავტომანქანის განბაჟება საშუალოდ ღირს 500 დოლარი (ზოგიერთი უფრო მეტიც), ადვილი წარმოსადგენია, რამდენით იზარალა ქვეყნის ბიუჯეტმა.

არსებული მონაცემებით, არ განბაჟებულა 18.000 ძვირადღირებული უცხოური ავტომანქანა. როგორც ირკვევა, განბაჟების ყალბი საბუთების მიღებაში ავტომანქანების მფლობელებს სოლიდურ თანხას ახდევინებდნენ, ხაზინას კი არაფერს აძლევდნენ (ლაპარაკია დაახლოებით 10 მილიონ ლარზე).

შსს გენერალური ინსპექცია აქტიურად შეუდგა ამ ინფორმაციის შემოწმებას. დადგინდა, რომ გაყალბებული საბუთები თავს იყრიდა ერთ-ერთ ოთახში. საჭირო იყო ამ საბუთების ამოღება, სათანადოდ შენახვა და ოთახის დალუქვა. ეს ღონისძიება განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად. ამ დღიდან მოყოლებული ერთად, კოორდინირებულად მუშაობენ შს სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლები.

უკვე გამოიკვეთა, რომ ქვითრების გაფორმების, ტექნიკური პასპორტების გაცემის, კომპიუტერში შეყვანის, გაყალბების გრძელი ჯაჭვი მარტო ერთ ოთახში ვერ მოთავსდებოდა. მუშაობდა მთელი კონვეიერი, რომელშიც ჩაბმული იყო საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, მათ შორის, თანამდებობის პირებიც. თუ მათ ზურგს უკან ხდებოდა ეს დანაშაული და ვერ ამჩნევდნენ, ეს სამსახურებრივი გულგრილობაა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. მაგრამ მაინც შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ თანამდებობის პირები არ იყვნენ ამ დანაშაულის საქმის კურსში და შესაბამის „წილსაც“ არ იღებდნენ. ყველაფერს საბოლოოდ გამოძიება დაადგენს.

შს სამინისტროშიც და გენერალურ პროკურატურაშიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ დანაშაული ბოლომდე გაიხსნება და კანონის შესაბამისად ყველა დაისჯება. ამასთან, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს მაქსიმალურად დაუბრუნდეს ავტომანქანების განუბაჟებლობით დაკლებული თანხები.

ბატონმა ირაკლი კლდიაშვილმა განაცხადა, რომ დანაშაულის გამოვლენის პარალელურად შს სამინისტროში აქტიურად მუშაობენ ავტომანქანების განბაჟების ისეთი მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც გამორიცხავს დანაშაულის ჩადენას, მაქინაციების გარეშე ავტომანქანების განბაჟებას. შსს გენერალური ინსპექცია და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო ერთობლივად მუშაობენ ამ მექანიზმის შესამუშავებლად. რაც მთავარია, ავტომანქანების განბაჟება გახდება მარტივი და გამჭვირვალე.

ვალერიან გოგოლაშვილი.

თანამშრომლობა

ლიზინგის დანერგვა ეკონომიკას გააჯანსაღებს

11 თებერვალს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) **საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ავტორებმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ოფიციალური მიღება გამართეს.**

ბიზნესის განვითარების პროექტი რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე მუშაობს, როგორიცაა – კორპორაციული მართვის დასავლური სტანდარტების დანერგვა, ლიზინგის სექტორის განვითარების ხელშეწყობა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კვლევა. მიღებას ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. ღონისძიების ამოცანა გახლდათ დაინტერესებული წრეებისათვის პროექტის ძირითადი მიმართულებებისა და საქმიანობის გაცნობა.

როგორც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერმა, ბატონმა ფრენკ ლივერმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, „პროექტი ითანამშრომლებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორთან, რათა მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საქმეში“.

მიღებაზე იყო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დირექტორი ბატონი ქრისტიან გროსმანი. ამ კორპორაციამ დიდი გამოცდილება შეიძინა მსგავსი პროექტების სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ უკრაინაში, რუსეთში, სომხეთში დანერგვაში.

საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ინიციატივის მხარდაჭერაზე ისაუბრა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა.

საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის ფარგლებში საქმიანობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართება. ესენია: კომპანიებთან უშუალო თანამშრომლობა; საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა; კორპორაციული მართვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

კორპორაციული მართვის განვითარების ნაწილმა დაასრულა კომპანიის სამოდელო შიდა დოკუმენტაციაზე მუშაობა და ა. წ. 17 თებერვალს ტრეინინგს აწყობს ქართული კომპანიების დირექტორებისთვის.

პროექტის ფარგლებში ლიზინგის სექტორის განვითარების ხელშეწყობა მრავალ ღონისძიებას ითვალისწინებს. კონსულტაციებსა და ტრეინინგებს სალიზინგო კომპანიებისთვის რეგულარული ხასიათი ექნება, ა. წ. აპრილიდან კი დაიწყება ტრეინინგები მეწარმეებისთვისაც, რომლებიც ლიზინგის პოტენციურ მომხმარებლებად მოიაზრებიან.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კვლევის მიზანია იმ ადმინისტრაციული, მარეგულირებელი და ფინანსური ბარიერების იდენტიფიცირება, რომელსაც მცირე და საშუალო ზომის საწარმოები საქართველოში აწყდებიან. ჩვენს ქვეყანაში ლიზინგის განვითარება ეკონომიკას გააჯანსაღებს.

ლალი ძინძლაძე.

სხვა გაზეთებიდან

კრემლის სტომატოლოგი პროფესორი ალექსეი დოინიკოვი:

„მე არ მჯერა ხმების, მე მჯერა კბილების!“



ალექსი დოინიკოვი მეუღლესთან.

(მეშვიდე გვერდიდან)

გახსოვთ, პატრიარქი ალექსიც არ მოსულა დაკრძალვაზე. გაუგონარი რამ არის: კრძალავენ მეფეს, პატრიარქი კი არ ესწრება. ერთნი ამბობდნენ, რომ ეს ნამდვილად რომანოვების ნეშტი იყო, მეორენი კი აცხადებდნენ, რომ მთელი ოჯახი დაწვეს და ეს სულ სხვა ადამიანების ნეშტიაო... დაკრძალვის მთელი ეს ცერემონია, ჩემი აზრით, მკრეხელურად გამოიყურებოდა. თუმცა, ამისთვის არანაირი საბაბი არ ყოფილა. ჩვენი ექსპერტიზის შედეგების თანახმად, აღმოაჩინეს ოჯახის ყველა წევრის ნეშტი, მეფისწულ ალექსის ცხედრის გარდა, ანუ, ნაპოვნი იყო ნიკოლოზ მეორის ოთხი ქალიშვილის (და არა სამის, როგორც ამას ინგლისური ექსპერტიზა ამტკიცებდა), მოახლე ქალისა და ლაქიის, აგრეთვე, ექიმ ბოტკინის ნეშტი, ყოველივე ეს ეკატერინბურგის მახლობლად, შახტში იპოვეს. ეს რომ ნამდვილად მეფის ოჯახი იყო, ამას თუნდაც ჩვენი ხაზით განხორციელებული ექსპერტიზა ადასტურებს.

1952 წელს გავიცანი აპოლონ ურუშაძე, თბილისის ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის გამგე. იგი ეხმარებოდა ნიკოლოზ მეორეს კბილების მკურნალობასა და პროთეზირებაში (ეხმარებოდა და არა – ემსახურებოდა, როგორც ახლა ამას ამბობენ). ურუშაძემ მიამბო, თუ რა დიდხანს მკურნალობდა მე-4 კბილის პერიოდონტიტს, როგორ აღუდგინა მეფეს ქვედა ეშვი, რისთვისაც ნიკოლოზ რომანოვს წკირი პლატინისგან დაუმზადეს. და ექსპერტიზის დროს, სწორედ მეოთხე მარჯვენა კბილში აღმოჩნდა პლატინის წკირი.

– თქვენ მეფის ყველა ასული გაიხსენეთ. არადა, რა ლამაზი ვერსიაა ის, რომ ანასტასია, შესაძლოა, ცოცხალი დარჩა...

– მე არ მჯერა ხმების, მე მჯერა კბილების. იმპერატორის ქალიშვილების ნეშტი ამის უდავო მტკიცებულებაა. ყველაზე კარგად შემონახული იყო ქვედა ყბის ოთხივე ძვალი. ყველა ეს ძვალი საოცრად წააგავდა ერთმანეთს ფორმით, განსხვავება იყო მხოლოდ ზომაში, ისევე როგორც ამ ქალიშვილების ასაკში. იმპერატრიცას ნეშტზეც შემიძლია ვთქვა, რომ იგი მთლიანად შეესაბამებოდა ყველა აღწერილობას. ერთი სიტყვით, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ პეტრე-პაველის ტაძარში, საგვარეულო საძვალეში, განისვენებს მეფის ოჯახი.

– ტახტის მემკვიდრის გარდა...

– როცა შახტში იპოვეს მეფის ოჯახის წევრთა ნეშტი და დაიწყო ყოველმხრივი შემოწმება, აღმოჩნდა, რომ იქ ნაპოვნი ორი კბილი არ ეკუთვნოდა არც მეფის ასულებს, არც მათ მშობლებს და არც მსახურებს. თავდაპირველად იფიქრეს, რომ ეს უფლისწულის კბილები იყო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. კბილებს, მართალია არა აქვთ გვარი, მაგრამ აქვთ ასაკი. ერთი ნაპოვნი კბილი 18-19 წლის იყო, მეორე კი – თერთმეტის. ეს ჩვენ დავამტკიცეთ. მეფისწული კი მაშინ მხოლოდ 14 წლის იყო.

სხვათა შორის, ტახტის მემკვიდრის ცხედარი იქ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს მე 1952 წელს მითხრა იმ საზარელ მოვლენათა თვითმხილველმა. მიმიწვიეს სვერდლოვსკში ლექციების წასაკითხად. პირველ რიგში ყოველთვის იჯდა ძალზე სიმპათიური სტუდენტი-ქალიშვილი. იგი მუდამ მიღიმოდა და ოდნავ მეპრანჭებოდა კიდეც. როცა ლექციების კურსი დასრულდა და გამოცდების ჯერი დადგა, ირინამ, ასე ერქვა იმ სტუდენტს, მთელი კურსის სახელით მომართვა თაიგული და მითხრა: „როგორც ჩანს, თქვენ ცოდნისმოყვარე ადამიანი ხართ. მსურს სტუმრად მიგიწვიოთ“. მე კი მაშინ უკვე კრემლში ვმუშაობდი და, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ყოველ ჩემს ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ. ჰოდა, სწორედ ირინას ბაბუა, ერობის ექიმი ესწრებოდა მეფის ოჯახის დახვრეტას და მან ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. ამ სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, გვამები ჩადეს დიდ სპეციალურ ტომრებში და ისე წაიღეს. მოულოდნელად ტომარა, რომელშიც ნორჩი უფლისწულის გვამი იყო, შეირხა. მას ესროლეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ტომარაში კვლავ რაღაც ამოძრავდა, მაშინ ტომარა გადმოიღეს და დაცხრილეს. ოჯახის სხვა წევრების გვამები კი შახტში წაიღეს ისე, რომ გზაში არ გაჩერებულან. დახვრეტილი ბიჭის ცხედარი ხიდიდან გადააგდეს მდინარეში. იმ ადგილზე კი ნაპირზე დადეს ურალური როდონიტის დიდი ლამაზი ლოდი.

როცა მოსკოვში ჩამოვედი, რა თქმა უნდა, კრინტი არ დამიძრავს იმაზე, რაც გავიგე. მაგრამ ერთხელ, ვეღარ მოვითმინე და ეს ამბავი მოვუყევი ჩემს ერთ-ერთ ძალზე კარგ პაციენტს – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელს ალექსანდრე შელეპინს, „იცოდე, ვინმესთან ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს ამის შესახებ, ხვალვე დაგხვრეტენ!“ – მითხრა მან. მაგრამ ასე სამიოდე დღის შემდეგ ამის შესახებ მაინც ვუამბე შეპილოვს, გაზეთ „პრავდის“ მთავარ რედაქტორს. შეპილოვმაც მირჩია ენაზე კბილი დამეჭირა. 1953 წლის შემდეგ უკვე არავისთან მილაპარაკია იმის შესახებ, რაც შევიტყვე სვერდლოვსკში.

– თქვენს პაციენტებს პოლიტკორექტულად იხსენებთ, ზოგს კი დაუფარავი სიმპათიითაც. არადა, ზოგიერთმა მათგანმა ხომ დიდი უბედურება დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას...

– ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ობიექტურად მე მხოლოდ კბილებზე შემიძლია ვილაპარაკო!

ელენა მიხაილინა, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 2004 წლის 5 თებერვალი.

მხარე

სიღნაღი – კახეთის მარგალიტი

„ირმების გადმოსახედო, კახეთო, ჩემო კახეთო“, – მღეროდა პოეტი და ალბათ, სიღნაღიდან თუ გასცქეროდა ამ დროს ალაზნის ულამაზეს ველს.

დალოცვილ კახეთს და მის უბატონო კუთხეს, – ქიზიყს, არაერთი თვალწარმტაცი გადმოსახედი აქვს, მაგრამ უძველესი და კოპწია სიღნაღის ციხე-გალავნიდან დანახული ჩვენი მამული, ჩვენი სალოცავი, საქართველო, ბეღელი და ფუძე-ბალავარი კახეთი, მაინც სხვა არის...

ეკონომიკური შეჭირვების მიუხედავად, ქვეყანაში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ ფონზე, სიღნაღი მაინც ლაღად ცხოვრობს და იმედით შეჰყურებს მომავალს. მალე აქ მწყობრში ჩადგება კაფე-ბარი და მინისასტუმრო, კეთილმოეწყობა გზები. თანდათან სწორდება შარშანდელი ღვარცოფისგან დანგრეული ცენტრალური გზები, ხიდები და ჯებირები.

სიღნაღის შემოგარენი განსაკუთრებით იზიდავს ტურისტებს. მალე გაზაფხული მოვა, ახალი ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების ახალი ხელმძღვანელობის წყალობით, კრიმინალები ძველებურად ვერც კახეთში იპარპაშებენ და ყველა სტუმარს თავისუფლად შეეძლება ტურისტულ მარშრუტებზე გადაადგილება. თვით სიღნაღის დღევანდელი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ამ სტუმართმოყვარე ქალაქმა-მუზეუმმა ძველი დიდება დაიბრუნოს.

სოსო კახეთელიძე.

სურათებზე: სიღნაღის დაუვიწყარი ხედები.

სპარტაკ ხანიაშვილის ფოტო.

განცხადება

დაიწყო შპს „ფორტუნას“ სალიკვიდაციო სამუშაოები. დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ მიაკითხონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: თბილისი, აბუსერიძე-ტბელის, 13.

შპს „ხპორტლენდი XXI“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ ტელეფონზე: 93-43-50.

შპს „ფარმაცია“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ ტელეფონით: 36-43-58.

სალიკვიდაციო კომისია.

განცხადება

დაიწყო შპს „ტაო XXI“-ის სალიკვიდაციო სამუშაოები. დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ მიაკითხონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: თბილისი, საბურთალოს, 32.

შაბათი

14 თებერვალი

08.00, 15.00, 20.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"წითელი სისხლი" 10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** საცირკო სანახაობა **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი **"მოწიფული ცხოვრება" 16.45** საწინდარი **17.15** დოკ. ფილმი "ზამთრის ფანტაზია" **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.35** მოამბე **23.50** მხ. ფილმი **"მაჰვილგონიერნი" 01.25** ღამის ჯაზი

19.00 მულტსერიალი **19.30** პალიტრა **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **21.20** მხ. ფილმი **"ვნებათა ორომტრიალი" 22.55** კონცერტი "ფორტე"

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი **"განდგომილი" 19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** დეტექტ. სერიალი **21.00** კურიერი P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "1,2,3 -მზე" რეჟ. ბერტრან ბლიე. **01.20** მხ. ფილმი **"ესპანური სასტუმრო"**. მთ. რ-ში: ოდრი ტოტუ, რომენ დიური.

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ინგლისელი ქალი და ჰერცოგი" 12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 18.30, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი **"ჰუსარი სახურავზე" 01.15** მხ. ფილმი **"ქუჩა"**

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა **09.15** სერიალი **"სიყვარული უდაბნოში" 10.05** ანიმაც. ფილმი "ნოეს კიდობანი" 1-ლი ნ. **10.30** მხ. ფილმი **"ანგელოზსა და ეშმაკს შორის" 12.10, 01.20** იმედის მელოდიები **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** მხ. ფილმი **"ღმერთი დიდია, მე პატარა" 17.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი **"კლონი" 20.30** ქართ. სერიალი **"ჩაჩა და ლუდი"** მე-15ს. **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **02.00** მხ. ფილმი **"მის ფეიერვერკი" 03.45, 08.00** იმედის მელოდიები **05.00** ეროვნული საკალათ. ასოციაცია

09.00 მულტფილმი "ბოლტო" **10.15** საბ. სერიალი "მეათე სამეფო" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული" 13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი **"ძიროსიმა" 19.00** სერიალი **"კოდი კოპერნიკი" 21.20** მხ. ფილმი **"ტყუპები"** (არნოლდ შვარცენეგერი) **23.10** მხ. ფილმი **"იქ, სადაც მდინარე მიედინება"** (ბრედ პიტი)

12.00 მხ. ფილმი **"ტალღის ძიმზე" 14.00** მხ. ფილმი **"კარტი, ფული და ორი ლულა" 16.30** მხ.ფილმი **"პატივმოყვარეების კოლონი" 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"მამაცი გული" 00.20** მხ. ფილმი **"დრაკულა"**

08.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა **11.15** მუსიკალური კოლაჟი **12.15** საბავშვო სალონი **13.45** ექიმი გვირჩევს **14.45** მუს. პაუზა **15.00** "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა **18.10** თქვენი ადვოკატი **19.00** ცეროდენა ვარსკვლავები **20.00** "თინეიჯერი" **21.00** "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** სერიალი **"ჩაჩახანა" 00.00** "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა

07.30 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი **"ითამაშე ბეკჰემივით"** მთ. რ-ში პარმინდერ ნაგრა, კირა ნაიგლი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" **"უგონოდ ერთგული ცოლი"** მთ. რ-ში პიზერ გრემი, ლუკ უილსონი. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

08.30 მხ. ფილმი **"შრეკი" 09.50** მოკლ. მხ. ფილმი **10.30** სერიალი **"მოჯადოება" 11.30** მხ. ფილმი **"მანჩესტერიდან შორს" 13.10, 16.25, 17.50** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტსერიალი "კონკია" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი **"პატარა აინშტაინები" 15.35** სერიალი **"ჰენრი ჯეიმსი" 16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი **"ზებუნებრივი სამყარო" 18.00** მულტსერიალი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი **"პატარა აინშტაინები" 19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** "ტელემეტრი" **22.00** მხ. სერიალი **"ფერადი ცხოვრება"** მე-2ს. **23.00** ცხელი ცხრიანი **23.50** სერიალი **"ედგარ ალან პოს საიდუმლო ამბავი"** 6ს. **01.00** მხ. ფილმი **"ინტუიცია"**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოლიცია

მაისურაძე ქურდებს ბითუმად იჭერს

პოლიციამ დედაქალაქში მოქმედი ავტომანქანების გამტაცებელთა ჯგუფის ხუთი წევრი დააკავა.

პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ განაცხადა, რომ ამავე სამმართველოსა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ამ დღეებში ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ვლადიმერ გოდელაძე, შალვა ფუტკარაძე, რამაზ შიუკაშვილი, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პაატა გოგიაშვილი და გიორგი ბერიანიძე.

აღნიშნულმა პირებმა 2003 წლის 6 დეკემბერს, „დოკ-მოტორსიდან" ოთხი „ტოიოტა-ჰაი-ლუქსის" ტიპის ავტომანქანა გაიტაცეს. გამტაცებლები ავტომანქანების მფლობელებისგან დაბრუნების სანაცვლოდ 40 ათას აშშ დოლარს ითხოვდნენ.

პოლიციამ ყველა ავტომანქანა კანონიერ მფლობელებს დაუბრუნა.

ამავე პირებმა, მიმდინარე წლის 8 იანვარს აშშ-ს საელჩოს კუთვნილი ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ-კრუიზერი" გაიტაცეს, რომელიც ცხინვალის ტერიტორიაზე 10 ათას ამერიკულ დოლარად გაყიდეს. ამავე ჯგუფმა 2004 წლის 22 იანვარს, დილმის მასივიდან მოქალაქე ირაკლი წილოსანის კუთვნილი ავტომანქანა "ჯიპი ბმვ" გაიტაცეს, რომელიც ასევე ცხინვალის ტერიტორიაზე 15000 აშშ დოლარად, ე.წ სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ასეულის მეთაურს ვიქტორ მამიტოვს მიჰყიდეს.

მამიტოვი რამდენიმე დღის წინათ პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკების დროს მოკლეს.

ინტერ-პრესი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომი-ლიკანი" მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. № 16 აცხადებს ღია ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს შემდეგი სახის კვების პროდუქტების შესასყიდად:

1. ფქვილი პურის უმაღლესი ხარისხის კგ 7960
2. ფქვილი პურის თეთრი 1 ხარისხი კგ 10000
3. ფქვილი პურის შავი კგ 175
4. ფქვილი კარტოფილის კგ 512
5. ფქვილი სიმინდის კგ 1401
6. ბრინჯი კგ 1220
7. მაკარონის ნაწარმი კგ 1745
8. ხორცი საქონლის კგ 21016.8
9. კარტოფილი კგ 22155
10. კომბოსტო კგ 9033
11. ხახვი კგ 4057
12. სტაფილო კგ 6766
13. მარილი კგ 4304
14. შაქარი კგ 7600
15. წყალი ბორჯომის ბ 1900
16. თაფლი კგ 872
17. მანის ბურღული კგ 254
18. ჭარხალი კგ 4843
19. ზეთი ლიტ 2663.7
20. კარაქი კგ 6045
21. ნიორი კგ 148
22. წიწიბურა კგ 1665
23. საფუარი კგ 178.4
24. რძის ფხვნილი კგ 584
25. ძმარი ლიტ 276.6
26. ტომატი კგ 1652.6
27. ჰერკულესი კგ 650
28. კიტრი პიკული კგ 323.4
29. ნიგოზი კგ 275.7
30. ჯემი კგ 118
31. ქერის ბურღული კგ 154
32. ჩაი ერთჯერადი კგ 219.2
33. კაკაო კგ 168.4
34. არაქანი კგ 3125
35. შაშხი კგ 1232
36. სუნელები კგ 30.3
37. ხაჭო კგ 6975
38. ძეხვი მოხარშული კგ 556
39. წვენი ლიტ 3550
40. ქაშაყი კგ 100.5
41. ბამბანერკა ლიტ 1.535
42. ყავა ერთჯერადი კგ 69.6
43. შიგნეული საქონლის კგ 194.8
44. ძეხვი შებოლილი კგ 1.620
45. ზეთისხილი კგ 666.30
46. სოსისი კგ 3.231
47. მწვანილი კგ 1.391
48. მანდარინი კგ 118
49. ღვინო თეთრი ბ 483
50. ქათამი გაყინული კგ 3.283.7
51. შოკოლადი კგ 614.8
52. ხიზილალა წითელი კგ 300
53. ზუთხი კგ 3500
54. კალმახი კგ 16.765.7
55. ვაშლი კგ 1737
56. მაიონეზი კგ 656.3
57. პილპილი კგ 7.3
58. ისპანახი კგ 276
59. ლიმონათი ბ 235
60. ვანილი კგ 3.8
61. ქათამი ახალი დაკლული კგ 330.5
62. სათალი კგ 1000
63. ფორთოხალი კგ 318
64. მწვანე ხახვი კგ 36
65. ბოლოკი კგ 32
66. ლიმონი კგ 1.662
67. ყველი შვეიცარული კგ 87
68. ბელუგა თევზი კგ 1500
69. ზღვის თევზის ფილე ან სკუმბრია კგ 1500
70. კვერცხი ც 87.130
71. ქიშმიში კგ 366
72. მარგარინი კგ 2.311
73. ხილფაფა კგ 1223
74. რძე შედედებული კგ 354
75. სოდა კგ 30
76. ჭარხალი კგ 4843
77. ჭარხლის ფოთოლი კგ 195.2
78. ბადრიჯანი კგ 118
79. მარწყვი კგ 214
80. ბალი კგ 248
81. ერბო კგ 96
82. მწვანე ბარდა კგ 226.9
83. ასკილი კგ 508
84. ღერღილი კგ 189
85. წითელი ლობიო კგ 125
86. საფანელი კგ 93
87. ბანანი კგ 1.992
88. ხბოს ხორცი კგ 206
89. პომიდორი კგ 1056
90. კიტრი კგ 2244
91. ნაყინი ც 7083
92. მწვანე ლობიო კგ 50
93. წიწაკა ბულგარული კგ 272
94. ქათმის ფილე კგ 921.3
95. ლიმონმჟავა კგ 2750
96. ქოლო კგ 262.5
97. ატამი კგ 595.8
98. მაყვალი კგ 301.5
99. მსხალი კგ 256.5
100. გარგარი კგ 53.4
101. საზამთრო კგ 482.5
102. ყველი ქართული კგ 84.3
103. ხორცი ღორის კგ 82
104. პერლოვის ბურღული კგ 50
105. ორცხობილა კგ 30
106. ტყემალი კგ 945.6
107. ყურძენი კგ 243
108. ხიზილალა შავი კგ 200

მოწოდებული პროდუქტები უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს.

მიწოდების სასურველ ვადად განისაზღვრება 2004 წლის 1 აპრილიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციის წინასწარი დაკვეთის შესაბამისად შედგენილი გრაფიკი, DDP პირობით შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართულ ენაზე) წარმოადგინონ 2 მარტის 9 სთ-დან 12 მარტის 17 სთ-მდე შემსყიდველის მისამართზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობას (სასამართლოდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან), რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციაო ცენტრიდან), რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას (სამედიცინო დაწესებულებიდან), რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმობა.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს განცხადებაში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ 16 მარტიდან 22 მარტის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. № 16.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: 8 (267) 2 1907, 899 552553, მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. № 16.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა პრეტენდენტებს შეეძლებათ TBC ბანკის ბორჯომის ფილიალში ანგარიშის № 609303.

რაგბი

ხვალ დიდი მატჩია

კვირას თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი ევროპის ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრას უმასპინძლებს. 16 საათზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან საქართველოს და პორტუგალიის მორაგბეთა ეროვნული გუნდები. ამ ორთაბრძოლას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და იგი ტურის ცენტრალურ პაექრობად ითვლება, რადგან შარშანდელ გათამაშებაში პორტუგალიელებმა გაიმარჯვეს, ბორჯღალოსნები კი მესამე ადგილზე გავიდნენ.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ორი წლის წინათ საქართველოს ნაკრებიც ფლობდა ამ საპატიო ჯილდოს, ორჯერ კი მეორე ადგილზე გავიდა. შარშან ავსტრალიაში გამართული მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ ჩვენი გუნდი საკმაოდ გადახალისდა. კერძოდ, ფრანგი დამრიგებელი კლოდ სორელი მწვრთნელთა კვარტეტმა შეცვალა. ზოგიერთმა მორაგბემაც დატოვა ნაკრები, თუმცა გუნდში ახალწვეულებთან ერთად გამოცდილი სპორტსმენებიც ითამაშებენ. სავარაუდოდ, ხვალ ვაკის სტადიონზე შეიძლება ვიხილოთ ხინჩაგაშვილი,

ლვაბერიძე, კოპალიანი, ზედგენიძე, გორგოძე, უდესიანი, ურუშაძე, მაისურაძე, სამხარაძე, კვინიხიძე, მაჩხანელი, ალანია, ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, ხამაშურიძე, გუგავა, ბარკალაია, ანდღულაძე, უჩავა და სხვები. ერთი კვირის შემდეგ ბორჯღალოსნები ესპანეთს ესტუმრებიან და მეორე ტურის მატჩს გამართავენ.

ლევან ცინცაძე.

პრესკონფერენცია

ორუცნობიანი განტოლება

18 თებერვალს კვიპროსზე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები სეზონის პირველ საერთაშორისო ტურნირში რუმინელებთან მატჩით ჩაებმება. წესით და რიგით, ამ დიდებულ კუნძულზე გამგზავრების წინ ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი გამოძახებულთა ვინაობასა და ტაქტიკურ მონახაზს უნდა გვაცნობდეს, მაგრამ ჯერაც რომ არ დაგვინიშნავს ქვეყნის უპირველესი კრებულის მთავარი მწვრთნელი?

— გეთანხმებით, მართლაც ძალიან დაგვიგვიანდა ამ აქტუალური საკითხის გადაჭრა, მაგრამ ობიექტურ მიზეზებს ვერსად წავუვალთ, — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** და განაგრძო: ხვალ (ესე იგი დღეს — **რედ.**) კიდევ ერთხელ შევხვდები სფფ აღმასკომის წევრებს, ვეტერან ფეხბურთელებს, მათ მოსაზრებებს ჩემს პირად პოზიციასთან შევაჯერებ და 16 თებერვალს (გუნდი კვიპროსზე 15-ში ჩადის) საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ. მართალია, ჩვენთვის ყველაზე უფრო სასურველ კანდიდატურად ანრი მიშელი მიმაჩნდა, მაგრამ მისი უარის შემდეგ არჩევანი მისსავე თანამემამულე **ალენ ჟირესსა** და რუსეთში მოღვაწე უკრაინელ **ანატოლი ბიშოვეცს** შორის უნდა გავაკეთოთ. არ დაგიმალავთ, რომ ფრანგს რეკომენდაციას მიშელ პლატინი და ემე ჟაკე უწევენ და, მიუხედავად იმისა, რომ სამწვრთნელო ასპარეზზე ჯერ სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია, პერსპექტიულ სპეციალისტად თვლიან. რაც შეეხება ბატონ ბიშოვეცს, მის კვალიფიკაციაზე 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე მისი ხელმძღვანელობით დამსახურებული საბჭოური „ოქრო" და „ევრო-1992"-ის ფინალურ ეტაპზე დსთ-ს სულთმობრძავი ნაკრების გაყვანა მეტყველებს. ისიც მინდა გაუწყოთ,

რომ წინასწარი თანხმობა ორივესგან გვაქვს მიღებული, მომავალი კონტრაქტის ფინანსური ასპექტები კი სამივესთვის (ჟირესი, ბიშოვეცი, მიშელი) დაახლოებით თანაბარ თანხას წარმოადგენდა. ალბათ, გაინტერესებთ, თუ დარჩენილთაგან რომელი კანდიდატისკენ იხრება ჩემი სიმპათია, მაგრამ ამჯერად გაგაწბილებთ და კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ყველაფერი ცივი გონებით უნდა განვსაჯოთ. იმასაც გეტყვით, რომ ამ რამდენიმე დღეში ახალი კანდიდატურის ამოტივტივება უკვე გამორიცხულია. ახლა კი, თქვენის ნებართვით, კონტრაქტის ერთ-ერთ ძირითად პუნქტს შევეხები და მოგახსენებთ, რომ იგი მომავალი შესარჩევი ციკლის ბოლომდე დაიდება, ხოლო შემდგომ შედეგის მიხედვით მოვიქცევით. ისე, მინდა იცოდეთ, რომ ორივე კანდიდატი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და კარგად იცნობს ჩვენს რესურსებს — ლეგიონერებს, რაშიც ბიშოვეცთან ხანგრძლივმა სატელეფონო საუბარმა და ჟირესთან სამსაათიანმა პირადმა შეხვედრამ დამარწმუნა. სხვათა შორის, შესარჩევ რაუნდში წარმატების მოპოვების შემთხვევაში ნაკრების მომავალი შეფისთვის სოლიდური პრემია გვაქვს განსაზღვრული. ბუნებრივია, უყურადღებოდ არც ნაკრების ამხანაგური შეხვედრების თემას ვტოვებთ — დღეს დაზუსტდა, რომ უახლოესს ჩვენი გუნდი მარტის მიწურულს მანჰეიმში გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებთან გამართავს.

პრესკონფერენციის დასასრულს სფფ პრეზიდენტმა თავი არ აარიდა მისთვის არც-თუ სასურველ კითხვას და ამასწინანდელ პაექრობასთან დაკავშირებით განაცხადა: დღესაც მიმაჩნია, რომ ის თანხა, რომელიც ჩემს დასახსნელად ჩემმა მეგობრებმა სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანეს, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" იმ მესვეურებს უნდა გადაეხადათ, რომლებიც ჩემს შემდეგ ჩაუდგნენ სათავეში მას. თუმცა, ნურავის ეგონება, რომ ამით ყველაფერს დაესვა წერტილი — ვეცდები, ეს ვალი სწორედ ჩემმა მაშინდელმა სამართალმემკვიდრეებმა დაფარონ.

გია პლატონიშვილი.

ფარიკაობა

100 მუშკეტერის მონაწილეობით

სპორტული სეზონი გახსნეს საქართველოს მოფარიკავეებმა, რომლებმაც ვაკის დახურულ დარბაზში 2004 წლის პირადი ჩემპიონატი გამართეს. მასში თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის 100-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა.



ასპარეზობის შემდეგ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **მორის სახვაძემ,** რომელიც ახლახან დაბრუნდა საფრანგეთის დედაქალაქიდან, გვითხრა:

— ამ დღეებში პარიზში ფიეს (ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია) საგანგებო სხდომა გაიმართა. მას წინ უძღოდა მსაჯთა კოლეგიის შეკრება, სადაც განიხილებოდა ათენის ოლიმპიური თამაშების იმ არბიტრთა ვინაობა, რომლებიც იქ იმსაჯებენ. სპეციალური წილისყრის შემდეგ გადაწყდა, რომ ათენში მსაჯთა დელეგატები იქნებიან მორის სახვაძე (საქართველო), ჯორჯ კოლომბატოვიჩი (აშშ), რობერტო კონსტანცო (იტალია) და ანა პასკუ (რუმინეთი). აქვე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აპრილში პლოვდივში (ბულგარეთი) გაიმართება მსოფლიოს 2004 წლის პირადგუნდური ჩემპიონატები კადეტებსა და იუნიორებს შორის, რომელსაც მოემსახურება ჩემი ძმისწული, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი დავით სახვაძე.

მოგეხსენებათ, სიდნეის 2000 წლის ზაფხულის თამაშების მოფარიკავეთა პროგრამაში არ იყო ხმლით მოასპარეზე ქალთა ტურნირი, ათენში კი ისინი გამოვლენ. სამაგიეროდ, აქ არ გაიმართება ქალთა გუნდური პირველობები რაპირაში და ხმლით ბრძოლაში.

17 აპრილს ბელგიაში გაიმართება ათენის XXVIII თამაშების სალიცენზიო ტურნირი იმ ქვეყნების სპორტსმენთათვის, რომლებთაც ჯერ არ მოუპოვებიათ საგზური. მათ შორის გამოვა ბათუმელი ხმლით მოფარიკავე ირაკლი ზამბახიძე, რომელმაც საქართველოს ამ ჩემპიონატის ფინალში (15:13) მოუგო თბილისელ დავით მთვარელიძეს.

გაგაცნობთ ახლახან დასრულებულ პირად ჩემპიონატში სხვა გამარჯვებულთა ვინაობას: **რაპირა** — ირინა ბოლქვაძე, გიორგი გრიგოლია (თბილისი). **დაშნა** — თეონა ჩინჩალაძე, დავით არველაძე (ქუთაისი).

შალვა ქირია.

სურათებზე: ირინა ბოლქვაძე შესვენებისას; ასპარეზობის მომენტი.

რობერტ ბაზოიანის ფოტო.

სანთელი

შოთა მორჩილაძე

საუკუნო სასუფეველში გარდასულთა ხსოვნა, მათთვის პატივის მიგება დიდი მადლია და საკუთარი ღირსების დაცვაც, რადგან ვინც წარსულს ივიწყებს, მას მომავალი არ გააჩნია.



შოთა მორჩილაძე იმ უნიკალურ სპორტსმენთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც „მოდიდან" არასოდეს გადიან, საგრძნობლად უსწრებენ დროს და სამაგალითონი არიან მომდევნო თაობებისთვის.

აღნაგობით ჰგავდა და არც ჰგავდა გოლიათს, თუმცა მის „რკინის მარწუხებს" მსოფლიოს ვერც ერთი ფალავანი ვერ გადაურჩა. სპორტული დიდების მწვერვალზე რომ იმყოფებოდა, მაშინაც ამპარტავნობისა და „ვარსკვლავომანიის" არაფერი შეგვინიშნავს. უბრალოებით გამორჩეულს ვერაფრით შევატყობდით, რომ ის ფალავანთა ფალავანი იყო.

რაოდენ დასანანია, რომ ამიერიდან შოთა მორჩილაძეს მხოლოდ წარსულ დროში მოვიხსენიებთ. ბევრჯერ მოგვენატრება მისი ნათელი შუბლი, გამორჩეული სიტყვა-პასუხი, უღალატობა, მისი კეთილი, ოდნავ ნაღვლიანი ღიმილი.

შოთა მორჩილაძის გარდაცვალებამ ყველანი შეგვძრა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, ძვირფასი პიროვნებების დაკარგვით ბოლო წლებში რაოდენ გავღარიბდით. ამავე დროს სიამაყის გრძნობაც გვეუფლება, რომ შოთა მორჩილაძის და მისი მსგავსი ადამიანების თანამედროვენი ვართ. მის ნათელ ხსოვნას ერი არასდროს დაივიწყებს.

ვლადიმერ კანკავა.

ყოველი მხრიდან

აპელაციას 19 მარტს განიხილავენ

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის — უეფას საააპელაციო კომიტეტი 19 მარტს განიხილავს უელსის ფეხბურთის ასოციაციის აპელაციას უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც უელსელებს უარი უთხრეს მათ მოთხოვნაზე — რუსეთის ნაკრებს წაგებად ჩათვლოდათ კარდიფში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის განმეორებითი დამატებითი მატჩი, რადგან მასში მონაწილეობდა დოპინგის გამოყენებისათვის შეხვედრის შემდეგ დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი იგორ ტიტოვი. ცნობილია, რომ მატჩი კარდიფში რუსეთელების გამარჯვებით დამთავრდა (1:0) და მათ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება. ამ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში პორტუგალიაში უელსელები გაემგზავრებიან. უეფას კომიტეტის ჩინოვნიკებმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ რეგლამენტის თანახმად, მსგავს შემთხვევაში ისჯება მხოლოდ მოთამაშე და არა მთელი გუნდი.

როგორც უეფას პრესსამსახური იტყობინება, სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება 19 მარტსვე გამოცხადდება შვეიცარიის ქალაქ ნიონში.

ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ „ტიტოვის საქმესთან" დაკავშირებით მოსკოვის „სპარტაკის" აპელაციას უეფაში 20 თებერვალს განიხილავენ.

ფეხბურთს ვერავის აუკრძალავენ!

მართალია, ფუნდამენტალისტები ამის წინააღმდეგი არიან, მაგრამ ქალები მაინც ახერხებენ ალაპისა და ფეხბურთისადმი სიყვარულის შერწყმას.



ამის მოწმეა ეს ფოტოსურათიც. იორდანიის პრინცესამ ჰაიიამ დუბაიში პირადად გახსნა სტუმრად ჩამოსული „ჩელსისა" და არაბული სამყაროს ქალთა ნაკრების მატჩი.

გასაგებია, გაიმარჯვეს ინგლისელმა სტუმრებმა, მაგრამ ისიც მხოლოდ პენალტებით.

დღეს ფინალია

შეიძლება ითქვას, უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობდა შავი კონტინენტის დიდი საფეხბურთო დღესასწაული — 2004 წლის აფრიკის თასის გათამაშება. უკვე გაცნობეთ, რომ ფინალში გავიდნენ ტურნირის მასპინძლების — ტუნისის და მაროკოს ნაკრებები.

მართალია, ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ ქვეყნის დედაქალაქის — ტუნისის ქუჩებში გამოსული გულშემატკივრები გაჰყვიროდნენ: „ჩემპიონები ვართ! თასი ჩვენი იქნება!", მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „ბურთი მრგვალია" და ყოველი მატჩი მოულოდნელობითაა სავსე.

ეს კარგად უნდა ახსოვდეთ, ალბათ, თავად ტუნისელებს. ისტორია კი შემდეგს გვეუბნება: ტუნისის ნაკრები ჯერ კიდევ 1965 წელს გავიდა ფინალში (გათამაშების მასპინძელი მაშინაც ტუნისი იყო), მაგრამ დამატებით დროში განას ნაკრებთან დამარცხდა (2:3), ასევე განმეორდა 1996 წელს, როდესაც მარცხი სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან იწვნია.

მაროკოს ნაკრები კი ერთხელ უკვე იყო ამ გათამაშების დიდების კვარცხლბეკზე — 1976 წელს.

წლევანდელი გათამაშების ძირითადი დამახასიათებელი ისაა, რომ ფინალში აფრიკის ჩრდილოეთის წარმომადგენლები გავიდნენ, ფავორიტებად კი სხვები ითვლებოდნენ.

ფინალისტები არც „ვარსკვლავებით" ბრწყინავენ და არც განსაკუთრებული ოსტატობით, მაგრამ ახლა ჩრდილოაფრიკელებმა მობილური თამაში აჩვენეს და მიზანსაც მიაღწიეს.

დღეს კი ფინალია, ჰა, ბურთი და მოედანი!

დოპინგის სკანდალი ამერიკაში

ამერიკის შეერთებული შტატების ნაფიც მსაჯულთა ფედერალურმა ჟიურიმ აკრძალული პრეპარატების გადაცემა-გამოყენებაში ბრალი დასდო ქვეყნის წამყვან სპორტსმენებს, განსასჯელთა სკამზე კი ოთხი კაცი — მწვრთნელები და სამეცნიერო ლაბორატორიების ხელმძღვანელები მოხვდნენ.

სკანდალის ცენტრშია სან-ფრანცისკოს ლაბორატორია BALCO, რომელსაც ხელისუფლებმა ყურადღება მას შემდეგ მიაქციეს, რაც სპორტულ სამყაროში გამოჩნდა იქამდე უცნობი სტეროიდი THG, რომელიც საგანგებოდ შექმნეს სპორტსმენთა სისხლში დოპინგის კვალის დაფარვისათვის.

ეს ლაბორატორია ეკუთვნის ყოფილ როკ-მუსიკოსს ვიქტორ კონტეს, ბრალდება წაუყენეს, აგრეთვე, კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს ჯიმ ვალენტეს, მძლეოსნობაში უკრაინელ მწვრთნელს რემ კორჩემნისა და ამერიკელი ბეისბოლი ვარსკვლავის ბარი ბონდსის პირად მწვრთნელს გრეგ ანდერსონს.

პოლიციამ ანდერსონის ბინაზე არა მარტო დოპინგი იპოვა, არამედ სპორტსმენთა სიაც და იმ წამლების ჩამონათვალიც, რომლებსაც ისინი ღებულობდნენ.

რემ კორჩემნი წვრთნის ევროპის ჩემპიონს 100 მეტრზე სირბილში დუეინ ჩემბერსს, რომელიც მსოფლიოში სპორტსმენთა შორის პირველად „ჩავარდა" სტეროიდის THG გამოყენებისთვის.

წელიწადნახევრიანი გამოძიების დროს ნაფიც მსაჯულთა ფედერაციულ ჟიურის ჩვენება მისცა სპორტის სამყაროს ბევრმა ცნობილმა წარმომადგენელმა. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ BALCO-ს თანამშრომლები პრეპარატს THG გადასცემდნენ მძლეოსნებს, ბეისბოლისა და ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეებს. ასეთი შემთხვევა ექვსჯერ იყო 2001 წლის დეკემბრიდან 2003 წლის სექტემბრამდე.

პრეზიდენტი ბუში იანვრის ერისადმი მიმართვაში მოულოდნელად შეეხო სპორტში სტეროიდების პრობლემას და თქვა: „დოპინგის გამოყენება საშიშია, ვინაიდან შეიძლება შეიქმნას აზრი, რომ მიზნის მიღწევამდე შეიძლება მოკლე გზაც იყოს".

სადოპინგო სკანდალს თავიანთ წესდებებში მკაცრი ცვლილებებით უპასუხეს ამერიკის სპორტულმა ფედერაციებმა. მძლეოსნობის ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაციაც კი დააწესა. ბეისბოლის ფედერაცია კი ამ სეზონიდან სავალდებულო სამედიცინო ტესტებს შემოიღებს.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომში

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



დები თამარ და ლიზი პაპიაშვილები.
თბილისი, 1950 წელი.
მოგვაწოდა შვილიშვილმა თამარ მაჭარაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

ამბობენ, მართალია?

თბილისელები პენსიას უდანაკარგოდ მიიღებენ

იანვრის პენსია მივიღეთ. ამბობენ, შარშანდელი ბოლო ორი თვის პენსია გაიყინაო, მართალია?

როგორც „სრ" რედაქციამ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გაარკვია, შარშანდელი ნოემბერ-დეკემბრის პენსია არ გაყინულა. პარლამენტის მიერ ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდეგ, აპრილიდან დაიწყება მისი გაცემა.

მოარული ხმა არ დადასტურდა

ამბობენ, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თინა ხიდაშელი ომბუდსმენად ინიშნება.

„საქართველოს რესპუბლიკამ" მიმართა თვით ქალბატონ თინას. მისი კომენტარის თანახმად, სახალხო დამცველის თანამდებობა, ჯერჯერობით, არ შეუთავაზებიათ, თუმცა, ტელევიზიით გამოსვლისას ელენე თევდორაძემ ის მართლაც დაასახელა ომბუდსმენობის სასურველ კანდიდატად.

„იბერია" არ დაიხურება

ამბობენ, რომ ტელეკომპანია „იბერია" იხურება.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა „იბერიის" საინფორმაციო სამსახურის უფროსს ლუბა ელიაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ მოარული ხმები არ შეეფერება სიმართლეს, პირიქით, ტელეკომპანია „იბერია" აპირებს კიდევ უფრო გააფართოოს არეალი და მომავალში ბევრი ახალი, საინტერესო გადაცემა შესთავაზოს მაყურებელს.

მტკვარი ღარიბია ბენტოსით

ამბობენ, საქართველოს დედამდინარე მტკვარი ღარიბია ბენტოსით — ცოცხალი ორგანიზმებით, ამის გამო თბილისელები ხშირად გამოთქვამენ სინანულს.

„სრ" გაარკვია: ამის მიზეზი ის არის, რომ მტკვარი თბილისის მონაკვეთში სულ უფრო ღარიბდება ფსკერზე მობინადრე ცოცხალი ორგანიზმებით. მტკვარში ჩამდინარე წყლები ბინძურია, ამღვრეულ წყალს მოაქვს კენჭები და ქვები, ასევე, წყლის ფსკერზე დიდი რაოდენობით მსხვილი ქვიშა და ხრეში ილექება.

სპეციალისტების აზრით, ამ მონაკვეთში დაჭერილი თევზის საკვებად გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

„ღამის მდინარეში გადაცვივდნენ"...

ამბობენ, რომ რესტორან „არაგვის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ღამის კლუბ „მეთექსმეტე რაუნდისგან" მტკვრის გადაღმა მდებარე დტებუაძის ქუჩის ცამეტსადარბაზოიანი კორპუსის მცხოვრებლებს მოსვენება არა აქვთ, ისინი შეწუხებულები არიან ყურისწამღები, დაუსრულებელი ხმაურით.

„საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტმა რამდენიმე მობინადრესთან საუბარში გაარკვია, რომ ეს სინამდვილეს შეეფერება, მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, აუტანელი ხმაური გაზაფხულიდან დაზამთრებამდე უფრო გაუსაძლისია და ამის გამო მათ ლამის „მდინარეში გადაცვივდნენ"...

მოძრავი დახლები არ მოეწყობა

ამბობენ, თბილისის ქუჩებში კვლავ გამოჩნდებაო ევროპის ქალაქებისთვის დამახასიათებელი „პოპ-კორნებისა" და „ჰოთ-დოგების" მსგავსი მოძრავი სავაჭრო დახლები.

„სრ" კომენტარი: როგორც საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სამსახურებიდან გვაცნობეს, ჯერჯერობით, მსგავსი სავაჭრო დახლების მოწყობა ნავარაუდევი არ არის.

ვიცე-პრემიერი გადადგა

ამბობენ, რომ ქალაქის ვიცე-პრემიერი კახა შენგელია თანამდებობიდან გადადგა.

სარწმუნო წყარომ გვაცნობა, რომ კახა შენგელია თანამდებობიდან მართლაც გადადგა.

რუბრიკის მორიგე ლელა დონაძე.

მადლობა

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ თანადგომისა და თანაგრძნობისათვის, რაც თქვენ გამოხატეთ ჩემი მეუღლის ზურაბ საკანდელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ღრმა პატივისცემით,
თინა მგელაძე-საკანდელიძე.

ხსოვნა

ვლადიმერ გვენეტაძე



შპს „თბილმეტრომშენის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამთოელი, შრომის ვეტერანი **ვლადიმერ მიხეილის ძე გვენეტაძე.**

თავისი შრომითი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ბატონმა ვლადიმერმა იმუშავა ქალაქ ტყიბულის სტალინის სახელობის შახტაში. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობა განაგრძო თბილისის მეტროს მშენებლობაზე. კერძოდ, მონაწილეობა მიიღო სადგურ „ახმეტელის", სადგურ „ვაჟა-ფშაველას" ექსპლოატაციაში გადაცემისათვის. კოლექტივს მარად ემახსოვრება მისი განუმეორებელი თვისებები, უსაზღვრო შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, პროფესიონალიზმი.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ტყიბულის მიწა!

შპს „თბილმეტრომშენის" კოლექტივი.

გახსენება

მამუკა ტერიშვილი



ძმაო **მამუკა,** თვალცრემლიანი დაუსწრებლად გილოცავთ დაბადებიდან 30 წლისთავს, რომელიც 14 თებერვალს შეგისრულდებოდა, რომ არა ის ტყვია, რომელმაც შენი გული 1992 წლის 2 თებერვალს განგმირა.

თვალცრემლიანი მოგიგონებენ, შამპანურით შესვამენ შენი ხსოვნის სადღეგრძელოს და დაგინთებენ 30 სანთელს შენს საფლავზე შენი უდროო წასვლით გულმოკლული დედა, და, ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, ნათესავები, მეგობრები, ყველა, ვისაც გული მოუკალი შენი წასვლით.

შენ ხომ საქართველოს სიყვარულში იწვოდი, გინდოდა გენახა ძლიერი და აყვავებული საქართველო, რასაც, საუბედუროდ, შეეწირე კიდეც.

იმედი გვაქვს, რომ შენნაირ გმირებს დავიწყება არ უწერიათ და სულ მალე დადგება დრო, რომ ქუჩა, სადაც შენ ცხოვრობდი, შენი სახელისა და გვარის მატარებელი გახდება.

ზოზა კვანჭიანი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს ნაირა კეკელიას მამის
კვიროსი კეკელიას
გარდაცვალების გამო.

ზაზა ტალახაძე, ტატო ლასხიშვილი, ბონდო მძინარაშვილი, ზაზა კახაძე, გიორგი ლეონიძე, მამუკა ფაჩუაშვილი, ვახტანგ ნადირაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი და ერთგული მეგობარი
ბიჭი კაკაბაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ შპს „თბილმეტრომშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს რობინზონ გვენეტაძეს გარდაეცვალა მამა
ვლადიმერ გვენეტაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანი ბუიძე და ამირან გვარუციძე ოჯახით თანაუგრძნობენ რობინზონ გვენეტაძეს მამის
ვლადიმერ გვენეტაძის
გარდაცვალების გამო.

ოთარ ხუციშვილი და ელგუჯა ლებანიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ რობინზონ გვენეტაძეს მამის
ვლადიმერ გვენეტაძის
გარდაცვალების გამო.

საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბის" პრეზიდენტი სოსო ყიფიანი, ამავე საზოგადოების გამგეობა და გაზეთ „ოკრიბის" სარედაქციო კოლეგია თანაუგრძნობენ რობინზონ და რევაზ გვენეტაძეებს მამის
ვლადიმერ მიხეილის ძე გვენეტაძის
გარდაცვალების გამო.

ირაკლი ანდრიაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს რომან შენგელიას დედის
ლოლა ბერია-შენგელიას
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ოკრიბის" სარედაქციო კოლეგია თანაუგრძნობს ამავე კოლეგიის წევრს ამირან მერკვილაძეს და ვაჟა მერკვილაძეს დედის
უსტინა ჩიქაბერიძე-მერკვილაძის
გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ქავთარაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ვახტანგ ქავთარაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ნუნუ რაფავას შვილისა და მეუღლის
კონსტანტინე და აკაკი ჭანტურიების
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ბადრი ბერაია ოჯახით თანაუგრძნობს განსვენებული
ლენა რობაქიძე-ჩიჩინაძის
ოჯახს და სამძიმარს უცხადებს ყველა მის ახლობელსა და ნათესავს.

შპს „გზამშენი-2000"-ის შრომითი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თანამშრომელი
ლარისა აბილოვა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო და აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ საბჭოს პრეზიდიუმის წევრს მოსე ნადირაძეს ძმის
აზია ნადირაძის
გარდაცვალების გამო.

დისწულები მანანა, ნინო ვაჩეიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნანა (ნანი) ალექსანდრეს ასული გოშაძე-თოდაძე
დაკრძალვა 15 II. 2 სთ. მისამართი: საჩხერე, მოდინახეს ქ. №9.

ღიმილის დღე

— როგორ უნდა ვთქვა გამართული ქართულით: „ქორწილს იხდის", თუ „ქორწილს აწყობს"?

— გამართული ქართულით ქორწილში სვამენ!

* * *

არაჟი „დროის მანქანა": გადაჰკრავ და — უკვე ხვალეში ხარ!

* * *

— გუგულო, გუგულო, რამდენ წელიწადს ვიცოცხლებ?

— მორჩი რა, ჟიგარო, მამალი ვარ!

— ?!

— მასლოკინებს...

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტის ორი სტუდენტი რუსთაველზე მისეირნობს.

პარლამენტის წინ შეჩერდნენ.

— ზუსტად აქ წუხელ ათდოლარიანი ვიპოვნე... და გადავაგდე.

— გაგიჟდი?!

— კი არ გავგიჟდი, ყალბი იყო.

— როგორ გაიგე?

— სად გინახავს ათდოლარიანი ორი ნულით?!

* * *

— წარმოგიდგენია, ჩემი ქალიშვილი არაფერს მიყვება! გაგიჟებას ვარ!

— მეც გაგიჟებას ვარ: ყველაფერს მიყვება!

* * *

ვოვოჩკას მშობლებს სტუმრები ჰყავთ. მიირბინა ვოვოჩკამ ერთ სტუმარ ქალთან და ლიმონათიანი ჭიქა მიაწოდა.

— დეიდა ნინა, მიირთვით...

სტუმარი სიამოვნებისგან დადნა, ყურადღებიანობა მოუწონა ბიჭს, მადლობა უთხრა და დალია.

— მამა, მამა, — აყვირდა ვოვოჩკა, — დეიდა ნინამ ადამიანივით დალია, შენ კი ამბობდი — ხარივით სვამსო!...

* * *

პოლიციის მანქანის მეგაფონიდან:

— ძვირფასო გოგონებო! ნუ დგახართ ბორდიურთან ახლოს! ადგილი დაუთმეთ იაფ გოგონებს!

* * *

განცხადება ქიშკართან: „აქ ნაგავს ნუ ყრით! პროკლიანუ!!!"

* * *

— ვასია, იცი, რომ არაყში ბევრი კალორიაა?

— მართლა? მაშინ მეორე ბოთლი მისაყოლებლად ავიღოთ!

ფოლკლორი

„შგარიდა" დმანისში ქართულ სულს აღვივებს

თბილისის კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა კიდევ ერთ ფოლკლორულ საღამოს უმასპინძლა. ეს დარბაზი, ბოლო დროს, საკმაოდ ხშირი მასპინძელია საღამოებისა, რომლებიც ქართულ ხალხურ სიმღერაზე შეყვარებული, დღესდღეობით უკვე მრავალრიცხოვანი აუდიტორიისთვის დღესასწაულებს წარმოადგენს.

ხსენებული საღამოც მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა, ჩვენს წინაშე წარსდგა სვანური ანსამბლი — „შგარიდა" („ლაშქრული").

„შგარიდას" ცამეტი წევრი, ხელმძღვანელთან, გურგენ გურჩიანთან ერთად ის ადამიანები არიან, რომლებიც ჭუბერში, 1988 წ. მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ ჩამოსახლდნენ ქვემო ქართლში, კერძოდ კი, დმანისის რაიონში. დღესდღეობით ისინი თავიანთ თავს დმანისელ სვანებს უწოდებენ და მართლაც, სვანური შეუპოვრობითა და ქვეყნის სიყვარულით ეწევიან იმ მამულიშვილურ საქმეს, რასაც სასაზღვრო რაიონებში, ქართული სულის გაღვივება და შენარჩუნება ჰქვია.

საღამოზე ანსამბლმა შეასრულა გურგენ გურჩიანის მიერ სვანეთის სხვადასხვა სოფელში, წლების განმავლობაში მოძიებული და აღდგენილი უძველესი სვანური საგალობლები.

საღამოს წამყვანმა, პოეტმა ერეკლე საღლიანმა აუდიტორიას უამბო, თუ როგორ მოხდა ამ მასალების მოძიება. ისტორია ასეთია: ანსამბლის ხელმძღვანელმა, 1985-1988 წ.წ. მოიარა მთელი სვანეთი და ისეთი უხუცესი მომღერლებისგან, როგორებიც იყვნენ: გიერგ ფიცხელანი, მაქსიმე გვარლიანი, უკა და სეფე ვეზდენები, აივენგო, ჩიჩო და მუშენი გურჩიანები და სხვანი. მაგნიტოფონზე ჩაიწერა საგალობლების ძირითადად თითო ხმა (მელოდია). რადგანაც ეს უკვე ის წლებია, როდესაც ერთ სოფელში აღარ მოიძებნებოდა ამ საგალობლების იმდენი მცოდნე, რომ მათი ჩაწერა სამ ხმაში მოხერხებულიყო. ზოგჯერ უხუცესს გარკვეული სიმღერის მხოლოდ ფრაგმენტი ახსოვდა, ბატონ გურგენს უხდებოდა ამ სიმღერების სხვადასხვა სოფლებში ნაწილ-ნაწილ მოძიება და შეკოწიწება, იმავე პრობლემას ქმნიდა საგალობელთა ტექსტები. გარემოებას ამძიმებდა ის, რომ ამ ტექსტებში მრავლადაა ისეთი სიტყვა, რომელთა შინაარსი, თვით სვანთათვისაც კი დღესდღეობით იდუმალებითაა მოცული. ბატონი გურგენი წლების განმავლობაში მუშაობდა იმაზე, რომ სვანური სიმღერის მცოდნეთა და მომღერალთა დახმარებით, არსებული საგალობლები სამ ხმაზე აეღერებულიყო.

მუსიკისმცოდნენი და, განსაკუთრებით კი, ფოლკლორისტები, კარგად მიხვდებიან იმ საქმიანობის სიმძიმეს, რომელიც ბატონმა გურგენმა გასწია. აქვე უნდა ითქვას, რომ მან ინტერვიუში ისიც განაცხადა: — მიუხედავად იმისა, რომ ის უხუცესები, რომელთაც ეს საგალობლები ჩამაწერინეს, დღესდღეობით აღარ არიან, სვანეთში ჯერ კიდევ შეიძლება მოიძებნოს მარგალიტებიო.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა, ქართველ ფოლკლორისტებს, ალბათ, დიდად ვერაფრით დააიმედებს, თუმცა დღეს, ალბათ, არსებულის დაფიქსირება, შესწავლა და დაცვა, ქართული სიმღერის მოამაგეთათვის უპირველესი ამოცანაა. ამ მხრივ, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ბატონ გურგენთან თანამშრომლობაც, მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენება და აზრთა შეჯერება, რომლის მეშვეობით, შეიძლება თაობებმა მიიღონ უნიკალური ვარიანტები ისეთი სიმღერებისა და საგალობლებისა, როგორიცაა: ოქრისდეში, ცხაუქრისდეში, ყაიოსუმა, ავლითაი-მავლითა, გა, ზაშინავა და სხვანი.

ბატონმა გურგენმა ისიც გვითხრა, ჩვენ პროფსიონალები არა ვართ, უბრალოდ ერთი ჭკუის ხალხი ვართ და, რაც მთავარია, სიმღერა გვეიყვარსო. სიმღერის სიყვარული კი ამ საქმეში, ალბათ, მთავარია! პროფესიული დონის შეფასებაში კი მკაცრები ვერ ვიქნებით, მით უმეტეს მაშინ, როცა ანსამბლი ამ შემადგენლობით არსებობის ჯერ მხოლოდ ერთ წელიწადს ითვლის. ასეთი ხასიათის რეპერტუარი კი ამ დროში უდავოდ სერიოზული განაცხადია.

წარმატებებს ვუსურვებთ ანსამბლ „შგარიდას" და ვიმედოვნებთ, რომ ღვთიურ მადლს, რომელსაც ქართული სიმღერა და გალობა ჰქვია და რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ჭირსა თუ ლხინში თავი გამოატანინა ქართველებს, არათუ მოაკლდება, არამედ გაუმრავლდება დამფასებელი და მოამაგე, რაც ჩვენი ქვეყნის ხელახალი აღორძინებისა და ქართული სულის უკვდავობის საწინდარი იქნება.

დასასრულ დიდი მადლობა ბიზნესმენებს — ბატონებს ვიქტორ ჯაფარიძესა და ოთარ ჩართოლანს, რომელთა უანგარო დახმარებით მოხერხდა ამ შესანიშნავი საღამოს გამართვა.

თეონა რუხაძე,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

სურათზე: მღერის ანსამბლი „შგარიდა".

რეპლიკა

ჯიხურებით დაჩრდილული „ცირკი"

ამ ბოლო ხანს გარევაჭრობებისა თუ ბაზრობების აკრძალვამ, რასაც თბილისელები, და არა მარტო ისინი, კმაყოფილებით შეხვდნენ, დედაქალაქს ნელნელა უნდა დაუბრუნოს წინანდელი ხიბლი. პირველი სასიკეთო შედეგებიც უკვე არის. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადრინდელი ფუნქცია დაუბრუნდათ ბაზრობათა ქაოსში ჩაკარგულ ხელოვნების ნიმუშებს.

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც „დინამოს" სტადიონთან მდებარე აკაკის ძეგლი, რომელიც, როგორც იქნა, გათავისუფლდა გარემოვაჭრეთა მიერ მისთვის დაკისრებული „დამატებითი ფუნქციებისგან" და ახლა კვლავ მედიდურად გასცქერის მისსავე სახელობის პროსპექტს.

სამაგიეროდ, მისგან განსხვავებით, სრულიად სხვა ბედი ხვდა წილად მეტრო „ვარკეთილის" სადგურის ჩასასვლელთან, მოედანზე განთავსებულ სკულპტურულ კომპოზიციას „ცირკი" (ავტორები — მოქანდაკეები ავთანდილ მონასელიძე და ქეთი ჯაფარიძე).

ადრე ბავშვებისთვის გამორჩეულად საყვარელი ეს ნამუშევარი დღეს, მართალია, გარემოვაჭრეთა ალყისგან კი გათავისუფლდა, მაგრამ ირგვლივ შემოჯარული უგემოვნო, უსახური ჯიხურების წყალობით მაინც ჩრდილშია მოქცეული, ცენტრალური ქუჩიდან მისი დანახვა და სათანადოდ შეფასება უკვე შეუძლებელია.

იქნებ, ამასაც მიექცეს ყურადღება?

თეიმურაზ კინწურაშვილი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.



აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო/საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი

გრანტების პროგრამა

განცხადება

გრანტების პროგრამის პირველი რაუნდის დაწყების შესახებ

ბეარინგ პოინტი, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, აცხადებს კონკურსზე დაფუძნებული გრანტების პროგრამის პირველი რაუნდის დაწყების შესახებ. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ „უცხოური დახმარების შესახებ" აქტის საფუძველზე და განიხილება, როგორც საქართველოს კერძო სექტორის განვითარებისათვის გათვალისწინებული დახმარება. საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი მიზნად ისახავს თანამშრომლობას კერძო სექტორთან, ბიზნეს-ასოციაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან პოლიტიკის, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა სფეროებში არსებული ბარიერების გამოსავლენად და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დახმარების გაწევას რეფორმების გატარებაში, რომელიც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს საქართველოში და გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას.

გრანტების პროგრამის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები მიზნად უნდა ისახავდნენ კერძო სექტორის განვითარებას იმ პროექტების განხორციელების მეშვეობით, რომლებიც მთლიანად შეესაბამება ქვეყნის ბიზნეს-გეგმას და/ან პროექტის ძირითად ამოცანებს. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ცალსახად და უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს ეროვნული ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული საკითხების მოგვარებას. შეირჩევა ის განაცხადები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება კონკრეტული საკითხების მოგვარების გზები და იქნება შედეგზე ორიენტირებული.

ზემოაღნიშნული გრანტების პროგრამის ფარგლებში მიიღება განაცხადები ექვს, ცხრა ან თორმეტთვიან პროექტებზე, რომელთა ბიუჯეტი დაახლოებით 10000-60000 აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს. განაცხადი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს განაცხადის წარმოდგენის ოფიციალურ წესებში განსაზღვრულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განხილვა არ მოხდება. განაცხადის წარმოდგენის ოფიციალურ წესები გამოქვეყნდება 2004 წლის თებერვლის ბოლოს, ხოლო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 5 მარტი, 16 სთ. მოთხოვნის შესაბამისად, განაცხადის გამოგზავნა შეიძლება მოხდეს ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: isalukvadze@BPoint. ge

მიმდინარეობს შპს „ედელვაისის" ლიკვიდაცია. დაინტერესებული პირები, გთხოვთ, გამოცხადდეთ თბილისში, ყვარლის ქუჩა № 69.
„ედელვაისის" დირექტორი ზაზა ბრიგალაშვილი.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რჯინიგზის Rიbo 20.